პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბ. საოლქო
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (უოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებ-სათვის — 1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონის ტექსტის ბოლოში—1 მან., ტექსტის შიგნით — 2 მან.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.— 1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; გამცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 1^ % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

- მოხსენება საბჭ. კავშირის ხუთწლიან გეგმის შესახებ ლონდონში
- ახალი გადასახადები პირველი მოთხოვნილების საგნებზე გერმანიაში
- საფრანგეთში ფიქრობენ, რომ კუტეპოვის „დაკარგვაში" თვით თეთრგვარდიელებს უდევს წილი
- განდის „ულტიმატუმი" ინდოეთის მეფის ნაცვალს
- მუშათა პარტიის წევრთა ჯგუფის და ინგლისის ინტელიგენციის განცხადება ანტი-საბჭოთა კამპანიის წინააღმდეგ
- ნედლეული ბამბის კონტრაქტაციის გეგმა

შაბათი, 8 მარტი 1930 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 55 (2703)

მშრომელი ქალები აქტიურად ჩავაბათ სოციალისტურ მშენებლობაში

8 მარტს, მშრომელ ქალთა დღეს, ჩვენ ვამოწმებთ, თუ რა გაკეთდა მუშა და გლეხ ქალთა ჩასაბმელად სოციალისტურ მშენებლობაში და მათი ყოფა-ცხოვრების და კულტურულ პირობების გასაუმჯობესებლად. ამავე დროს, ამ მხრივ არსებულ მიღწევებისა და ნაკლოვანებების აღნუსხვის საფუძველზე და ჩვენი ახლანდელ ამოცანებთან შეფარდებით, ვსახავთ ღონისძიებებს ქალთა შორის მუშაობის გასაძლიერებლად.

ბოლო წლებში მშრომელ ქალთა პოლიტიკურ-საზოგადოებრივი აქტივობა საგრძნობლად გაიზარდა. ამას მოწმობს თუგინდ უკანასკნელ საბჭოთა არჩევნებში ქალთა მონაწილეობის შედარებით მაღალი პროცენტი. ამასვე გვიჩვენებს სადელეგატო კრებების ქსელის და მათში გაერთიანებულ წევრთა რიცხვის გადიდება. ჩვენ გვაქვს აგრეთვე ფაქტები, როცა მუშა და გლეხი ქალები პირველ რიგებში დგანან სამრეწველო მშენებლობის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ფრონტებზე. ამავე დროს წარმოებს ერთგვარი მუშაობა მშრომელ ქალთა ყოფა-ცხოვრების გარდაქმნისათვის (ბაგების, საბავშო მოედნების, საზოგადო სამრეცხაოების, სასადილოების მოწყობა და სხვ.).

მაგრამ ყოველივე ეს ოდნავადაც არ არის საკმარისი, რომ მშრომელ ქალთა მასა ფართოდ და აქტიურად ჩავაბათ სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციაში.

პირველ ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ ბევრგან მუშა-ქალები საგრძნობლად მოისუსტებენ დამკვრელ მუშაობის და სოციალისტური შეჯიბრების გაშლის დარგში. და ეს აიხსნება მათი არა მარტო საერთო ჩამორჩენილობით და შემბორკავი ყოფა-ცხოვრებრივი პირობებით, რომელთა აღმოფხვრა ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა. ამასთან ერთად აქ დიდ როლს თამაშობს ის გარემოება, რომ პროფკავშირები და სხვა ორგანიზაციები არ აწარმოებენ ენერგიულ ახსნა-განმარტებითი და ორგანიზაციულ მუშაობას წარმოებაში დაბანდებულ ქალებ შორის, რათა ისინი მაქსიმალურად აამოძრაონ და უფრო აქტიურად ჩააბან სამრეწველო გეგმების გატარებისათვის ბრძოლაში. ასეთ მდგომარეობაში აუცილებლად უნდა მოხდეს გარდატეხა. კერძოდ რვა მარტმა ხელი უნდა შეუწყოს მუშა ქალთა მობილიზაციას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ტემპის დაჩქარების, შრომის ნაყოფიერების აწევის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების და სხვათა გარშემო.

ავიღოთ სოფელი. იქ დღემდე გაუგონარი მუშაობა სწარმოებს გლეხურ მეურნეობათა კოლექტიურად გარდაქმნისათვის და მთლიან კოლექტივიზაციის საფუძველზე კულაკების, როგორც კლასის, ლიკვიდაციისათვის. როგორია ქალის მონაწილეობა ამ პროცესში?

გლეხობის დასახმარებლად სოფლებში მუშათა ბრიგადების დიდი რიცხვი გაიგზავნა. საკითხავია: რამდენი მუშა-ქალი ურევია ამ ბრიგადებში? ძალიან ცოტა. ესაა აშკარა დაუფასებლობა მუშა-ქალების როლისა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში. ისინი ხომ ამ მხრივ თვალსაჩინო მუშაობას გასწევდენ გლეხ ქალებს შორის. შემდეგ — მოწინავე გლეხი ქალები აქტიურად მონაწილეობენ სასოფლო-სამეურნეო კამპანიაში, მაგრამ ამასთან ერთად ჩვენ ვიცით მრავალი ფაქტი, როცა კულაკები და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები სარგებლობენ გლეხ ქალთა მასის ჩამორჩენილობით. მათ შორის ათასგვარ პროვოკაციას ავრცელებენ და ზოგიერთ გლეხ ქალებს იყენებენ თავიანთი კლასიური მიზნების მისაღწევად. აშკარაა, რომ დღემდე ძალზე მოიკოჭლებდა ჩვენი მუშაობა გლეხ ქალებს შორის, მათი პოლიტიკური შეგნების და კულტურული დონის ასაწევად, მათ შესაკავშირებლად კულაკობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო კამპანიამ ეს ყველასათვის მკაფიოდ გამოააშკარავა. აქედან ჩვენ საჭირო დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ: გაძლიერებული ყურადღება ღარიბ და საშუალო გლეხ ქალთა კლასიურ გათვითცნობიერებას და მშრომელ გლეხ-მამაკაცებთან ერთად მათ დარაზმვას სოფლის სოციალისტურ გარდაქმნისათვის — აი რას მოითხოვს ჩვენგან არსებული მდგომარეობა.

მუშა და გლეხ ქალთა ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში და პოლიტიკურ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გულისხმობს მათ განთავისუფლებას დამონებულ ყოფა-ცხოვრებრივ პირობებისაგან. მუდამ სამზარეულოს და სამრეცხაოს მიკრული, მუდამ ბავშვების მოვლით შებორკილი ქალი დაქვეითებულია ფიზიკურად და გონებრივად. მას დრო და ენერგია არ ყოფნის ჩაებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და კულტურულად ამაღლდეს. საჭიროა პრაქტიკულ ნიადაგზე დავაყენოთ დრომოჭმული ყოფა-ცხოვრების გადახალისების საკითხი. რაც ამ მხრივ დღემდე გაკეთდა, წვეთია ზღვაში. ფართოდ უნდა გავშალოთ საყოფაცხოვრებო დაწესებულებათა ქსელი როგორც ქალაქად, ისე კოლმეურნეობებში.

ამ გზით ჩვენ მშრომელ ქალებს საშუალებას მივსცემთ ნამდვილად მიიღონ მონაწილეობა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში. ჩვენ ფართოდ უნდა დავაყენოთ მუშა და გლეხ ქალთა დაწინაურება სხვადასხვა დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში. მშრომელ ქალთა დაწინაურების ყოველგვარი დაბრკოლება უნდა გადავლახოთ. დღემდე კი ქალთა დაწინაურების დარგში ჩამორჩენილი ვართ. იქაც კი, სადაც მშრომელი ქალები არჩევის თუ დაწინაურების სახით ამა თუ იმ ორგანიზაციაში არიან გაყვანილი, მათთვის არ არის სათანადო პირობები შექმნილი აქტივობის და ინიციატივის გამოსაჩენად. მუშა და გლეხ ქალთა მეტი პროცენტი არჩეულ და სხვა ორგანიზაციებში, მათი წამოყენება საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, მათი მუშაობისათვის ყოველმხრივი ხელის შეწყობა, — აი რას უნდა მიექცეს ყურადღება. ამ მხრივ კერძოდ დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოების გადარჩევის კამპანიას მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებში. ახალ საბჭოებში აუცილებლად მოწინავე გლეხ ქალთა მნიშვნელოვანი რიცხვი უნდა იქნას გაყვანილი.

სოციალისტური მშენებლობის საკითხებთან ერთად მუშა და გლეხი ქალები ჩვენ უნდა დავაინტერესოთ საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობით. ჩვენმა წარმატებებმა სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე ფეხზე დააყენა მსოფლიო ბურჟუაზია და მისი ყურმოჭრილი აგენტები — სოციალ-ფაშისტები, რომელნიც ველურ კამპანიას ეწევიან ხუთწლიანი გეგმის ჩასაშლელად. თავის თავად ცხადია, ქვეყნის თავდაცვის გაძლიერებაში მუშა და გლეხ მამაკაცებთან ერთად მშრომელ ქალებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ. 8 მარტი არის დღე მათი ურყევი ნებისყოფის გამოაშკარავებისა პროლეტარული დიქტატურის დასაცავად იმპერიალისტების ყოველგვარი ცდებისაგან.

ამავე დროს 8 მარტს, მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღეს, საბჭოთა კავშირის მუშა და გლეხი ქალები — საქვეყნოდ უცხადებენ თავის თანაგრძნობას და სოლიდარობას წითელ საზღვრების გაღმა მყოფ მშრომელ ქალებს, საერთოდ — მშრომელ მასებს, რომელნიც ჯერ კიდევ გმინავენ კაპიტალის უღელ ქვეშ. 8 მარტი მუშა ქალთა მებრძოლ ძალების დათვალიერების დღეა ბურჟუაზიულ ქვეყნებში, რომ მათ მთელ მუშათა კლასთან ერთად გააძლიერონ მზადება კაპიტალის ბატონობის დასამსხვრევად.

ჩვენი მუშა და გლეხი ქალები, აშენებენ რა სოციალიზმს, მხურვალედ მიესალმებიან საერთაშორისო პროლეტარიატს, რომლის აქტიური დარაზმვა საბჭოთა კავშირის დასაცავად, საკუთარი ბურჟუაზიის წინააღმდეგ შეუნელებელი ბრძოლა ჩვენი გამარჯვების აუცილებელი პირობაა, ისე, როგორც მშენებლობის წარმატება საბჭოთა კავშირში მსოფლიო მუშათა კლასის განთავისუფლების საწინდარს წარმოადგენს.

8 მარტი

ქალთა კომუნისტური დღე—8 მარტი ყველაზე სუსტი, ჩამორჩენილი, პროლეტარული, მუშურ-გლეხური არმიის—ქალთა რევოლუციონური ძალების დათვალიერების დღეა.

ძლიერმა ოქტომბერმა, რომელიც მოახდინეს არა მარტო მუშებმა, არამედ მუშა-ქალებმაც, აამოძრავა ქალაქისა და სოფლის მშრომელ ქალთა მილიონები.

ოქტომბრის რევოლიუციამ ქალი გადააქცია სრულუფლებიან მოქალაქედ პროლეტარიატის დიქტატურის სრულუფლებიან მონაწილედ, „ერთბაშად უზრუნველჰყო მისი სრული თანასწორობა კანონის წინაშე". და ახლა ჩვენ ვხედავთ ქალს ყველა საწარმოებში და საბჭოთა აპარატში, დაწყებული ფაბრიკა-ქარხნებიდან თვით საბჭოთა ხელისუფლების უზენაეს ორგანოთ ცაკამდე.

ქალი ყველგან მხარდამხარ მიჰყვება მამაკაცს და უაღრესად აქტიურ მონაწილეობას იღებს საბჭოთა დიდი ქვეყნის სოციალისტურ მშენებლობაში. პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მიერ დასახული ყველა ამოცანები შეიძლება წარმატებით გადაიჭრას მხოლოდ ქალთა აქტივის მონაწილეობით. ტყუილად კი არ სწერდა ლენინი, რომ **„საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწყებული საქმე შეიძლება წინ წაწეულ იქნას მხოლოდ მაშინ, როდესაც ასეული ქალების ნაცვლად ამ საქმეში მონაწილეობას მიიღებენ მილიონი ქალები".** 8 მარტს ჩვენში, საბჭოთა ქვეყანაში, ჯამი უკეთდება ქალის მონაწილეობას სოციალიზმის მშენებლობაში, აგრეთვე სრულდება ფართო მასიური მუშაობა ამ მშენებლობაში მშრომელ ქალთა ახალი და ახალი ფენების ჩასაბმელად და ამით მაღლა იწევს მათი კულტურული დონე და პოლიტიკური კლასობრივი შეგნება.

ამიტომ საბჭოთა ხელისუფლება, ლენინური კომპარტიის ხელმძღვანელობით ყველა ზომებს იღებს, რათა უფრო ფართოდ და აქტიურად ჩააბას ქალი მთელ ჩვენ სოციალისტურ მშენებლობაში.

უკვე ბევრი რამ გაკეთდა მშრომელ ქალთა განათლებისათვის. განათლების გარეშე წარმოუდგენელია ახალი ცხოვრების შექმნა. ქალთა რიცხვი ყველა სასწავლებლებში იზრდება, სასკოლო ქსელი ფარავს თვალუწვდენელ საბჭოთა კავშირის ყველა კუთხეებს და ვრცელდება ყველა ტომებსა, ერებსა და ხალხებში, რომელთა რიცხვიც საბჭოების დიდ ქვეყანაში ასე დიდია. ამასთან ერთად ხორციელდება მთელი რიგი ზომები ქალის განსათავისუფლებლად საოჯახო შრომისაგან და ხდება ყოფაცხოვრების გარდაქმნა.

ცნობილია, თუ რამდენად უშლის ხელს ქალს საოჯახო საქმეებზე ზრუნვა იმაში, რომ აქტიური მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ისწავლოს, განვითარდეს და აამაღლოს თავისი კვალიფიკაცია წარმოების სხვადასხვა პროფესიებსა და სპეციალობაში.

„მშრომელი ქალის ჩაბმა საზოგადოებრივ საწარმოო შრომაში, მისი ხსნა ოჯახის მონობისაგან, მისი განთავისუფლება სამზარეულოს და საბავშო ოთახის მომადუნებელი და დამაჩლუნგებელი პირობებისაგან — აი მთავარი ამოცანა", რომლის გადაჭრასაც ლენინი საჭიროდ სთვლიდა ქალის გასათავისუფლებლად. უკვე ფართოდ იშლება ბაგებისა და სხვა საბავშო დაწესებულებების, საზოგადოებრივი სამზარეულოების, სამრეცხაოების და სხვ. ქსელი, **ამ დაწესებულებამ უნდა გაანთავისუფლოს ქალი საოჯახო ზრუნვისა და ფუსფუსისაგან.** სამწუხაროდ, ასეთი დაწესებულებები ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით არ მოგვეპოვება, ვინაიდან მთავრობას არ ჰყოფნის ყველაფრისათვის საჭირო სახსრები დღევანდელი ბუმბერაზული მუშაობის დროს ცხოვრებისა და ყოფის გარდასაქმნელად სოციალისტურ საფუძვლებზე.

ამიტომ ამ საქმეში უნდა ჩავაბათ მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობა.

პროფკავშირებმა, კომკავშირმა, კოოპერაციამ და სხვ. საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა ინიციატივა უნდა გამოიჩინონ და გამონახონ ამ მიზნისათვის საჭირო სახსრები. განსაკუთრებით ეს მოვალეობა თვით ქალს ეკისრება, ვინაიდან, როგორც ლენინი ამბობდა, **„ქალის განთავისუფლება თვით ქალის საქმე უნდა იყოს".** და ჩვენ ვხედავთ, რომ მოწინავე მშრომელმა ქალებმა შეიგნეს ეს და მხურვალედ მოჰკიდეს ხელი თავიანთი განთავისუფლების საქმეს.

საუკუნოებრივი ძილის შემდეგ აღმოსავლეთის ქალებიც იღვიძებენ. ისინი თანდათან რწმუნდებიან, თუ რა მნიშვნელობა აქვს ქალთა ორგანიზაციულ მოძრაობას, თუ რა საზიანოა რელიგიური ზხამი, რომელიც წარმოადგენს საუკუნოებრივი უვიცობისა და სიბნელის, საერთოდ სოციალურად მომადუნებელი წრის შედეგს. ისინი იხსნიან ჩადრს, ამ მონობის სიმბოლოს.

ახლა ქალი, მაგალითად თურქი ქალი, არა თუ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას ახდენს, არამედ ტრაქტორსაც მართავს და დღესვე, მიმდინარე გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიაში, მიდის კოლმეურნეობაში.

მართალია, მეცნიერებაში, ტეხნიკაში და სამეურნეო და პოლიტიკური ცხოვრების სხვა დარგებში თურქი სპეციალისტი ქალები ჯერ კიდევ ერთეულებს წარმოადგენენ, მაგრამ უმთავრესი უკვე განახორციელა ოქტომბერმა: **ძალაუფლება მშრომელთა ხელშია,** ხოლო ყოველსავე დანარჩენს მიაღწევენ თვით ქალები, საკავშირო კომპარტიის (ბ) და საბჭოთა ხელისუფლების მტკიცე ხელმძღვანელობით. ხოლო ჩვენი დიადი საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთა სადღეისო ამოცანას წარმოადგენს—ჩვენი ქვეყნის **ინდუსტრიალიზაცია,** სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა უმაღლესი სამანქანო ტეხნიკისა და კოლექტივიზმის საფუძველზე.

არაჩვეულებრივი სიძნელეების მიუხედავად, ჩვენ უმაღლეს ტემპს მივაღწიეთ სოციალისტური მრეწველობისა და სოციალისტური მიწადმოქმედების აყვავების საქმეში. კონკრეტული და შესასრულებელი ლოზუნგი: **„ხუთწლიანი გეგმა ოთხ წელიწადში"** ერთხელ კიდევ ცხადჰყოფს ჩვენი სისტემის უდიდეს და უდავო უპირატესობას კაპიტალისტური სისტემის წინაშე. ბუნებრივია, რომ საბჭოთა კავშირის წარმატებანი უდიდეს შიშს იწვევენ ბურჟუებს შორის და კაპიტალის ქვეყნებში და ამავე დროს ბრძოლის ხალისს უნერგავენ ჩაგრულ-გაყვლეფილთ ექსპლოატატორთა წინააღმდეგ. კაპიტალის ყველა ქვეყნები მწვავე სოციალურ-ეკონომიურ კრიზისს განიცდიან: უმუშევრობა დღითი-დღე იზრდება, ახალი საშინელი ომის აჩრდილი უკვე ყველგან დაჰქრის. კომუნისტური პარტიის გავლენა ყველა ქვეყნებში ძლიერდება, მშრომელნი ებმიან საერთო პროლეტარულ ბრძოლაში ძირმომპალი კაპიტალიზმის და მტაცებელი იმპერიალიზმის წინააღმდეგ. **ახლოვდება დღე, როდესაც უცხოელი ქალიც, ძლევამოსილი მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის შემდეგ, მიაღწევს თანასწორუფლებიანობას** და გამოვა ფართო სოციალისტურ გზაზე კომინტერნის ხელმძღვანელობით.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის განთავისუფლებულ მშრომელ ქალს!

გაუმარჯოს კაპიტალისტური და ყველა კოლონიალური და ნახევრად კოლონიალური ქვეყნების მშრომელ ქალს, რომელიც მშრომელ მამაკაცებთან ერთად იბრძვის თავისი უფლებისთვის!

ვიბრძოლოთ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის და საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის!

მრავალერიანი და მრავალტომიანი ამიერკავკასიის ყველა ერის მუშა და გლეხო ქალებო, წინ სოციალიზმ-კომუნიზმისაკენ!

მიხა ცხაკაია.

პირველი ცნობები 6 მარტის ჩატარების შესახებ უცხოეთში

კომუნისტურმა პარტიებმა შესძლეს მასების მობილიზაცია კაპიტალისტური რაციონალიზაციის წინააღმდეგ, სამუშაო დღის შემცირების, ხელფასის გადიდების და საბჭოთა კავშირის დაცვის ლოზუნგების გარშემო.—პოლიციის რეპრესიების მიუხედავად მასები გამოვიდნენ ქუჩებში და ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას და ჟანდარმერიას.—ევროპისა და ამერიკის მთელ რიგ სამრეწველო ცენტრებში მოხდა სისხლისმღვრელი შეტაკებები.—სოციალ-ფაშისტები მოქმედებდნენ პოლიციასთან ერთად.—განსაკუთრებით აღსანიშნავია მასების გამემარცხენება შეერთებულ შტატებში, სადაც მუშები კომუნისტების ხელმძღვანელობით გამოვიდნენ ქუჩებში და სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს პოლიციას, რომელიც მხრჩოლავი გაზებით და ბომბებით მოქმედებდა.

შეერთებული-შტატები

5.000 პოლიციელი მუშათა დემონსტრაციის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 6 მარტი. დილით უნიონ-სკვერის მოედანზე, კომპარტიის სადგომთან, თავი მოიყარა 80.000 მუშამ. მახლობელი ქუჩები მუშებით გაივსდა. მოედნისაკენ მიმავალი მუშები მღეროდნენ „ინტერნაციონალს". მოედნის მახლობლად დააყენეს 5.000 პოლიციელისაგან შემდგარი რაზმი, რომელიც შეიარაღებულია ტყვიამფრქვევებით და ცრემლისმდენი ყუმბარებით. პოლიციის რაზმს აქვს ჯავშნიანი მოტოციკლები. პოლიცია აცხადებს, რომ არ დაუშვებს მსვლელობას მუნიციპალიტეტის შენობისაკენ. (ადს).

ნიუ-იორკი, 6 მარტი. ვაშინგტონში, პრეზიდენტის სასახლესთან პოლიცია თავს დაესხა, დემონსტრანტებს ცრემლისმდენი ყუმბარებით. დააპატიმრეს 6 კაცი (ადს).

ნიუ-იორკი, 6 მარტი. უნიონ-სკვერის მოედანზე თავი მოიყარა 70.000 კაცზე მეტმა. სამის ნახევარზე მუშები გაემართნენ მუნიციპალიტეტის შენობისაკენ. ხდება შეტაკებები პოლიციასთან. იუწყებიან, რომ მთელ რიგ სამრეწველო ცენტრებში გაიმართა დემონსტრაციები.

ბოსტონში მოხდა დიდი შეტაკებები პოლიციასთან. (ადს).

სისხლის-მღვრელი შეტაკებები შეერ. შტატებში

ნიუ-იორკი, 6 მარტი. პოლიცია თავს დაესხა დემონსტრანტებს, რომლებიც მიემართებოდნენ უნიონ-სკვერის მოედნისაკენ, სადაც თავმოყრილი იყო მუშები. პოლიცია განსაკუთრებულის სიმკაცრით იქცეოდა. თავდასხმის დროს დაიჭრა ასზე მეტი დემონსტრანტი. დაჭრილები მოათავსეს ციხის საავადმყოფოში. პოლიციამ დააპატიმრა ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის და პროფკავშირთა მთლიანობის რევოლიუციონური ლიგის ხელმძღვანელები ფოსტერი, მაინორი, ზისკინი და ამტერი. პოლიციელთაგან დაიჭრა ერთი კაცი.

ასოშიეიტედ პრესის ცნობით, საავტომობილო მრეწველობის ცენტრში — დეტროიტში დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 100000 კაცმა. პოლიცია თავს დაესხა დემონსტრანტებს, რომლებმაც სასტიკი წინააღმდეგობა გაუწიეს. გაჩაღდა ბრძოლა, რომელიც სათი ნახევრამდე გაგრძელდა. პოლიციამ დიდი გაჭირვებით შესძლო დემონსტრანტების გაფანტვა. დემონსტრანტებით გაჭედილი იყო თვითმმართველობის მოედანი და ქალაქის მთავარი ქუჩები. შეტაკების დროს დაიჭრა 12 კაცი. დააპატიმრეს 27 დემონსტრანტი. მასიური დემონსტრაციები გაიმართა სამხრეთის შტატებში, სადაც ერთი წლის წინად კომპარტიის გავლენა ფრიად სუსტი იყო.

საქსოვი მრეწველობის ცენტრში შარლოტაში (სამხრეთ კაროლინა), ფორტუორტში და ხაუსტონში (ტეხასის შტატი) და სამხრეთის სხვა ქალაქებში შავკანიანმა მუშებმა და თეთრებმა გამართეს საერთო დემონსტრაცია. კლივლენდში დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 15.000 კაცმა. პოლიცია თავს დაესხა დემონსტრანტებს. არის მრავალი დაჭრილი.

ასოშიეიტედ პრესის სიტყვით, ბოსტონში გამართული დემონსტრაცია უდიდესი იყო ყველა იმ დემონსტრაციებთან შედარებით, რომლებიც კი გამართულა საკოსა და ვანცეტის დასჯის შემდეგ (ადს).

საფრანგეთი

მკაცრი ბრძოლების მოლოდინში

პარიზი, 6 მარტი. 6 მარტს პოლიცია განსაკუთრებულ ზომებს ღებულობს. დიდ ქარხნებს ალყა შემოარტყეს პოლიციისა და ჟანდარმერიის რაზმებმა. მიუხედავად ამისა, რამდენიმე ათასმა პარიზელმა მშენებელმა მუშამ, რომლებიც მიწის ქვეშა რკინის გზის გაყვანასა და სახლების აგებაზე მუშაობენ, აგრეთვე 8.000 შოფერმა ორგანიზაციულად შესწყვიტეს მუშაობა შუადღიდან. უნიტარულ პროფკავშირთა სახლში, რომელსაც გარს არტყია რამდენიმე ასი პოლიციელი, გაიმართა მიტინგი. მიტინგს 8.000 მუშა დაესწრო.

საღამოს გაზეთები შიშს გამოსთქვამდნენ, რომ მუშაობის დამთავრების შემდეგ შეტაკებები მოხდება მსხვილ საწარმოებში. ბევრ საწარმოში იტალიური გაფიცვაა, იმართება კრებები საამქროებში. დააპატიმრეს რამდენიმე მუშა, რომლებიც მოწოდებებს აკრავდნენ კედლებზე. (ადს)

მუშათა გამოსვლები

პარიზი, 6 მარტი. პირველი ცნობები, რომლებიც 6 მარტის ჩატარების შესახებ პროვინციიდან მოდიან, მოწმობენ, რომ საფრანგეთის მრავალ სამრეწველო ცენტრში გაიმართა მუშების ძლიერი დემონსტრაციები საფრანგეთის კომპარტიის და შრომის უნიტარული კონფედერაციის ხელმძღვანელობით.

ჩრდილოეთის საფეიქრო მრეწველობის ცენტრში, რუბეში მუშათა უბნებში გაიმართა დემონსტრაციები. ქალაქში თავმოყრილია პოლიციელთა დიდი ძალები. პოლიციამ დააპატიმრა მრავალი კომუნისტი მუშა, რომლებიც ავრცელებდნენ მოწოდებებს და ფურცლებს. მიტინგებზე სიტყვები წარმოსთქვეს კომპარტიის, კომკავშირის და ფეიქართა უნიტარული პროფკავშირის წარმომადგენლებმა.

ჩრდილოეთის ქვანახშირის რაიონში მაღაროს მუშებმა შესწყვიტეს მუშაობა და გამართეს მიტინგი, მიუხედავად იმისა, რომ მათ სდარაჯობდა მრავალი პოლიციელი მიტინგმა მიიღო რეზოლიუცია, რომელიც მოუწოდებს მაღაროს მუშებს იბრძოლონ საერთაშორისო სოლიდარობისათვის, კაპიტალისტური რაციონალიზაციის წინააღმდეგ და საბჭოთა კავშირის დასაცავად. (ადს)

პოლიციის რეპრესიების მიუხედავად

პარიზი, 6 მარტი. მიუხედავად ხელისუფლების მიერ მიღებული საგანგებო ზომებისა, აგრეთვე გაფრთხილებისა, რომ მუშათა გამოსვლები ძალით იქნება ჩახშობილი, 6 მარტს პარიზის მუშათა მასებმა თავიანთი მზადყოფნა ბრძოლისათვის გამოხატეს სხვადასხვა ფორმის დემონსტრაციებით. პარიზის ზოგ ქარხანასა და ფაბრიკაში მუშებმა მუშაობა შესწყვიტეს დღის მეორე ნახევარში, ზოგან ჩაატარეს იტალიური გაფიცვა, სხვაგან კონფერენციებზე, მაგალითად, დროებით შეჩერეს და შეანელეს მუშაობა. სახელდახელო მიტინგები მოხდა ყველგან: საამქროებში, ქარხნების ჭიშკრებთან, ქუჩის დემონსტრაციები ქარხნებთან, რასაც აუცილებლად მოჰყვებოდა შეტაკება პოლიციასთან. მოძრაობას სათავეში უდგანან მშენებელი მუშები. გაფიცვა მიწისქვეშა რკინის გზაზე, რომელზედაც 7.000 კაცი მუშაობს, 100 პროცენტით განხორციელდა. უნიტარულ პროფკავშირთა სახლში გამართულ მიტინგზე შეიკრიბა 3.000 მშენებელი მუშა, რომელნიც აღფრთოვანებით შეხვდნენ კომპარტიის და უნიტარული პროფკავშირების ორატორებს. მიტინგიდან გასვლის დროს მოხდა სერიოზული შეტაკებები პოლიციასთან, რომელიც ორჯერ შეეცადა — ხელი შეეშალა მუშების შემდგომ შეკრებისათვის. შეტაკების დროს რამდენიმე მუშა დაიჭრა.

მსხვილ საავტომობილო ქარხნებში, მიუხედავად იმისა, რომ იქ პოლიციის მეტად მრავალრიცხოვან ძალებს მოუყარეს თავი, სასადილო შესვენების დროს, აგრეთვე სამუშაოდან წასვლისას (ბევრმა მუშამ ჩვეულებრივზე ადრე შეწყვიტა) გაიმართა სახელდახელო მიტინგები. ამ მიტინგებზე გამოდიოდნენ კომპარტიის ორატორები. იმ მიტინგზე, რომელიც გაიმართა სიტროენის საავტომობილო ქარხნის შესავალთან. პოლიციასთან შეტაკების დროს მუშებმა, როდესაც ისინი კომუნისტ ორატორს იცავდნენ, დაჭრეს ორი პოლიციელი. რენოს საავტომობილო ქარხანაში, სახელდახელო მიტინგის დროს მუშებმა წინააღმდეგობა გაუწიეს და ქვები დაუშინეს პოლიციას, რომელმაც მიტინგის გაფანტვა მოისურვა. (ადს).

გერმანია

15.000 პოლიციელის მობილიზაცია

ბერლინი, 5 მარტი. გერმანია 6 მარტს მოსალოდნელ დემონსტრაციების შთაბეჭდილების ქვეშ იმყოფება. პოლიციამ განსაკუთრებული ზომები მიიღო. ბერლინში მოხდა 15 ათასი პოლიციელის მობილიზაცია. საზოგადოებრივ შენობებს, რეიხსბანკს, სასამართლო ორგანოების შენობას და მთავრობის დაწესებულებათა უბანს პოლიციის ძლიერი რაზმები იცავენ. უდიდესი საწარმოები პოლიციას უჭირავს. მუშათა უბნებში ვრცელდება დიდძალი ფურცლები, რომლებიც მოუწოდებენ უმუშევართ და მომუშავეთ საერთო დემონსტრაციისაკენ. საალყო წესების მიუხედავად, უკვე 5 მარტს ბევრ უბანში მოხდა უმუშევართა დემონსტრაციები. მოხდა გააფთრებული შეტაკებები პოლიციასთან, რომელმაც ბევრი დემონსტრანტი დააპატიმრა. პოლიციის საგუშაგოებს ტყვიამფრქვევები და პროჟექტორები აქვთ; კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობას თვალყურს ადევნებენ გადაცმული პოლიციელები. (ადს).

უმუშევართა საპროტესტო ლაშქრობა

ბერლინი, 6 მარტი. უმუშევართა გამოსვლა დაიწყო დილიდან. ყველგან ვრცელდება კომპარტიის ფურცლები. პირველი დიდი დემონსტრაციები და შეტაკებები პოლიციასთან მოხდა სადილობისას, შრომის ბირჟასთან. შრომის ბირჟასთან, ბერლინის ცენტრალურ ნაწილში, დიდძალი ხალხი შეიკრიბა. შეკრებილთ დაიჭირეს მახლობელი ქუჩები. პოლიციამ ვერ შესძლო ხელი შეეშალა მიტინგისათვის. 5 მარტს საღამოს ჰამბურგში დემონსტრანტების წინააღმდეგ მოახდინეს რამდენიმე ასი პოლიციელის მობილიზაცია, მოხდა გააფთრებული შეტაკებები, რომლებმაც თითქმის შუაღამემდე გასტანეს. დააპატიმრეს 56 კაცი. 5 მარტს [illegible], კილის მახლობლად, პოლიციამ სროლა აუტეხა უმუშევრებს. ერთი მუშა დაიჭრა. 6 მარტს დილით უმუშევართა დიდი დემონსტრაციები გაიმართა ბრესლავლსა და კილში. მოხდა შეტაკებები პოლიციასთან, რომელმაც მრავალი დემონსტრანტი დააპატიმრა. (ადს)

ბერლინი, 6 მარტი. ქიმიური მრეწველობის ცენტრში, ლიუდვიგსჰაფენში პოლიცია ხმლებამოღებული დაესხა თავს დემონსტრანტებს. ერთი მუშა თავში დაიჭრა, 12 დემონსტრანტი დააპატიმრეს. მასიური დემონსტრაციები მოხდა გერაში, ვეინარში, აპოლდაში, პეტეკეში, სტრასფურტში, გოტში და კიუსტრინში.

ჰამბურგში დემონსტრანტებმა 1929 წლის შემდეგ პირველად აღმართეს წითელი დროშა „ბლომ უნდ ფოს"-ის ფირმის უზარმაზარ გემთსაშენებელზე. კილში პოლიცია განსაკუთრებული სიმკაცრით მოქმედებდა. (ადს)

ინგლისი

დემონსტრაციებში მონაწილეობა მიიღო 4.000 უმუშევარმა

ლონდონი, 6 მარტი. უმუშევართა დემონსტრაციაში, რომელიც ტაუერის გორაკზე გაიმართა, მონაწილეობა მიიღო 4.000 კაცმა. უმუშევრები მოდიოდნენ პლაკატებით: „მოგვეცით პური, ძირს შიმშილის „მუშათა" მთავრობა, დაიცავით საბჭოთა კავშირი".

სიტყვები წარმოსთქვეს კომუნისტებმა გალახერმა, პოლიტმა და ტომ მანმა, მათ ჯამი გაუკეთეს მაკდონალდის მთავრობის მუშაობას და აღნიშნეს, თუ რა მნიშვნელობა ექნება უმუშევართა მომავალ შიმშილ ლაშქრობას ლონდონისაკენ. ორატორების მიერ საბჭოთა კავშირის ყოველ ხსენებას დამსწრენი მქუხარე ოვაციებით ხვდებოდნენ. იუწყებიან, რომ გაიმართა დემონსტრაციები სხვადასხვა პროვინციალურ ქალაქებში.

ტაუერის გორაკზე გამართული მიტინგის შემდეგ უმუშევრებმა მოაწყეს მსვლელობა და სცადეს გაერღვიათ პოლიციელთა კორდონების რკალი. პოლიციელები რეზინის ჯოხებით დაერივნენ დემონსტრანტებს. დაიჭრა 6 დემონსტრანტი, ორი საავადმყოფოში მიიყვანეს. მსუბუქად დაიჭრა კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი გარი პოლიტი.

პროვინციიდან ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები მოდის. მანჩესტერში დემონსტრანტ უმუშევრებსა და პოლიციას შორის მოხდა შეტაკება. დააპატიმრეს 7 მუშა. შეფილდში, აკრძალვის მიუხედავად, სხვადასხვა ადგილას გაიმართა მიტინგები, რომლებიც დემონსტრაციებით დამთავრდნენ. [illegible] სამხედრო მოწყობილობის ქარხანაში გაიმართა რამდენიმე ასი მუშის დემონსტრაცია. შოტლანდიის რამდენიმე მაღაროში მოხდა გაფიცვები.

ავსტრია

შეტაკებები პოლიციასთან და ფაშისტებთან

ვენა, 6 მარტი. დემონსტრაციაში მონაწილეობას იღებს 6.000 მუშა. დემონსტრანტები მხნედ არიან განწყობილნი. ხდება შეტაკებები პოლიციასთან და ფაშისტებთან. (ადს)

უმუშევართა მშიერი ლაშქრობა

ვენა, 6 მარტი. 6 მარტს მთელი პოლიცია დილიდანვე ფეხზე დგას. ჟანდარმერიას შეკრული აქვს ვენისაკენ მიმავალი ყველა გზები და პროვინციიდან მომავალ უმუშევართა მშიერი ლაშქრობის მონაწილეებს უსპობენ ვენაში შესვლის საშუალებას. ვენის ქუჩებში ჟანდარმები ფანტავენ შეკრებილ ხალხს. ყველა სახელმწიფო დაწესებულებებში მოთავსებულნი არიან პოლიციელთა რაზმები.

პოლიციამ კონფისკაცია უყო „როტე ფანე"-ს სასწრაფო ნომერს. ვენის ზოგიერთ რაიონებში უკვე 5 მარტის საღამოს მოხდა უმუშევართა შეტაკება პოლიციასთან, რომელიც ხმლებით დაერია დემონსტრანტებს. დაპატიმრებულია მრავალი (ადს).

პოლონეთი

291.000 უმუშევარი

ვარშავა, 6 მარტი. პოლონეთის პრესის ცნობებით, უმუშევართა რიცხვი პოლონეთში 3 მარტისათვის 291.000 კაცს უდრიდა. ამ უკანასკნელ დროს რკინის გზებზე დაითხოვეს 30.000 მუშა, რომელთაგან 20.000 ჩაბმული იყო საამშენებლო სამუშაოებზე, 10.000 მუშაობდა სახელოსნოებში. (ადს)

კანადა

5.000 დემონსტრანტი ტორონტოში

ნიუ-იორკი, 6 მარტი ასოშიეიტედ პრესის ცნობით, ტორონტოში (კანადა) გაიმართა მასიური დემონსტრაცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 5.000 კაცმა. დააპატიმრეს 20 დემონსტრანტი (ადს).

ჩეხო-სლოვაკია

პრაღა — სამხედრო ბანაკი

პრაღა, 6 მარტი. ჩეხო-სლოვაკიის მრავალ ქალაქებში გაიმართა მომუშავე და უმუშევარი მუშების შეერთებული დემონსტრაციები. ყველგან მოხდა სასტიკი შეტაკებები დემონსტრანტებსა და პოლიციელებს შორის. გაბლონცში ჟანდარმერიამ დაჭრა 17 დემონსტრანტი. პრაღის ცენტრი დილიდანვე სამხედრო ბანაკად გადაიქცა. პოლიცია აპატიმრებდა ყველას, ვინც კი შეეცდებოდა სიტყვის წარმოთქმას. პრაღაში მოხდა სამი გამოსვლა.

დააპატიმრეს ბევრი კომუნისტი ორატორები, მათ რიცხვში კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი გულმანი, კომდეპუტატები გოცვალდი და კოპეცკი.

ხამუტოვში და რეიხსბერგში პოლიციამ სცემა და დააპატიმრა მრავალი გამოსულთაგანი. ტეპლიცაში ჟანდარმერია თავს დაესხა დემონსტრანტებს და მრავალი დაჭრა. (ადს)

საბერძნეთი.

ათინა, 6 მარტი. მიუხედავად იმისა, რომ ქუჩები სავსე იყო პოლიციელებით, უმუშევრებმა და მომუშავეებმა, კომპარტიის ხელმძღვანელობით, თვითმმართველობის წინ გამართეს დემონსტრაციები. ჯერ-ჯერობით არ არის მიღებული ცნობები იმის შესახებ, თუ როგორ ჩატარდნენ ეს დემონსტრაციები (ადს).

უნგრეთი

ვენა, 6 მარტი. ბუდაპეშტში და უნგრეთის სხვა სამრეწველო ცენტრებში 6 მარტის წინ გავრცელდა კომპარტიის მრავალი ათასი მოწოდებები, რომელიც უნგრეთის პროლეტარიატს მოუწოდებდა გამოსულიყო ქუჩაში. უმუშევართა კომიტეტი შეუდგა უმუშევრებისა და მომუშავეთა საერთო ბრძოლის ორგანიზაციას და წამოაყენა მთელი რიგი მოთხოვნილებები. (ადს).

ინგლისი და საბჭოთა კავშირი

მოხსენება საბჭოთა კავშირის ხუთწლიანი გეგმის შესახებ

ლონდონი, 6 მარტი. ლონდონში გაიმართა ინგლისელი მუშებისა და ინტელიგენციის ფართო კრება, რომელზედაც წაკითხულ იქნა ორი მოხსენება საბჭოთა კავშირის ხუთწლიანი გეგმის შესახებ. (ადს).

ანტისაბჭოთა კამპანიის წინააღმდეგ

ლონდონი, 6 მარტი. მუშათა პარტიის წევრთა და ინგლისის ინტელიგენციის წარმომადგენელთა ჯგუფმა გამოაქვეყნა განცხადება იმ ანტისაბჭოთა კამპანიის შესახებ, რომელიც ამჟამად ინგლისში სწარმოებს. ჯგუფი იმედს გამოსთქვამს, რომ ინგლისის საზოგადოებრივი აზრი წინააღმდეგობას გაუწევს იმ ცდებს, რომელნიც მიზნად ისახავენ ზიანის მიყენებას ინგლის-საბჭოთა მეგობრული ურთიერთობისათვის. (ადს).

თეთრგვარდიელები ხელს უშლიან კუტეპოვის „დაკარგვის" საქმის გამოძიებას

პარიზი, 6 მარტი. კუტეპოვის საქმე ანტისაბჭოთა კამპანიის ორგანიზატორებისათვის მეტად არახელსაყრელ სახეს ღებულობს. ბევრი გაზეთი, მათ შორის საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ უაღრესად მტრულად განწყობილი ორგანოებიც, აღნიშნავს, რომ თეთრგვარდიელები არა თუ არ ეხმარებიან გამომძიებელ ორგანოებს, არამედ ყოველნაირად უბნევენ მათ გზას და აშკარად ყალბ კვალზე აყენებენ. ამჟამად ყურადღების ცენტრში მოქცეულია ახალი ისტორია, სახელდობრ ის, რომ კუტეპოვი ბერლინში შეხვედრია ორ თეთრგვარდიელს. თეთრგვარდიელები ამ ისტორიას მალავდნენ. ამასთან დაკავშირებით ფანტასტიური ვერსიები იმის შესახებ, ვითომ კუტეპოვი სახელმწიფო პოლიტსამმართველო ორგანოებმა გაიტაცეს, თანდათან უთმობენ ადგილს იმ მოსაზრებას, რომ კუტეპოვის დაკარგვაში წილი უდევთ, ამა თუ იმ მოსაზრებით, თვით თეთრგვარდიელთა წრეებს. (ადს)

განდის „ულტიმატუმი"

6 მარტი. გამოქვეყნდა განდის იმ ულტიმატუმის ტექსტი, რომლითაც მან ინდოეთის მეფის მოადგილეს მიმართა. განდი მეფის მოადგილეს „ძვირფას მეგობარს" უწოდებს და ულტიმატუმში ამბობს:

„სამოქალაქო ურჩობის კამპანიის ჩატარების დაწყებამდე მე გადავწყვიტე მივმართო ინდოეთის მეფის მოადგილეს წინადადებით —გამონახონ გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან. ჩემი პირადი მოსაზრებანი ცნობილია. მე ვფიქრობ, რომ ინდოეთში უნდა მოისპოს ინგლისის ბატონობა, — სწერს განდი, — მაგრამ მე არა მაქვს განზრახვა ზიანი მივაყენო ცალკეულ ინგლისელებს ან ინგლისის კანონიერ ინტერესებს ინდოეთში".

განდი აცხადებს, რომ თუ მეფის მოადგილეს არ შეუძლია მოსპოს მთელი ის ბოროტება, რომლის მოსპობაც მისი მოვალეობაა, მაშინ განდი 11 მარტს თავისი თანამშრომლებით დაიძვრის აშრამიდან და შეუდგება პროპაგანდას იმის შესახებ, რომ ხალხმა არ გაიღოს მარილის გადასახადი, „რომელიც, ღარიბი ხალხის თვალსაზრისით, ყველაზე უფრო უსამართლო გადასახადია".

ულტიმატუმი თავდება სიტყვებით:

„თქვენს ხელთ არის ძალა — ჩაშალოთ ჩემი გადაწყვეტილება ჩემი დაპატიმრებით. მაგრამ იმედი მაქვს, ათი-ათასობით აღმოჩნდებიან ისეთები, რომლებიც მწყობრად განაგრძობენ ჩემს მიერ დაწყებულ საქმეს" (ადს).

წყალდიდობა საფრანგეთში

პარიზი, 6 მარტი. საფრანგეთის სამხრეთ-დასავლეთის შვიდ დეპარტამენტში წყალდიდობა დიდ სოციალურ უბედურებად გადაიქცა და მთელი თავისი სიმძიმით დააწვა მუშათა და გლეხთა მასებს. მდინარეთა ისეთი ადიდება 1875 წლის შემდეგ არავის ახსოვს, დანგრეული და გაფუჭებულია ფაბრიკები და ქარხნები და უმუშევრად დარჩა მრავალი ათასი მუშა. გლეხობას დაეღუპა მოსავალი და საწარმოო საშუალებანი.

„ლუმანიტე" აღნიშნავს, რომ პასუხისმგებლობა უბედურებისათვის მთლიანად ეკისრება ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას, რომელმაც წინასწარ არ გააფრთხილა მოსახლეობა მოსალოდნელი წყალდიდობის შესახებ და არ ურჩია მას თავის დროზე გახიზვნა. ასეთი უყურადღებობის შედეგად დაიღუპა რამდენიმე ასი ადამიანი და აურაცხელი სიმდიდრე (ადს).

ბამბის კონტრაქტაციის გეგმა

მოსკოვი, 7 მარტი. საკავშირო სახკომსაბჭომ მოიწონა საბჭოთა კავშირის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებული 1930 წლის მოსავლის ნედლი ბამბის კონტრაქტაციის გეგმა. შუა აზიაში კონტრაქტაცია უნდა შეეხოს 285.000 ტონას, ამიერ-კავკასიაში — 127.700 ტონას, ახალ რაიონებში — 59.000 ტონას,

ავანსის საშუალო რაოდენობად წონით ერთეულზე დაწესდა: უზბეკისტანისათვის—1 მ. 20 კ. კონტრაქტაციით დაკვეთილ ფუთ ნედლ ბამბაზე, ტაჯიკისტანისათვის — 1 მ. 7 კ., ყირგიზეთისათვის — 1 მ. 22 კ., ამიერკავკასიისათვის — 1 მ. 26 კ. მთელ საბჭოთა კავშირში კონტრაქტაციისათვის გათვალისწინებული თანხის რაოდენობა უდრის 100-110 მილიონ მანეთს (ადს).

მუშათა მომარაგების საკითხები

ხელფასის რეალური დონის გადიდებისათვის ბრძოლას ამჟამად განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება. სამრეწველო-საფინანსო გეგმის შესასრულებლად და მუშათა კლასის საცხოვრებელი დონის გასადიდებლად მიღებულ ღონისძიებათა შორის ეს უმნიშვნელოვანესი რგოლთაგანია. მუშათა მომარაგების ამოცანების გადაწყვეტას უნდა მიექცეს პარტიისა და საბჭოთა ორგანიზაციების მნიშვნელოვანი ყურადღება. ამ ამოცანათა შესრულების ირგვლივ უნდა დაირაზმოს მუშათა კლასის უდიდესი აქტივობა. ეს ამოცანები სამომხმარებლო კოოპერაციის მთავარი ყურადღების საგანს უნდა შეადგენდეს. პარტიული ყრილობების, კონფერენციების და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების დადგენილებები და ცენტრალური კომიტეტის დირექტივები მოითხოვენ, რათა უდიდესი ყურადღება მიექცეს მუშათა მასების სამომხმარებლო მოთხოვნილებებს და მიღებული იქნას ამ დარგში ფართო სამეურნეო და ორგანიზაციული ღონისძიებები.

ის მასალები, რომლებიც მუშათა მომარაგების შესახებ ჩვენს განკარგულებაში იმყოფება, გვიმტკიცებენ, რომ წარსულ წელთან შედარებით ძირითადი სამრეწველო რაიონები, რომელთა მომარაგების საქმე ერთ ცენტრში არის გაერთიანებული, არ უარესდება. მუშა-მომხმარებელთა ის კატეგორიები, რომლებიც კვების პროდუქტებს ერთი ცენტრიდან ღებულობენ და მით უმეტეს ისინი, რომელთა მომარაგებაც უზრუნველყოფილია, მიმდინარე წელს უფრო ფართოდ კმაყოფილდებიან, ვიდრე წარსულ წელს.

სასურსათო მომარაგების მომავალი პერსპექტივები ისეთია, რომ ჩვენ მთელ რიგ სამრეწველო რაიონებში შეგვიძლია გავადიდოთ პურის — მასების გამოკვების ამ ძირითადი პროდუქტის — მიწოდების ნორმები. ხორცის მიწოდება სწარმოებს ნორმალურად. რაც შეეხება თევზს, მომარაგების გეგმით, გაზაფხულიდან განზრახულია თევზის ჭერის გაფართოება და, მაშასადამე — მომარაგების გადიდება. არც სხვა პროდუქტების დარგში გვაქვს საფუძველი ველოდეთ გაუარესებას.

აქედან აშკარაა, რომ ყოველგვარი ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ვითომ სამრეწველო რაიონების მომარაგების საქმეში არსებობს ან მოსალოდნელია გაუარესება (თუ, რასაკვირველია, ავიღებთ არა ცალკე პროდუქტებს, არამედ მთელ სასურსათო ბალანსს), წარმოადგენს მუშათა მომარაგების ნამდვილი მდგომარეობის დამახინჯებას და მავნე ლაყბობას. ამგვარი ლაყბობა კიდევ მით არის მავნებელი, რომ იგი ადუნებს მასების ბრძოლას ნამდვილი დაბრკოლებების წინააღმდეგ. ეს დაბრკოლებები კი იმაში მდგომარეობს, რომ მუშათა მომარაგების საკითხების გადაწყვეტა ჩვენში ჯერ კიდევ ძველი, ახალი სამეურნეო პირობებისათვის შეუფერებელი მეთოდებით სწარმოებს, რომ მუშათა მომარაგების საქმეში არსებობს მთელი რიგი უსაზიზღრესი მოვლენები, რომლებიც დაუნდობლად უნდა აღმოიფხვრას.

აქ უმთავრესად ბრალი მიუძღვის მუშათა კოოპერაციის ზოგიერთ ორგანიზაციებს, რომლებიც არ გრძნობენ იმის აუცილებლობას, რომ საჭიროა მათი მუშაობის ძირითადი გარდაქმნა, და განაგრძობენ ძველებურად მუშაობას მაშინ, როდესაც მასიური მუშაობის მთელ ფრონტზე (პარტია, საბჭოები, პროფკავშირები) უკვე დაწყებულია და მიმდინარეობს ენერგიული გარდაქმნა.

მუშათა კოოპერატივები სრულ უზრუნველყოფას ჯერ კიდევ ცენტრიდან ელოდებიან. არ ახდენენ მასების აქტიურობის და საჭირო მატერიალური სახსრების მობილიზაციას, რაც აუცილებელია, საწყობების, მაღაზიების, საცივრების და სხვა საჭირო შენობათა ქსელის კაპიტალურად გადასაკეთებლად და ასაგებად და ქალაქების ირგვლივ მსხვილი მერძევეობის და მებოსტნეობის მეურნეობათა შესაქმნელად. მუშათა კოოპერატივები უკეთეს შემთხვევაში ზრუნავენ მხოლოდ მასების მიმდინარე მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე და საჭირო მასშტაბით არ აწარმოებენ მუშათა მომარაგების მოსაწესრიგებელ იმ მოსამზადებელ მუშაობას, რომელსაც მოითხოვს მთელი თანამედროვე სამეურნეო მდგომარეობა, ე. ი. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ზრდა, სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და საქონლის ბრუნვის მოწესრიგების საქმეში სახელმწიფოს პოზიციების გაძლიერება.

ამავე დროს სავსებით ნათელია, რომ ინდუსტრიალიზაციის ძლიერი განვითარების შედეგს წარმოადგენს მოთხოვნილებათა მნიშვნელოვანი ზრდა, მოსახლეობის ახალი მასების ჩაბმა სამრეწველო წარმოებაში, მუშათა ტეხნიკური კვალიფიკაციის და კულტურული დონის განუწყვეტელი ზრდა და კადრების გადიდება. იწვევენ სასურსათო რესურსების და პროდუქციის ღირსების გაუმჯობესების მნიშვნელოვანი რაოდენობითი გაზრდის აუცილებლობას. ამავე დროს კოლექტივიზაციის განვითარება ძირეულად სცვლის იმ ურთიერთობის ხასიათს, რომელიც მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის არსებობს და მუშათა კოოპერაციისაგან მოითხოვს გარდაქმნას სოფლად თავისი მუშაობა, როგორც დამამზადებელმა და როგორც განაწილებისა და მოხმარების ორგანიზატორმა სოფლის მეურნეობის სოციალისტურ სექტორში (კოლმეურნეობები). საწარმოო ბაზის უდიდესი სოციალისტური რეკონსტრუქცია იწვევს საყოფაცხოვრებო პირობების გარდაქმნას, საზოგადოებრივი კვების, პურის ქარხნების, სამრეცხაოების, ბაგების და სხვათა მშენებლობის განვითარებას, ახალ [illegible], სამრეწველო რაიონების მომარაგების დარგში წარმოებული მთელი მუშაობა ისეთნაირად უნდა გარდაიქმნას, რომ სასურსათო რესურსების რაოდენობითი ზრდის ტემპის მიხედვით, მნიშვნელოვნად უნდა გადიდდეს განაწილებისა და მოხმარების ახალი ფორმების ორგანიზაციის ტემპებიც.

მაგრამ ამ საყურადღებო ამოცანათა განხორციელების საქმეში მუშათა და მთელი სამომხმარებლო კოოპერაციის აპარატები არ ჩქარობენ. ისინი ვერ აკმაყოფილებენ სათანადოთ ახალშენებათა მოთხოვნილებებს და ვერც საბჭოთა მეურნეობებს და მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებს. არ არსებობს გეგმიანი კავშირი კოლმეურნეობათა სისტემასთან. მერძევეობისა და მებოსტნეობის მეურნეობა ქალაქების გარეუბნებში მიკროსკოპიულად მცირე მასშტაბით ვითარდება. მთელ რიგ ადგილებში შემოდგომა და ზამთარი არ ყოფილა გამოყენებული თესვის მოსამზადებლად. კონტრაქტაცია არ არის საკმაოდ გაშლილი. არ არის აგრეთვე გამოყენებული ყველა შესაძლებლობანი ადგილობრივი დამზადების დარგში. მიუხედავად იმისა, რომ სოფლის მეურნეობის მრავალ ხეერთში ადგილობრივ ბაზარს დიდი მნიშვნელობა აქვს, მუშათა კოოპერაცია თავის მუშაობას თავისუფალი ბაზრის ხელში სტოვებს მაშინ, როდესაც აქ საჭიროა სერიოზული ორგანიზატორული მუშაობა (კონტრაქტაცია, საკლავი საქონლის გასუქების ოპერაციები და სხვა).

მუშათა კოოპერაციას შესაფერად არა აქვს შეგნებული იმ უდიდესი გარდატეხის მნიშვნელობა, რომელიც მუშათა მასებში მოხდა საზოგადოებრივ კვების სასარგებლოდ. საზოგადოებრივ კვებას, როგორც ეს, მაგალითად „პრავდა"-ს მიერ მოწყობილმა დათვალიერებამ დაგვანახვა, აქვს მრავალი დიდი ნაკლი, რომელთაგან ბევრის თავიდან აცილება არც ისე ძნელია. სასადილოების განაწილება საწარმოებში სწორად ვერ ხდება. მრავალი სასადილოების მოწყობილობა და სანიტარული მდგომარეობა ცუდია. სადილების ხარისხი არ არის დამაკმაყოფილებელი. ფასები არ ემორჩილება რაიმე ნორმებს. მუშაობის ფორმები ხშირად მომხმარებლის აღშფოთებას იწვევენ, არ სრულდება რაციონალიზაციის ის სავალდებულო მინიმუმი, რომელიც დაწესებული იყო სასადილოებისა და მაღაზიებისათვის.

ყველა ამ ნაკლოვანებათა თავიდან აცილება არ ხდება შესაფერი ტემპით, პირველ ყოვლისა იმიტომ, რომ მასიური კოოპერატიული მუშაობა სუსტად არის გაშლილი და ხშირად მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. სადუქნო და სასადილოების კომისიები უმოქმედობას იჩენენ, არ არსებობს კომისიების ხელმძღვანელობის სისტემა, კომისიების ზოგიერთი წევრები თვითმომარაგების მიზნით, დაკავშირებულნი არიან გამყიდველებთან, მაღაზიის გამგეებთან და სასადილოების მუშაკებთან. მომხმარებელთა ორგანიზაციები საწარმოებში (კოოპბიუროები) ეწევიან მხოლოდ ტეხნიკურ მუშაობას (მარკების დაკვრა, სიების შედგენა და სხვა), ნაცვლად იმისა, რომ ხელმძღვანელობა გაუწიონ სადუქნო კომისიებს და ჩაატარონ ბოსტნების ორგანიზაცია, საპაიო გადასახადების აკრეფა, ე. ი. ხელი შეუწყონ ძირითად სამეურნეო-ფინანსიური და ორგანიზაციული ამოცანების გადაჭრას. არც პროფკავშირები აქცევენ დიდ ყურადღებას იმას, რომ სასურსათო ამოცანების გადაწყვეტის ირგვლივ დარაზმონ მასები.

რასაკვირველია, სწორი არ იქნებოდა გვეთქვა, რომ სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობაში, კერძოთ და განსაკუთრებით მის მუშურ ნაწილში არ იყოს დიდი მიღწევები ბაზრის დაპყრობის საქმეში. ჩვენმა კოოპერაციამ შესძლო სიმძიმის ცენტრი გადაეტანა მუშათა რაიონებში და უბნებში, სადაც მან გახსნა უნივერსალური მაღაზიები და სხვა. მაგრამ ამჟამად მეტი მნიშვნელობა აქვს არა ამ მიღწევაზე შეჩერებას, არამედ იმ ნაკლოვანებების, რომლებიც ხელს უშლიან იმას, რომ მუშათა მომარაგების საქმე გადაიქცეს სამრეწველო-ფინანსიური გეგმის, ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის, სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის და ყოფა-ცხოვრების კოლექტივიზაციისათვის ბრძოლის უძლიერეს იარაღად.

ამაში მდგომარეობს სიმძიმის მთელი ცენტრი. ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ და შევაფასოთ დღეს მუშათა კოოპერაციის მთელი სისტემის საქმიანობა თავიდან ბოლომდე. უნდა შევიტანოთ თვითკრიტიკის ცხოველმყოფელი სული იმ დახავსებულ კუნჭულებში, რომლებსაც ძველი კერძო დუქნის სუნი ასდით. პროლეტარული ცოცხით უნდა დაუბეროთ აპარატებს და დაუზოგავათ განვდევნოთ იქიდან ყველა უცხო, მიტმასნებული, უვარგისი და უნიჭო ელემენტები და გავატაროთ იქ კლასობრივი პოლიტიკა.

მუშათა მომარაგებას ისე უნდა შევხედოთ, როგორც სოციალისტური მშენებლობის ყველაზე უფრო პასუხსაგებ საქმეს და აქ გადავიტანოთ სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის ყველა ის ფორმები, რომლებსაც სხვა დარგში მივმართავთ. თვითკრიტიკა, წმენდა და მუშაობის შემოწმება მუშათა ბრიგადებისა და „მსუბუქი კავალერიის" მიერ უნდა დაგვეხმაროს მუშაობის ამ ჩამორჩენილი დარგის გარდაქმნაში. მთელი რიგი მუშათა კოოპერატივების მარცხი გვიჩვენებს, რომ საქმე ვერ არის რიგზე, რომ კოოპერატიული აპარატის მთელი რიგი რგოლების მუშაობაში არსებობს ოპორტუნიზმი და ხელმძღვანელობის სისუსტე. მით უფრო გადაჭრით უნდა ვაწარმოოთ ბრძოლა მუშათა კოოპერაციის სრული გაჯანსაღებისათვის და მუშათა მომარაგების საფუძვლიანი გაუმჯობესებისათვის.

ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა თავიანთი ყურადღების მაქსიმუმი უნდა მიაქციონ ამ ამოცანებს, რომელთა მნიშვნელობა აღიარებულია ხელმძღვანელი პარტიული ორგანოების ყველა დადგენილებებით.

„პრავდა", 7 მარტი.

საქართველოს მემაღაროეთა ყრილობა

(ტელეგრაფით, ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

ამხ. ცირეკიძის მოხსენება

ჭიათურა, 7 მარტი. ამხ. ცირეკიძემ აღნიშნა, რომ კონცესიონერის დროს შემცირდა მარგანეცის დამუშავება. მაშინ ჭიათურაში 4.000-მდე უმუშევარი იყო. ამჟამად წარმოება ერთი ათადაა გაზრდილი. მუშების რიცხვი 700-დან 1000-დე ავიდა. გაიზარდა ხელფასი, გაუმჯობესდა შრომის პირობები, ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. მაღაროებში დღეს 147 დამკვრელი ბრიგადაა, რომლებიც 3.500 კაცს აერთიანებენ. 1928-29 წლის საწარმოო გეგმა 8 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა და სხვ.

ეს წარსულის სურათი ყველას აკმაყოფილებს, მაგრამ ყველა კითხულობს: რამ შეაფერხა საქმე 1929-30 წლის 1-ლ კვარტალში? მიუხედავად იმისა, რომ ტრესტის მოხსენება ჯერ არ მოუსმენია ყრილობას, კამათში გამოსული ამხანაგები მაინც ეხებიან საწარმოო გეგმებს. პირველ კვარტალის შედეგები სადაოდაა გადაქცეული.

7 მარტს, დილის სხდომაზე კამათში 20 კაცმა მიიღო მონაწილეობა. ამხანაგები ეხებიან მიღწევებსაც, მაგრამ განსაკუთრებით ხაზს უსვამდენ ნაკლოვანებებს. ისინი აღნიშნავენ, რომ სოციალისტურ შეჯიბრებაში სუსტია ინჟენერ-ტეხნიკოსთა მონაწილეობა, მუშა-გამომგონებლებს სათანადო ყურადღება არ ექცევა. გარდამავალი ჯილდოს გაცემის საკითხი მოუწესრიგებელია, რაც გამოწვეულია იმით, რომ არ სწარმოებს ცალკე მაღაროების მიღწევათა აღრიცხვა.

მოკამათეთა ყურადღების ცენტრია —კადრების გადამზადების საკითხი. აღნიშნავენ, რომ მუშათა დაწინაურებაში არ არის გეგმიანობა, დაწინაურება ხდება მასების მონაწილეობის გარეშე, წინასწარ არ ეცნობიან დასაწინაურებელ მუშებს, ვერ არის კარგათ დაყენებული საექიმო დახმარება, მუშებს დროზე არ ეძლევა სპეცტანსაცმელი.

განსაკუთრებით მწვავედ სდგას მუშებისათვის სურსათის მიწოდების საკითხი. კოოპერაცია მეტად სუსტად მუშაობს ამ დარგში. მუშებს არა აქვთ საკმაო ბინები. საბინაო მშენებლობისთვის გადადებული თანხები არ არის მთლიანად გამოყენებული დანიშნულებისამებრ.

ყრილობის საერთო ყურადღებას იპყრობს მღვიმევის რაიონის წარმომადგენლის გამოსვლა. ორატორი მთელი რაიონის მუშების სახელით აღშფოთებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ ხსენებული რაიონი პირველ კვარტალში შავ დაფაზე იყო გამოცხადებული. იგი ყრილობისაგან მოითხოვს კომისიის გამოყოფას იმის გამოსარკვევად, თუ რამდენად დაიმსახურა შავი დაფა მღვიმევის რაიონმა.

დღეს, საღამოს სხდომაზე მოხსენებით გამოვლენ სამთო ქიმ-ტრესტის მმართველი ამხ. ი. ჭელიძე და საქართველოს მარგანეცის ტრესტის მმართველი ამხ. კ. მოდებაძე.

შრომის სწორი ორგანიზაცია—კოლმეურნეობის სიმტკიცის საფუძველია

შრომის ნაყოფიერება და შრომის დისციპლინა კოლმეურნეობაში და მისი თვითეული წევრის გამომუშავების ნორმები უფრო მაღალი უნდა იყოს, ვიდრე ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობაში

„უპირველეს ყოვლისა საჭიროა მივაღწიოთ გადამწყვეტ გარდატეხას კოლმეურნეობაში შრომის დისციპლინის ამაღლების საქმეში, რასაც საფუძვლად უნდა დაედვას კოლმეურნეობათა წევრების ნამდვილად შეგნებული მოპყრობა თავიანთ მოვალეობებისადმი.--ამასთანავე გატარებული უნდა იქნეს პრინციპი პასუხისმგებლობისა დავალებულ სამუშაოს შესრულებისათვის და უნდა შეიქმნეს კოლმეურნეობის თვითეული წევრის პირადი მატერიალური დაინტერესება შრომის ნაყოფიერების გადიდებით“. (საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის დადგენილებიდან)

კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაცია და ანაზღაურება

საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრის დადგენილება

I. შრომის ორგანიზაცია

1. კოლმეურნეობებში განსაზოგადოებული შრომის სწორად მოწესრიგების მიზნით, კოლმეურნეობებში შედგენილ საწარმოო გეგმებმა უნდა უზრუნველჰყონ მუშა-ხელის მიზანშეწონილი განაწილება ცალკე სამეურნეო დარგებს შორის და მისი სავსებით გამოყენება კოლმეუონეობის საერთო მუშაობაში.

ა) წლიურ საწარმოო გეგმით გათვალისწინებული უნდა იქნას მუშა-ხელის მარაგი წლის, თვეების და სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ცალკე პერიოდების მიხედვით. კოლმეურნეობის სას.-სამ. მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღოს კოლმეურნეობის ყველა შრომის უნარის მქონე წევრმა, როგორც მამაკაცებმა, ისე ქალებმა; აგრეთვე მსუბუქ სამუშაოზე გამოყენებულ უნდა იქნან მოზარდები და შრომის უნარს ნაწილობრივ მოკლებული პირები.

ამასთანავე მთელი წლის, თვეებისა და სამუშაოთა პერიოდების მიხედვით გამორკვეული უნდა იქნეს იმ სამუშაო დღეების რაოდენობა, რომელიც საჭირო საწარმოო გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესასრულებლად.

ბ) კვალიფიციური (მომზადებული) მუშა-ხელის მიერ (აგრონომები, ტეხნიკოსები, ბუღალტრები და სხვა) და სახელოსნოებში (მჭედლები, ზეინკლები, მკერავები, ხარაზები და სხვა) დახარჯული შრომა ცალკე აღირიცხება; ის არ შედის კოლმეურნეობის წევრთა მუშა-ხელის გამოყენების საერთო ანგარიშში.

2. თუ კოლმეურნეობათა მუშა-ხელი არ შეიძლება მთლიანად გამოყენებულ იქნეს სასოფლო- სამეურნეო სამუშაოზე, კოლმეურნეობამ უნდა გააფართოვოს უკვე არსებული და მოაწყოს ახალი შინასამრეწველო სარეწაოები, სახელოსნოები და ნედლეულობის გადამმუშავებელი წამოწყებანი. ამ მიზნით ფართოდ უნდა იქნეს მოწესრიგებული სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაციებისაგან შინამრეწველობის ნაწარმოებზე დაკვეთების მიღება.

3. თუ ასეთი დამხმარე დარგების მოწყობისა და საწარმოო გეგმის სათანადოთ გადასინჯვის შემდეგ კოლმეურნეობაში მაინც დარჩება თავისუფალი მუშა-ხელი, საჭიროა მათგან მოეწყოს სეზონურ მუშათა ბრიგადები; კოლმეურნეობის წევრთა ეს ბრიგადები სამუშაოდ გაიგზავნებიან ისეთ კოლმეურნეობებში, რომელიც მუშა-ხელის ნაკლებობას განიცდიან; ისინი გაიგზავნებიან აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებში, ქარხნებში, საალმშენებლო სამუშაოებზე და სხვა სარეწაოებზე. კოლმეურნეობის წევრთა ინდივიდუალურად წასვლა გარე სამუშაოზე სწარმოებს მხოლოდ და მხოლოდ კოლმეურნეობის გამგეობის თანხმობით.

4. თუ კოლმეურნეობის წლიურ საწარმოო გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოების შესრულება შეუძლებელია განსაზოგადოებული მუშა-ხელით, ამ დანაკლისის შესავსებად დაუშვებელია საწარმოო გეგმის გადასინჯვა რომელიმე სახ.-სამეურნეო დარგის საზიანოდ. ასეთ შემთხვევაში, მუშა-ხელის დანაკლისის შევსება უნდა სწარმოებდეს ზედმეტ მუშა-ხელის მქონე კოლმეურნეობათაგან ბრიგადების მოწვევის საშუალებით.

5. კოლმეურნეობაში ზედმეტი მუშა-ხელის არსებობის პირობებში პირველ რიგში სამუშაო უნდა მიეცეს მოჯამაგირეებსა და ღარიბ გლეხებს.

6. კოლმეურნეობის წევრთა კვალიფიკაციისა (მომზადების) და შრომის ნაყოფიერების აწევის მიზნით, კოლმეურნეობებში გატარებულ უნდა იქნეს სამუშაოთა სპეციალიზაცია (დახელოვნება) წევრთა ცალკე ჯგუფების ხანგრძლივი ვადით (არა ნაკლებ ერთი სეზონისა) განსაზღვრულ სამუშაოზე მიმაგრებით. ამასთან ერთად მუშა-ხელის მიზანშეწონილად განაწილების მიზნით, მსხვილ კოლმეურნეობებში უნდა მოეწყოს საწარმოო ბრიგადები ცალკე სამეურნეო დარგების მიხედვით: მემინდვრეობაში, მესაქონლეობაში, მევენახეობაში, მებაღეობაში და სხვა.

II. შრომის ანაზღაურება

7. კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების ძირითად სისტემად აღიარებულ იქნეს ტარიფიკაციაქმნილი სანარდო ხელფასი. შრომის ანაზღაურება დროს მიხედვით დაწესდეს მხოლოდ იმ სამუშაოებზე, რომელიც არ შეიძლება განსაზღვრულ იქნეს ნორმით (მმართვა-გამგებლობა, კანცელარიის სამუშაო, გონებრივი მუშაობა და წვრილი სას.-სამ. სამუშაოები) და აგრეთვე მოზარდთათვის და მოზარდშეგირდებისათვის. სპეციალისტების შრომის ხელფასი (აგრონომი, ინჟინერი და სხვა) დაწესდეს ყველა კოლმეურნეობებისათვის ერთიანი განაკვეთით, რომელიც განისაზღვრება სახელმწიფო მოწესრიგების წესით.

8. შრომის სანარდო ანაზღაურების მოწესრიგების მიზნით, ჩატარებულ იქნეს სას.-სამეურნეო სამუშაოების ტარიფიკაცია; რისთვისაც ყველა სას.-სამ. სამუშაოსათვის დაწესებულ იქნეს გამომუშავების ნორმა და ტარიფიკაციაქმნილ იქნეს სასოფლო- სამეურნეო სამუშაოები თანრიგებისა და სას.-სამეურნეო წარმოების პროცესებში მონაწილეთა კვალიფიკაციის მიხედვით.

ა) საქართველოს კოლმეურნცენტრის მიერ სასოფლო -სამეურნეო სამუშაოთა სავარაუდოთ განსაზღვრულ გამომუშავების ნორმების საფუძველზე, საქართველოს ყველა კოლმეურნეობებში არა უგვიანეს 20 მარტისა სისწორით უნდა იქნეს დაწესებული გამომუშავების ნორმები ამა თუ იმ რაიონის პირობებთან შეფარდებით და კოლმეურნეობის გამგეობის მიერ საბოლოოდ მიღების შემდეგ (საწარმოო თათბირზე წინასწარ განხილვით), წარუდგინოს დასამტკიცებლად რაიონულ კოლმეურნკავშირს ან კოლმეურნსექციას.

გამომუშავების ნორმების დაწესების დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მახლობელ საბჭოთა მეურნეობაში არსებული გამომუშავების ნორმები.

ბ) საქართველოს კოლმეურნცენტრის მიერ სანიმუშოთ შემუშავებულ სახ.-სამეურნეო სამუშაოთა სატარიფო ცხრილის თანრიგებათ დაყოფაში საქართველოს ყველა კოლმეურნეობებმა არა უგვიანეს 20 მარტისა უნდა შეიტანონ შესწორებანი და ცვლილებანი იმ ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით, რომლებიც განსაზღვრავენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ხასიათს. სამუშაოების თანრიგებად დაყოფა კოლმეურნეობათა გამგეობის მიერ საბოლოოდ მიღების შემდეგ (საწარმოო თათბირზე წინასწარ განხილვით) ეგზავნება საოლქო კოლმეურნკავშირებს და მაზრის კოლმეურნსექციებს დასამტკიცებლად.

გ) საქართველოს ყველა კოლმეურნეობებისათვის დაწესებულ იქნეს 5 თანრიგიანი ცხრილი, მხოლოდ შეფარდება პირველ და უკანასკნელ თანრიგს შორის დაწესდეს როგორც 1:2-თან. ამის მიხედვით დაწესებულ იქნეს შრომის ხელფასის შემდეგი კოეფიციენტები:

I—1,0' II—1,25; III—1,5; IV — 1,75 და V—2,00.

დ) საქართველოს კოლმეურნცენტრის მიერ შედგენილ სანიმუშო სქემის მიხედვით, ყოველ კოლმეურნეობაში დაწესდეს რაიონულ კოლმეურნკავშირის ან რაიკოლმეურნსექციის ხელმძღვანელობით არა უგვიანეს 20 მარტისა სამუშაოთა განსაზღვრულ კატეგორიებისათვის სატარიფო განაკვეთები, ე. ი. სატარიფო ცხრილის სხვადასხვა სამუშაოთა თანრიგის ხელფასი. ამასთან ერთად თვით კოლმეურნეობებში დაწესებული იქნეს I თანრიგის ხელფასი წლიური საწარმოო გეგმის საფუძველზე.—ამისათვის წლიურ საწარმოო გეგმიდან აღებულ უნდა იქნეს გათვალისწინებულ სამუშაო დღეების საერთო რაოდენობა და ამ შრომის ასანაზღაურებლად განსაზღვრული ხელფასი. I-ლ თანრიგის სამუშაოებისათვის განსაზღვრულ ხელფასის მიხედვით გამოანგარიშებული უნდა იქნეს შრომის ანაზღაურების სატარიფო განაკვეთები დანარჩენ თანრიგებისათვის სათანადო კოეფიციენტების გამოყენებით.

ე) სამუშაოთა სწორი ტარიფიკაციის დაწესების მიზნით, ყველა კოლმეურნეობაში სერიოზული ყურადღება მიექცეს ცალკე სატარიფო თანრიგების მიხედვით წლის განმავლობაში გამოსაყენებლად გათვალისწინებულ შრომის გამორკვევას და ამ შრომის ასანაზღაურებელ თანხის საერთო ჯამის სწორ განსაზღვრას.

9. სანარდო შრომის ანაზღაურების მოწესრიგების მიზნით ყოველ კოლმეურნეობაში დაწესებულ იქნეს შეფასების ერთეულები, როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფური სანარდო მუშაობისათვის.

10. სანარდო შრომის დროს, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით აუცილებლად იქნეს მიღებული მხედველობაში სანარდო მუშაობის რაოდენობით მიღწევებთან ერთად, შესრულებულ სამუშაოთა ხარისხიც, რისთვისაც ყოველ კოლმეურნეობაში დაწესებულ იქნეს ჯილდოების გაცემა კარგ ნამუშევარზე და დაჯარიმება სამუშაოთა არადამაკმაყოფილებელ შემსრულებლისათვის; ამასთან ერთად კოლმეურნეობებში შემოღებულ იქნეს სანარდო მუშაობა ბრიგადებით.

ა) შესრულებულ სამუშაოთა ხარისხის სწორად შესამოწმებლად დაწესდეს 4 ხარისხობრივი შეფასება: კარგი, დამაკმაყოფილებელი, არადამაკმაყოფილებელი და ცუდი. კარგ ნამუშევარზე დაწესდეს ჯილდო, არადამაკმაყოფილებელი— დაჯარიმდეს, ხოლო ცუდი ნამუშევარი— შესრულებულად არ ჩაითვალოს (დაწუნებულ იქნეს).

ბ) სასოფლო- სამეურნეო წარმოების მონაწილეთა დაჯილდოვების უკეთ გატარებისათვის ყოველ კოლმეურნეობაში დაწესებულ იქნეს დაჯილდოვების ობიექტები(საგანი) და ამასთან ერთად საწარმოო გეგმით გათვალისწინებულ უნდა იქნეს საპრემიო (დასაჯილდოვებელი) ფონდის შექმნა.

გ) ყოველ კოლმეურნეობაში შემუშავებულ იქნეს სასჯელთა ცხრილი —ამ ცხრილში გათვალისწინებული იქნეს შესრულებულ სამუშაოთა ის ხარისხი და სახე, რისთვისაც სამუშაოს არადამაკმაყოფილებლად ან ცუდათ შემსრულებელი დასჯილი უნდა იქნეს. ამასთან ერთად ყოველ ცალკე შესრულებულ სამუშაოსათვის სწორად იქნეს განსაზღვრული ის შემთხვევები, რომლის მიხედვით კოლმეურნეობის მუშაკს ედება სასჯელი (საზოგადოებრივ გაკიცხვა, დაჯარიმება, მაღალ თანრიგის სამუშაოდან დაბალ თანრიგის სამუშაოზე გადაყვანა და სხვა, თვით კოლმეურნეობიდან გარიცხვამდე).

დ) კოლმეურნეობის მუშაკთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ყოველ წევრისათვის მატერიალურ დაინტერესების შესაქმნელად სასურველად იქნეს ცნობილი სანარდო მუშაობის შემოღება ბრიგადებით.

11. შრომის ორგანიზაციისა და მისი ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საკითხების მოსაგვარებლად არა უგვიანეს 15 მარტისა ყოველ კოლმეურნეობაში მოწყობილ იქნეს შრომის ბიურო.

12. ამ წესების ადგილობრივ კონკრეტულ პირობებთან შეფარდების დროს კოლმეურნეობებმა მტკიცედ უნ და იხელმძღვანელონ კოლმეურნცენტრის მიერ ამ საკითხის შესახებ სპეციალურად დამუშავებულ ინსტრუქციით, კოლმეურნეობებში შრომის ანაზღაურების წესების შესახებ.

ინსტრუქცია შრომის ანაზღაურების წესის შესახებ კოლმეურნეობებში

(კოლმეურნეობათა ცენტრის დადგენილების განმარტება)

მე-7 მუხლი

ყოველ კოლმეურნეობაში შემოღებულ უნდა იქაას სანარდო წესი ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოს ანაზღაურებისათვის. შრომის ანაზღაურების ამ წესის მიხედვით, უნდა შეფასდეს არა სამუშაო დროის ერთეული, ე. ი. მუშაობის განსაზღვრული დრო, არამედ დახარჯული შრომის ერთეული, ე. ი. განსაზღვრული დავალება, განაკვეთი. ამასთან კოლმეურნეობებში წესდება შრომის სანარდო ანაზღაურება ტარიფების მიხედვით.

შრომის ანაზღაურება დროის მიხედვით (დღიური, თვიური მუშაობის ანაზღაურება) წესდება ისეთი სამუშაოებისათვის, რომელთა მიმართაც შეუძლია გამომუშავების ნორმების გამორკვევა (მართვა - გამგეობის დარგი, საკანცელარიო და გონებრივი შრომა, წვრილი სასოფლო - სამეურნეო სამუშაოები), აგრეთვე მოზარდებისათვის და მოზარდ - შეგირდებისათვის.

დროის მიხედვით შრომის ანაზღაურება წესდება აგრეთვე სპეციალისტებისათვის (აგრონომი, ინჟენერი, ტეხნიკოსი და სხვ.), მაგრამ მათი ჯამაგირის რაოდენობა უნდა შეეფარდებოდეს იმ განაკვეთებს, რომლებსაც აწესებენ შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოები შრომის სახელმწიფოებრივი მოწესრიგების ხაზით.

მე-8 მუხლი

იმისათვის, რომ შრომის სანარდო ანაზღაურების პრინციპი სისწორით განხორციელდეს, საჭიროა: 1) მოხდეს სასოფლო - სამეურნეო სამუშაოების ტარიფიკაცია თანრიგების და სასოფლო - სამეურნეო წარმოების ყველა პროცესების მონაწილეთა კვალიფიკაციის მიხედვით და 2) განისაზღვროს გამომუშავების ნორმები ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის.

იმისათვის, რომ მიღებულ იქნას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების სწორი ტარიფიკაცია, საჭიროა: ა) სისწორით განაწილდეს სასოფლო - სამეურნეო სამუშაოები. სატარიფო ცხრილის თანრიგების მიხედვით და ბ) დაწესდეს წარმოებული სასოფლო - სამეურნეო სამუშაოების განაწილება სატარიფო ცხრილის ცალკე თანრიგების მიხედვით, შრომის ანაზღაურების იმ კოეფიციენტის საფუძველზე, რომელიც დადგენილია კოლმეურნეობათა ცენტრის მიერ.

სასოფლო - სამეურნეო სამუშაოების სწორი განაწილება სატარიფო ცხრილის თანრიგების მიხედვით მდგომარეობს შემდეგში:

სოფლის მეურნეობის იმ ცალკე დარგებში, რომლებსაც კოლმეურნეობა მისდევს, გამორკვეულ უნდა იქნეს სამუშაოების ყველა ოპერაციები (მაგალითად, ხვნა, ფარცხვა, ლეწვა, პირუტყვის მოვლა, მიწის გადაბრუნება და სხვ.).

სამუშაოების ყოველი ოპერაციის შესრულებას თან სდევს თავისებური სიძნელე და მისი განხორციელება მოითხოვს ამა თუ იმ კვალიფიკაციას. რადგან, შესრულების სირთულის მხრივ, სამუშაოთა ცალკე ოპერაციები თვალსაჩინოდ განირჩევიან ერთმანეთისაგან, ამიტომ ეს ოპერაციები უნდა გაიყოს 5 თანრიგად, რადგან საქართველოს ყველა კოლმეურნეობებისათვის დაწესებულია ხუთ - თანრიგიანი სატარიფო ცხრილი. მუშაობის დაყოფის გზას სატარიფო ცხრილის თანრიგების მიხედვით გვიჩვენებენ შრომის ანაზღაურების კოეფიციენტები, ე. ი. სამუშაოთა შეფასების შეფარდება თანრიგებს შორის. 1-ლი თანრიგის სამუშაოებისათვის დაწესებულია კოეფიციენტი 1,0; მე-2 თანრიგის სამუშაოებისათვის—1.22, მე-3 თანრიგის სამუშაოებისათვის—1,50, მე-4 თანრიგის სამუშაოებისათვის—1,75 და მე-5 თანრიგის სამუშაოებისათვის—2,0.

როგორც ამ შეფარდებებიდან სჩანს, 1-ლ თანრიგში მიკუთვნებულ სამუშაოთა ანაზღაურება ითვლება 100 პროცენტად, ხოლო შრომის ანაზღაურება სხვა თანრიგებში იზრდება იმის და მიხედვით, თუ რამდენად რთული კვალიფიკაცია ესაჭიროება ამა თუ იმ სამუშაოს შესრულებას. მაგალითად: 1) მე-2 თანრიგს მიკუთვნებული სამუშაო 25 პროცენტით რთულია 1-ლი თანრიგის სამუშაოზე და ამიტომ ანაზღაურებული იქნება 25 პროცენტით მეტად, ვიდრე 1-ლ თანრიგის სამუშაო; 2) მე-3 თანრიგის სამუშაო 25 პროცენტით რთულია მე-2 თანრიგის სამუშაოზე და 50 პროცენტით რთულია 1-ლი თანრიგის სამუშაოზე, ამიტომ მე-3 თანრიგის სამუშაო ანაზღაურებელი იქნება 25 პროცენტით მეტად, ვიდრე მე-2 თანრიგის სამუშაო და 50 პროცენტით მეტად, ვიდრე 1-ლი თანრიგის სამუშაო; 3) მე-4 თანრიგის სამუშაო 25 პროცენტით რთულია მე-3 თანრიგის სამუშაოზე და 75 პროცენტით რთულია 1-ლი თანრიგის სამუშაოზე, ამიტომ მე-4 თანრიგის სამუშაო ანაზღაურებული იქნება 25 პროცენტით მეტად, ვიდრე მე-3 თანრიგის სამუშაო და 75 პროცენტით მეტად, ვიდრე 1-ლი თანრიგის სამუშაო და 4) მე-5 თანრიგის სამუშაო 25 პროცენტით რთულია მე-4 თანრიგის სამუშაოზე და 100 პროცენტით რთულია 1-ლი თანრიგის სამუშაოზე, ამიტომ მე-5 თანრიგის სამუშაო ანაზღაურებული იქნება 25 პროცენტით მეტად, ვიდრე მე-4 თანრიგის სამუშაო და 100 პროცენტით მეტად, ვიდრე 1-ლი თანრიგის სამუშაო.

ზემოხსენებულის მიხედვით, კოლმეურნეობებში შესრულებული სამუშაოები შეიძლება სწორად გაიყოს 5 თანრიგად.

ადგილებზე მუშაობის გასაადვილებლად საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრმა სოფლის მეურნეობის ყველა დარგებში სამუშაოები გაანაწილა 5 თანრიგად. ამ განაწილებას საორიენტაციო ხასიათი აქვს და მისი შეცვლა შეიძლება ამა თუ იმ სასოფლო-სამეურნეო რაიონის პირობებთან შეფარდებით. არა უგვიანეს 20 მარტისა ყოველმა კოლმეურნეობამ ამ განაწილებაში უნდა შეიტანოს სათანადო ცვლილებები, დაამტკიცოს ეს განაწილება კოლმეურნეობის გამგეობის სხდომაზე (საწარმოო თათბირზე წინასწარ განხილვის შემდეგ) და დასამტკიცებლად წარედგინოს კოლმეურნეობათა საოლქო ცენტრს და კოლმეურნეობათა სამაზრო სექციას.

ბ) იმისათვის, რომ სწორად განისაზღვროს გამომუშავების ნორმები ყველა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის, საჭიროა ყოველ კოლმეურნეობაში გამოირკვეს, თუ რა დავალების შესრულება შეუძლია კოლმეურნეობის წევრს 10 საათის მუშაობაში (მაგალითად რამდენი შეუძლია მოხნას, დათესოს, დაბზაროს და სხვ.) ამ შემთხვევაში 10 საათი წარმოადგენს სამუშაო დღის ხანგრძლივობის საზომს, ხოლო გამომუშავების ნორმა იქნება იმ სამუშაოს სიდიდის (განაკვეთის) საზომი, რომელიც ამ 100 საათში უნდა შესრულდეს.

საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრმა საორიენტაციოდ განსაზღვრა გამომუშავების ნორმები ყველა სახის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, ამ ნორმებით უნდა ისარგებლოს ყოველმა კოლმეურნეობამ გამომუშავების ნორმების განსაზღვრის დროს ამა თუ იმ რაიონის სოფლის მეურნეობის პირობებთან შეფარდებით. ამრიგად, გამომუშავების ის ნორმები, რომლებიც კოლმეურნეობათა ცენტრმა განსაზღვრა, შეიძლება შეცვლილ იქნას ყოველ კოლმეურნეობაში მუშაობის პირობებთან შეფარდებით. გამომუშავების ნორმების განსაზღვრის დროს სახელმძღვანელოდ აღებულ უნდა იქნას ერთის მხრივ მახლობელი საბჭოთა მეურნეობის გამომუშავების ნორმები, ხოლო მეორეს მხრივ კოლმეურნეობის საუკეთესო მუშის გამომუშავება.

გამომუშავების ნორმების განსაზღვრა ყოველ კოლმეურნეობაში უნდა დამთავრდეს არა უგვიანეს 20 მარტისა. ნორმები უნდა დაამტკიცოს კოლმეურნეობის გამგეობამ (საწარმოო თათბირზე წინასწარ განხილვის შემდეგ) და დასამტკიცებლად წარუდგინოს კოლმეურნეობათა რაიონულ კავშირს ან კოლმეურნეობათა რაიონულ სექციას.

გ) სატარიფო განაკვეთი, ე. ი. შრომის ანაზღაურება სატარიფო ცხრილის ცალკე თანრიგების მიხედვით, განისაზღვრება თვით კოლმეურნეობაში შემდეგი სქემის მიხედვით.

1) იმ მიზნით, რომ განისაზღვროს შრომის ანაზღაურება სატარიფო ცხრილის ყველა თანრიგებში, საჭიროა პირველ რიგში განისაზღვროს შრომის ანაზღაურება I-ლ თანრიგში. ამისათვის გამოყენებულ უნდა იქნას კოლმეურნეობაში შედგენილი წლიური საწარმოო გეგმა. ამ გეგმიდან ამოღებულ უნდა იქნას შემდეგი ცნობები: რამდენი სამუშაო დღე დასჭირდება კოლმეურნეობას მიმდინარე საწარმოო წლის განმავლობაში და კოლმეურნეობის საერთო შემოსავლის რა ნაწილი უნდა მოხმარდეს კოლმეურნეობის წევრთა შრომის ანაზღაურებას. საწარმოო გეგმაში ეს ცნობები გარკვეული უნდა იყოს. თუ ეს ცნობები ჯერ კიდევ არ მოიპოვება, დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს მათი გამორკვევა. შემდეგ უნდა მოხდეს მთელი რიგი გამოანგარიშებანი, —მაგალითად, რომელსამე კოლმეურნეობაში საწარმოო გეგმით ნავარაუდევია დაიხარჯოს 5.000 სამუშაო დღე და საერთო შემოსავლიდან კოლმეურნეობის წევრთა შრომის ასანაზღაურებლად დაიხარჯოს 7.080 მანეთი. ეს 5,000 სამუშაო დღე მოხმარდება სხვადასხვა თანრიგის სამუშაოებს სატარიფო ცხრილის მიხედვით. შემდგომი გამოანგარიშებისათვის საჭიროა გამორკვეულ იქნას, თუ რამდენი სამუშაო დღე დასჭირდება ცალკე თანრიგების სამუშაოებს. ვთქვათ, წლის განმავლობაში 5.000 დღიდან ნავარაუდევია მოხმარდეს:

I	თანრიგის	სამუშაოს	—500 დღე.
II	„	„	— 1.500 „
III	„	„	— 1.500 „
IV	„	„	— 1.000 „
V	„	„	— 500 „
		სულ	5.000 დღე.

2) როდესაც გამოანგარიშებული იქნება ცალკე თანრიგებში საჭირო სამუშაო დღეების რიცხვი, მე2, მე-3, მე-4 და მე-5 თანრიგების საჭირო სამუშაო დღეების რიცხვი გადაყვანილ უნდა იქნას 1-ლი თანრიგის სამუშაო დღეებად, ამრიგად მივიღებთ, თუ რამდენი უბრალო სამუშაო დღე, ე. ი. 1-ლი თანრიგის რამდენი სამუშაო დღე არის საჭირო წლიური საწარმოო გეგმით გათვალისწინებულ სამუშაოთა შესასრულებლად. იმისათვის, რათა მთელი 5.000 სამუშაო დღე გადაყვანილ იქნას 1-ლი თანრიგის სამუშაო დღეების რაოდენობად, საჭიროა ყოველი თანრიგის სამუშაო დღეთა საჭირო რიცხვი გამრავლებულ იქნას შრომის ანაზღაურების სათანადო კოეფიციენტებზე. მაგალითად:

განაკვეთები.	წლიური საწარმოო გეგმის მიხედვით საჭირო კაც-დღე	შრომის ანაზღაურების კოეფიციენტი.	საჭირო სამუშაო დღეები I თანრიგის სამუშაო დღეებად გადაყვანით
I	500	1,0	500
II	1.500	1,25	1.875
III	1.500	1,50	2.250
IV	1.000	1,75	1.750
V	500	2,0	1,000
			სულ 7.375

ამრიგად, ამ კოლმეურნეობაში 1-ლ თანრიგში გადაყვანით საჭიროა 7.375 დღე, ხოლო წლიური ხელფასის ნავარაუდევი თანხა განისაზღვრება 7.080 მანეთით.

3) I-ლი თანრიგის შრომის ანაზღაურება შეიძლება მივიღოთ ხელფასის თანხის (7.080 მან.) არითმეტიკული გაყოფით I თანრიგის სამუშაო დღეების საერთო რაოდენობაზე (7375 დღეზე, 7.080 : 7.375=0,96) და მივიღებთ, რომ I თანრიგის დღის ანაზღაურება უდრის 0,96 მანეთს, ე. ი. 96 კაპეიკს.

4) როდესაც გვაქვს I თანრიგის შრომის ანაზღაურება და შრომის ანაზღაურების კოეფიციენტები ყველა თანრიგებში, შეგვიძლია განვსაზღვროთ დღიური ანაზღაურება ყველა თანრიგებში ამისათვის I თანრიგის შრომის ანაზღაურების სიდიდე უნდა გავამრავლოთ შრომის ანაზღაურების სათანადო კოეფიციენტებზე. მაგალითად:

თანრიგი.	I თანრიგის შრომის ანაზღაურება.	ანაზღაურების კოეფიციენტი.	სამუშაო ხელფასი დღეში თანრიგების მიხედვით.	I-ლი თანრიგის შრომის ანაზღაურებაზე მეტი.
I	96 კ.	1,0	96 კ.	—
II	96 „	1, 5	1 მ. 21 „	25 პროც.
III	96 „	1,50	1 „ 45 „	50 „
IV	96 „	1,75	1 „ 69 „	75 „
V	96 „	2,0	1 „ 92 „	100 „

ამრიგად ჩვენ განვსაზღვრეთ შრომის ანაზღაურება სამუშაოთა ყოველ თანრიგში 10 საათის სამუშაო დღის მიხედვით.

ზემოხსენებული სქემის მიხედვით, ყოველ კოლმეურნეობაში, კოლმეურნეობათა რაიონული კავშირის ან კოლმეურნეობათა რაიონული სექციის ხელმძღვანელობით წესდება კოლექტიურ მეურნეობაში წარმოებულ ყველა სასოფლო - სამეურნეო სამუშაოთა ტარიფიკაცია.

მე-9 მუხლი

კოლმეურნეობებში საერთო წესად მიღებული უნდა იყოს შრომის პერსონალური სანარდო ანაზღაურება. შრომის ჯგუფური სანარდო ანაზღაურება გამოყენებულ უნდა იქნას იმ სამუშაოებში, რომლებშიაც შეუძლებელია აღრიცხულ იქნას, თუ რა შრომა დახარჯა სასოფლო - სამეურნეო წარმოების ყოველმა მონაწილემ.

იმისათვის, რომ მოწესრიგებულ იქნას შრომის სანარდო ანაზღაურება, ყოველ კოლმეურნეობაში უნდა განისაზღვროს სანარდო სამუშაოს ერთეულების შეფასება. შეფასების ერთეული ირკვევა ამა თუ იმ თანხების სამუშაოთა შრომის ანაზღაურების გაყოფით გამომუშავების დღიურ ნორმაზე. მაგალითად, ტრაქტორით ხვნა ეკუთვნის მე-5 თანრიგის სამუშაოებს, ხოლო ამ კატეგორიის შრომის დღიური ნაზღაურების სიდიდე, ე. ი. ერთი დღის ხელფასი სატარიფო ცხრილის მიხედვით შეადგენს 1 მან. 92 კაპეიკს. ვთქვათ, 10 საათის მუშაობაში ერთ ტრაქტორისტ შეუძლია მოხნას 2,5 ჰექტარი მიწა, ე. ი. მისი გამომუშავების ნორმა 2,5 ჰექტარს უდრის. ხოლო სანარდო ანაზღაურების ერთეულის შეფასება ასეთ შემთხვევაში 77 კაპეიკი იქნება. ამრიგად ტრაქტორისტის მიერ 1 ჰექტარი მიწის მოხვნა 77 კაპეიკად ფასდება.

თუ ტრაქტორისტი 10 საათის მუშაობაში მოხნავს არა 2,5 ჰექტარს, არამედ 3,5 ჰექტარ მიწას, იგი მიიღებს სანარდო ანაზღაურებას არა 1 მან. 92 კაპ., არამედ 2 მან. 69 კაპეიკს, ე. ი. 77 კაპეიკით მეტს (ერთი ზედმეტი ჰექტარი მიწის მოხვნის ღირებულება).

შეფასების ერთეული ყოველ კოლმეურნეობაში ირკვევა მასში ჩატარებულ სამუშაოებთან შეფარდებით.

შეფასების ერთეულის დაწესება ხდება სხვადასხვა მეთოდებით პერსონალური და ჯგუფური სანარდო მუშაობის დროს.

ა) ინდივიდუალური სანარდო მუშაობის დროს

გარკვეული დავალება - განაკვეთი ეძლევა ინდივიდუალურად სასოფლო - სამეურნეო წარმოების ყოველ მონაწილეს; შეფასების

(მასალის გაგრძელება იხილე მე-3 გვერდზე)

შრომის ორგანიზაცია და შრომის ანაზღაურება კოლექტიურ მეურნეობაში

იმ საკითხებიდან, რომლებიც ეხება კოლმეურნეობათა შინა-ორგანიზაციულ განმტკიცებას, ყველაზე რთულ საკითხს წარმოადგენს იმის გამორკვევა, თუ როგორ უნდა მოწესრიგდეს და როგორი წესით უნდა ანაზღაურდეს კოლმეურნეობაში გაერთიანებულ მოსახლეობის განსაზოგადოებული შრომა.

ამ საკითხზე სრულიად გარკვეულ პასუხს იძლევა „კომუნისტი“-ს ა. წ. 4 მარტის ნომერში გამოქვეყნებულ „სას.-სამ. არტელის სანიმუშო წესდების“ მე-7 თავში მოყვანილი 12, 13, 14, 15 და 16 მუხლები. საკითხის ფართოდ გაშუქების მიზნით ჩვენ აქ შევეხებით იმ პრაქტიკულ საკითხებს, რომელთა გადაჭრას გადაუდებელი ყურადღება უნდა მიექცეს ყოველ კოლმეურნეობაში, რათა წესიერად იქნეს მოწესრიგებული შრომა და შრომის ანაზღაურება.

როგორც საერთო წესი, სასოფლო-სამეურნეო არტელში, სახ.-სამ. წარმოების საფუძველია განსაზოგადოებული საწარმოო ძალები და ამდენათ, თვით კოლმეურნეობის შიგნით, საწარმოო ურთიერთობა საზოგადოებრივად მოწესრიგებულ ხასიათს ღებულობს. რამდენათ ეს ასე არის, იმდენათ კოლმეურნეობაში განსაზოგადოებულ შრომის განაწილებასაც საზოგადოებრივად მოწესრიგებული ხასიათი უნდა მიეცეს.

დასაშვებია თუ არა მუშა - ხელის დაქირავება კოლმეურნეობაში

წესდების მე-12 მუხლის თანახმად, კოლმეურნეობაში,—რომლის მასიურად გავრცელებულ ფორმას სახ.-სამ. არტელი წარმოადგენს, —ყოველი სამუშაო უნდა შესრულდეს წევრების პირადი შრომით და გარეშე სამუშაო ძალის დაქირავება დასაშვები არის მხოლოდ ისეთ დროს, როდესაც თავისი შრომის მარაგით არტელს არ შეუძლია საჭირო მოკლე დროს განმავლობაში შეასრულოს ესა თუ ის სამუშაო. ასეთ მდგომარეობას შეიძლება ადგილი ჰქონდეს იმ რაიონების კოლმეურნეობებში, სადაც გავრცელებულია ტეხნიკური კულტურები (ბამბა, ჩაი და სხვ.). ასეთ შემთხვევებში კოლმეურნეობა უნდა ეცადოს, რომ სამუშაოზე არ მოიწვიოს ესა თუ ის მომუშავე პირადათ. მან უნდა დასდოს ხელშეკრულება ისეთ კოლმეურნეობასთან, რომელსაც თავისუფალი სამუშაო ძალა ეყოლება სწორედ მისთვის საჭირო დროს და ამნაირად დაქირავებულ მუშა-ხელის მოწვევასაც საზოგადოებრივად მოწესრიგებული ხასიათი მიეცეს. ასეთი წესი გაადვილებს კოლმეურნეობათა შორის საშრომო ურთიერთობის მოწესრიგებას და უმტკივნეულოდ გადასწყვეტს დაქირავებულ მუშების ხელფასის ანაზღაურების საკითხს.

ამ საკითხთან არის მჭიდროთ დაკავშირებული საკითხი—თუ როგორ უნდა იქნეს გამოყენებული კოლმეურნეობაში არსებული წლიური შრომის მარაგი.

როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როდესაც კოლმეურნეობაში იმაზე მეტი შრომის მარაგი არის, ვიდრე ეს საჭიროა იმ დარგებისათვის, რომლებიც მასში არის გაერთიანებული? კოლმეურნეობა უნდა ეცადოს, რომ თვით გამოიყენოს საკუთარ წევრთა შრომის მარაგი. ამისათვის მან უნდა გააფართოოს თუ აქვს, ან მოაწყოს სახ.-სამ. პროდუქციის წვრილ-მრეწველური გადამუშავება, როგორიც არის ქსოვილების დამზადება, რძის პირველადი გადამუშავება და სხვ. ერთი სიტყვით მან უნდა განავითაროს წვრილხელოსნური წარმოებათა სახით დამხმარე დარგები თავის მეურნეობაში. ამით ის საგრძნობ მუშახელს ჩააბამს თავის სამეურნეო საქმიანობაში. თუ ამის შემდეგ მაინც დარჩება კოლმეურნეობას გამოუყენებელი შრომა, მან უნდა მოაწყოს სეზონური ბრიგადები; დასდოს სათანადო ხელშეკრულება კოლმეურნეობებთან, რომელთაც საკუთარი შრომა არ ყოფნით, ან ფაბრიკა-ქარხნებთან და საალმშენებლო ორგანიზაციებთან და მიაწოდოს მათ თავისი თავისუფალი შრომის მარაგი. ამ წესის დროს, თვით კოლმეურნეობის გამგეობა ზრუნავს იმისათვის, რომ სამუშაო მოუნახოს თავის წევრებს.

როგორ უნდა მოვიქცეთ იმ შემთხვევაში, როდესაც კოლმეურნეობაში არ არის საკმაო შრომის მარაგი იმ სამუშაოთა შესასრულებლად, რომლებიც გათვალისწინებულია წლიურ საწარმოო გეგმით? ასეთ შემთხვევაში ყოვლად დაუშვებელია, რომ კოლმეურნეობამ შეამციროს თავისი წარმოების სიდიდე, თუნდაც დამხმარე დარგები, მხოლოდ იმიტომ, რომ მას საკუთარი განსაზოგადოებული შრომის მარაგი არ ყოფნის. მან უნდა მოიწვიოს დროებით მომუშავენი იმ კოლმეურნეობებიდან, სადაც შრომის სიჭარბე არის.

მაგრამ აქ შესაძლებელია არასასურველი გადახრაც. შეიძლება კოლმეურნეობას იმიტომ არ ყოფნიდეს საკუთარი შრომის მარაგი, რომ მან მოიმატა ისეთი ახალი დარგები, რომლებიც არ იყო კოლმეურნეობაში იმ დროს, როდესაც მასში საშუალო და ღარიბ გლეხთა მეურნეობანი გაერთიანდა. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს ახალ დარგების მოწყობას და ისეთ ცდას, რომ ეს დარგები უზრუნველყოფილი იქნეს გარეშე სამუშაო ძალის დაქირავებით. ეს კი დაუშვებელია და ასეთ მისწრაფებას უნდა ვებრძოლოთ.

ჩვენ წინააღმდეგობა უნდა გაუწიოთ წარმოების სიდიდის შემცირებას იმ კოლმეურნეობაში, რომლებშიაც ფაქტიურად არსებობდა ყველა დარგები საწარმოო გეგმის შედგენისას. ასეთ პირობებში, კოლმეურნეობას შეუძლია მოიწვიოს სამუშაო ძალა სხვა კოლმეურნეობიდან ბრიგადების სახით.

ამასთანავე მას შეუძლია მოიწვიოს დაქირავებული მუშები საალმშენებლო სამუშაოებზე და ისეთ სამუშაოებზე, რომლებიც სპეციალურ ცოდნას მოითხოვს (აგრონომი, ინჟენერი, ტეხნიკოსი და სხვ.).

ვის უნდა მიეცეს პირველ რიგში სამუშაო

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ თუ კოლმეურნეობაში შრომის მარაგი, შრომის საჭირო რაოდენობაზე მეტი არის, ამ შემთხვევაში სამუშაო პირველ რიგში უნდა მიეცეს ღარიბსა და მოჯამაგირე გლეხს. ეს საჭირო არის შემდეგი მოსაზრებით: როგორც ვიცით, სახ.-სამ. არტელში არ ერთიანდება მრავალი რამ, როგორიც არის მაგალითად, ძროხა, წვრილფეხა საქონელი და სხვა, რომელსაც მომხმარებითი ხასიათი აქვს. მაშასადამე, კოლმეურნეობის წევრს რჩება პირად სარგებლობაში ინდივიდუალურ შემოსავლის წყარო. რომელი ფენის გლეხობას რჩება ყველაფერი ეს? თავის აბსოლუტურ უმრავლესობაში საშუალო გლეხებს. მოჯამაგირეებს და ღარიბ გლეხებს, არ რჩება გაუერთიანებელი ისეთი დოვლათი, რომელსაც შეუძლია გაუჩინოს მას კოლმეურნეობის შემოსავლის გარდა რაიმე დამატებითი შემოსავალი. ამას გარდა უნდა გვახსოვდეს, რომ პირველ ხანებში სახ.-სამ. არტელში კიდევ დარჩება ქონებრივი უთანასწორობა, ვინაიდან მოჯამაგირეების და ღარიბი გლეხების მიმართ, კოლმეურნეობაში შესული საშუალო გლეხი ქონებრივად უპირატეს მდგომარეობაში არის.

სწორედ ამ გარემოებათა გამო, თუ კოლმეურნეობაში შრომის სიჭარბე არის, სამუშაო პირველ რიგში უნდა მიეცეს ღარიბებსა და მოჯამაგირეებს, რომელთა არსებობის ერთად-ერთ წყაროს შეადგენს შემოსავალი კოლმეურნეობრივ საქმიანობიდან. ყველა ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია შრომის გამოყენებასთან, მოწესრიგებული იქნება შინაგან განწესრიგების წესების თანახმად, რომელსაც შეიმუშავებს კოლმეურნეობის წევრთა საზოგადო კრება. შინაგან განწესრიგების საორიენტაციო სქემას ადგენს საქართვ. კოლმეურნცენტრი და ის გადაეგზავნება ადგილებს სახელმძღვანელოდ.

წესდების მე-13 მუხლის თანახმად, სამუშაოებს არტელში ანაწილებს გამგეობა იმ წესების თანახმად, რომლებიც გათვალისწინებული იქნება შინაგანი განწესრიგებით. აქ უნდა იქნეს დაცული სასტიკი დისციპლინა და არც ერთ კოლმეურნეობის წევრს არ აქვს უფლება უარი სთქვას იმ სამუშაოს შესრულებაზე, რომელსაც მას გამგეობა დააკისრებს.

კოლმეურნეობათა წარმატებით მშენებლობისათვის საჭირო არის შრომის ისეთი მოწესრიგება, რომელიც უზრუნველყოფს: ა) შრომის მაღალ ნაყოფიერებას; ბ) შრომის კვალიფიკაციის აწევას და გ) კოლმეურნეობაში არსებულ შრომის მარაგის მიზანშეწონილად გამოყენებას. ამ საკითხების გადაწყვეტას ჩვენ ვხვდებით წესდების მე-14 მუხლში.

შრომის ანაზღაურება

ჩვენ ვიცით, რომ კერძო მეურნეობის წარმოების პირობებში გლეხის სასოფლო-სამეურნეო შრომის ნაყოფიერება ფრიად დაბალ დონეზე სდგას. ინდივიდუალურ მეურნეობათა კოლექტიური გაერთიანება და საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოება ყოველგვარ პირობას ჰქმნის იმისათვის, რომ აიწიოს სახ.-სამ. შრომის ნაყოფიერებამ. შრომის ნაყოფიერების ზრდას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობაში. მაგრამ შრომის ნაყოფიერების ზრდა მჭიდროთ არის დაკავშირებული შრომის ანაზღაურების წესებთან. შრომის ანაზღაურება ისე უნდა იქნეს მოწყობილი, რომ მან უზრუნველყოს შრომის ნაყოფიერების გადიდება და კოლექტიურ დაგროვების ზრდა. ორივე ამ პირობის შესრულება შესაძლებელი უნდა გახდეს: 1) კოლმეურნეობის წევრთა შორის ისეთი ურთიერთობის დამყარება, რომ შეუძლებელი იქნეს წევრთა ერთი ნაწილის მიერ მეორე ნაწილის ექსპლოატაცია; 2) კოლმეურნეობის წევრთა მატერიალურ პირობების გაუმჯობესება და 3) კოლმეურნეობის წევრთა შორის არსებულ ქონებრივ უთანხმოების მოსპობა. როგორც ვიცით, კოლმეურნეობის ყოველ წევრის შემოსავალ წყაროს შეადგენს იმ შრომის ანაზღაურება, რომელსაც ის დახარჯავს კოლექტიურ მეურნეობაში. ამიტომ განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მივუდგეთ შრომის განაწილების საკითხს იმ შემთხვევაში, როდესაც თანასწორი შეფარდება არ არის შრომის მარაგსა და კოლმეურნეობაში საჭირო შრომის რაოდენობას შორის.

დაბეჯითებით შეგვიძლია ვსთქვათ, რომ საქართველოში არსებულ კოლმეურნეობათა უმრავლესობაში შრომის მარაგი იმაზე მეტი იქნება, ვინემ საჭიროა კოლექტ. მეურნეობის სხვადასხვა დარგებში გამოსაყენებლად. ასეთი სიჭარბე მიღებული უნდა იქნეს მხედველობაში და კოლმეურნეობის სახ.-სამ. წარმოებაში ჩასაბმელ საჭირო რაოდენობა პროპორციულად უნდა იქნეს განაწილებული კოლმეურნეობის შრომის უნარიან მოსახლეობას შორის. ასეთ პროპორციულ განაწილების დროს ყურადღებაში უნდა იქნეს მიღებული შემდეგი გარემოება: არის კოლმეურნეობები (უმცირესობა), რომლებშიაც არა თვითმომქმედი მოსახლეობის ე. ი. ბავშვების და მოხუცების უზრუნველსაყოფად კოლმეურნეობა სპეციალურ სახსრებს გამოყოფს. არის კოლმეურნეობებიც (დიდი უმრავლესობა), რომლებშიაც არ გამოიყოფა ასეთი სახსრები არათვითმომქმედ მოსახლეობის საზოგადოებრივ უზრუნველსაყოფად.

ორივე ამ სახის მეურნეობაში, განსაზოგადოებულ შრომის პროპორციულ განაწილებას სხვადასხვა ხერხებით უნდა მივუდგეთ. პირველი სახის კოლმეურნეობებში, თითოეული მომუშავე თვით მოიპოვებს საარსებო საშუალებას თავისი შრომით და ამიტომ აქ შესაძლებელია განსაზოგადოებულ კაცდღეთა განაწილება ოჯახებს შორის მოხდეს მომუშავეთა რაოდენობის პროპორციულად. ამ შემთხვევაში, თითოეული შრომის უნარის მქონე, სათანადო წილს მიიღებს საზოგადოებრივ პროდუქტის განაწილებაში.

მეორე სახის კოლმეურნეობაში კი, დასახარჯავად განსაზღვრულ განსაზოგადოებულ კაცდღეთა რაოდენობა ოჯახებს შორის უნდა განაწილდეს მჭამელთა რაოდენობის პროპორციულად. ასეთ კოლმეურნეობაში სამუშაოს შეასრულებენ ოჯახის შრომის უნარ მქონე წევრები, რომელთა შრომის ხელფასი წარმოადგენს ოჯახის არათვითმომქმედ წევრების საარსებო წყაროს.

ჩვენში, მასიურად გავრცელებულია ისეთი სახ.-სამ. არტელი, რომლებშიაც ოჯახის მომუშავე წევრები ასაზრდოებენ დანარჩენ წევრებს. ამიტომ საჭიროა, რომ ასეთ კოლმეურნეობებში საჭირო სამუშაო დღეთა რაოდენობა ოჯახებს შორის განაწილდეს მათში მყოფ მჭამელთა რაოდენობის პროპორციულად. ვისაც მეტი მჭამელი ჰყავს მეურნეობაში, ის მეტ სამუშაო დღეებს იმუშავებს კოლმეურნეობაში. ასეთი სისტემის დროს, თითოეული ოჯახი კოლმეურნეობის საერთო შემოსავლიდან მიიღებს იმდენს, თუ რამდენად მიიღო მონაწილეობა განსაზოგადოებულ შრომის საწარმოო გამოყენებაში და ვინაიდან თითოეული ოჯახი ამ შრომაში მჭამელთა რაოდენობის პროპორციულად მონაწილეობს, იმდენათ კოლექტიურ მეურნეობის თითოეული წევრის შრომის ანაზღაურებელ სახსრის სიდიდეში შედარებით არ იქნება დიდი განსხვავება. აქ შეიძლება დაგვისვან კითხვა: სად წავიდეს ის თავისუფალი სამუშაო ძალა, რომლის გამოყენება კოლმეურნეობაში შეუძლებელი არის? ამაზე ჩვენ ზემოთ ვუპასუხეთ. კოლმეურნეობის გამგეობამ უნდა იზრუნოს, რომ შექმნას ასეთი მუშა-ხელისაგან ბრიგადები და მოუძებნოს მისთვის სეზონურ ხასიათის სამუშაო.

რა უპირატესობა აქვს შრომის განაწილების ჩვენს მიერ წამოყენებულ დებულებას? მას ის უპირატესობა აქვს, რომ ისეთი ოჯახი, სადაც ერთი მუშა არის და მრავალი მჭამელი (მაგ., ხუთი), საარსებო წყაროს უმთავრესად კოლმეურნეობაში მიიღებს. ამ ოჯახის მარჩენალ მომუშავე წევრს იმაზე მეტი დღეების მუშაობა დასჭირდება, ვინემ ისეთ ოჯახის მომუშავეს, რომელშიაც სამი მომუშავე არის და ოთხი სულია სარჩენი. ეს ოდნავადაც არ არღვევს ამ უკანასკნელ მეურნეობის ინტერესს, ვინაიდან კოლმეურნეობის სამუშაოებიდან თავისუფალ სამუშაო ძალას შეუძლია წავიდეს სარეწაო სამუშაოებზე, ან სხვა კოლმეურნეობებში სამუშაოთ.

რამოდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც გვექნება ერთნაირი პრაქტიკული გამოცდილება შრომის ორგანიზაციის საკითხში შეგვეძლება უფრო მტკიცეთ ავწონ-დავწონოთ ამა თუ იმ სისტემის დადებით-უარყოფითი მხარეები.

შრომის ასეთი განაწილება არ უზრუნველყოფს კიდევ იმ ქონებრივ უთანასწორობის მოსპობას, რომელიც ჯერ-ჯერობით არსებობს კოლმეურნეობის წევრებს შორის. შეუძლებელიც არის კოლმეურნეობის განვითარების თანამედროვე საფეხურზე მიზნათ დავისახოთ კოლმეურნეობის წევრთა სრული გათანასწორება. ამ მიზნის განსახორციელებლად ჩვენ უნდა ვიზრუნოთ ყოველდღიურად და უნდა გვახსოვდეს, რომ მისი მიღწევა სავსებით დამოკიდებული იქნება სასოფლო-სამეურნეო შრომის ნაყოფიერების ზრდისაგან.

როგორ ავსწიოთ შრომის ნაყოფიერება

შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის კოლმეურნეობაში შემოღებული უნდა იქნეს შრომის სანარდო ანაზღაურება და საგანაკვეთო სისტემა. შრომა უნდა შეფასდეს არა მარტო რაოდენობით, არამედ თვისების მიხედვითაც. როგორც ვიცით, სახ.-სამ. წარმოებაში ყველა სამუშაო არ მოითხოვს ერთნაირი სირთულით მუშაობას; არის როგორც მარტივი, ისე რთული სამუშაოები. ამიტომ არ შეიძლება ყოველი შრომა თანაბარღირებულად მივიჩნიოთ და მის საზომად სამუშაო დღის ხანგრძლივობა მივიღოთ. თუ ფართო გასაქანს მივსცემთ პირად მატერიალურ დაინტერესებას და ამ მიზნით მტკიცედ გავატარებთ შრომის სანარდო ანაზღაურებას, ამით კოლმეურნეობაში თითოეულ მომუშავეს შეექმნება უკეთეს თვისობრივ შედეგის მიღწევის ინტერესი.

შრომის სანარდო ანაზღაურების მოწესრიგებისათვის საჭირო არის მოვახდინოთ სახ.-სამ. სამუშაოთა ტარიფიკაცია, ე. ი. ერთის მხრით ამა თუ იმ სამუშაოს მიკუთვნება შრომის განსაზღვრულ კატეგორიებისათვის და მეორეს მხრით შრომის ამა თუ იმ სატარიფო კატეგორიისათვის საგანაკვეთო ხელფასის დაწესება. კოლმეურნეობამ უნდა იცოდეს, თუ რა სირთულის არის ესა თუ ის სამუშაო და რა დღიური ხელფასი უნდა იქნეს გაღებული მის ასანაზღაურებლად.

ამასთან დაკავშირებით საჭირო არის თითეულ სახ.-სამეურნეო სამუშაოსათვის გამოირკვეს გამომუშავების ნორმა. ამ პირობებში თითეულ მომუშავეს თავის კვალიფიკაციის მიხედვით ექნება გამომუშავების ნორმა, ეცოდინება თუ რა ხელფასს მიიღებს ის ამ ნორმის შესრულებაში (განსაზღვრულ დროის განმავლობაში), და პირადათ იქნება დაინტერესებული მეტი გამოიმუშაოს, რომ ამ გზით მეტი შრომის ანაზღაურება მიიღოს. გამომუშავების ნორმა ერთის მხრით ხელს უწყობს საწარმოო დისციპლინის განმტკიცებას და შრომის ნაყოფიერების ზრდას, მხოლოდ მეორეს მხრით ხელს უწყობს მომუშავეთა კვალიფიკაციის ამაღლებას.

შრომის ანაზღაურება სახ.-სამ. არტელის წესდების მიხედვით უნდა სწარმოებდეს სამუშაოს რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით. ამას ჩვენ კოლმეურნეობაში განვახორციელებთ შრომის სანარდო ანაზღაურებით. სანარდო განაკვეთის უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ ის პირად დაინტერესებას იწვევს ყოველ მომუშავეში და სახ.-სამ. წარმოებაში ყოველი მონაწილე მაქსიმუმ ენერგიას გამოიყენებს იმისათვის, რომ თავისი შრომით მეტ თვისობრივ შედეგს მიაღწიოს. ვინც მეტ თვისობრივ შედეგს მიაღწევს, მას ჯილდო უნდა მიეცეს წასახალისებლად. ეს კი ხელს შეუწყობს იმას, რომ მომუშავეთა შორის გაიმართოს [illegible] შეჯიბრება. წამახალისებელ ზომებს გარდა საჭირო იქნება დამსჯელ ზომების მიღებაც. ვინც არ შეასრულებს გამომუშავების ნორმას, მას უნდა შეუმცირდეს სანარდო განაკვეთის ღირებულება, ხოლო ვინც ცუდი ხარისხის პროდუქტს დაამზადებს, ის დაჯარიმებული უნდა იქნეს. ასეთ ღონისძიებათა გატარება საგრძნობლად აწევს კოლექტიურ მეურნეობაში მონაწილეთა დაინტერესებას და პირად პასუხისმგებლობას. მუშაობის ასეთ სისტემის დროს, ყოველგვარი ნიადაგი ეცლება იმ მტკიცებას, თითქოს კოლმეურნეობაში ყველა არ იმუშავებს ერთნაირი ბეჯითობით. საქმე იმაშია, რომ ვინც სრული დატვირთვით არ იმუშავებს, ის ვერც კარგ თვისობრივ შედეგს მიაღწევს შრომის პროცესში, და ამიტომ იმაზედ ნაკლებს მიიღებს, ვინემ მონდომებული და მუყაითი მომუშავე.

შრომის წესიერი ორგანიზაცია განსაზღვრავს ნაწარმთა განაწილების სისტემასაც. შრომის ორგანიზაცია და შრომის ანაზღაურება უშუალოთ არის ურთიერთზე გადაჯაჭვული.

შემოსავლის განაწილება კოლმეურნეობაში

ჩვენ შევეხებით კოლმეურნეობის შემოსავლის განაწილების სხვადასხვა სისტემებს, რომ მით ნათელი გავხადოთ ზემოთ დახასიათებულ შრომის ანაზღაურების უპირატესობა. განაწილება კოლმეურნეობაში შესაძლებელია ოთხნაირად:

ა) **ნაწარმთა განაწილება მოთხოვნილებათა მიხედვით.** მას წმინდა სამომხმარებლო ხასიათი აქვს და განაწილების ამ სისტემის დროს, კოლმეურნეობის თითოეული წევრი პირადათ არ არის დაინტერესებული, რომ დახარჯული შრომის შედეგათ რაც შეიძლება მეტი სარფიანობა მიიღოს; ის არ არის დაინტერესებული, რომ აწიოს შრომის ნაყოფიერება და მუშაობის დროს არ ცდილობს ცუდი მომუშავის უნარს. ის ასე მსჯელობს: „რატომ უნდა დავატანო თავს ძალა, რაც ჩემს ოჯახს ესაჭიროება მაინც მივიღებ კოლმეურნეობიდან“-ო. ასეთი განწყობილება გამოიწვევს კოლმეურნეობის არა წინსვლას, არამედ დაშლას. ჩვენ კარგად ვიცით, რომ სახ.-სამ. არტელში შესულ გლეხს თან შეყვა კერძო მესაკუთრის სულისკვეთება და სანამ მასში საბოლოოთ არ აღმოიფხვრება ეს სულისკვეთება, მანამ ის ვერ ამაღლდება იმ საზოგადოებრივ სიმაღლეზე, რომ თავისი შრომითი საქმიანობა მჭიდროდ დაუკავშიროს კოლმეურნეობის შემოსავლის განაწილების სამომხმარებლო პრინციპს. ამ სისტემის დროს არ იქნება ლტოლვა, რომ თავის მუშაობაში ყველა გაუსწორდეს მუყაით და დახელოვნებულ მუშას. ამიტომ კოლმეურნეობათა მშენებლობის თანამედროვე საფეხურზე კოლმეურნეობის შემოსავლის განაწილება მოთხოვნილების მიხედვით, განვითარების დამაბრკოლებლად უნდა ჩაითვალოს.

ბ) **კოლმეურნეობის შემოსავლის განაწილება მომუშავეთა მიხედვით.** ეს სისტემა თითქმის არ განსხვავდება პირველი სისტემიდან, ვინაიდან წარმოების შედეგი აქაც საერთო ჯამში მიდის. დამატებით, აქ შეიძლება იმ უარყოფითი მხარის აღნიშვნა, რომ განაწილების ასეთი წესის დროს დაზარალდება მოჯამაგირე და ღარიბი გლეხობა. რომელთაც ოჯახში ბევრი მჭამელი და ნაკლები მუშა ხელი ჰყავთ. ესეც მიუღებელია ჩვენთვის, ვინაიდან გააძლიერებს კოლმეურნეობის წევრთა შორის არსებულ ქონებრივ უთანასწორობას.

გ) **შემოსავლის განაწილება კოლმეურნეობაში შეტანილ საწარმოო საშუალებათა სიდიდის მიხედვით.** ასეთი სისტემა სოციალურად მიუღებელია ჩვენთვის ვინაიდან ატარებს ექსპლოატატორულ ხასიათს. აქ მეტს მიიღებს კოლმეურნეობის ის წევრი, რომელმაც მასში შეიტანა მეტი საწარმოო საშუალებანი და პირიქით. ეს კი გააღრმავებს არსებულ ქონებრივ უთანასწორობას კოლმეურნეობის წევრთა შორის.

დ) **შრომის ანაზღაურების სისტემა.** ყველა სისტემაზე საღი და ყველაზე მიზანშეწონილი ფორმა არის. ამ სისტემის დროს კოლმეურნეობის შემოსავალი ნაწილდება სამეურნეო საქმიანობაში დახარჯულ შრომის რაოდენობისა და მიღებულ შედეგის თვისებების მიხედვით. ამ სისტემის შესახებ ჩვენ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი. მისი უპირატესობა მდგომარეობს, იმაში, რომ კოლმეურნეობის თითოეული წევრი ჩაყენებულია მუშაობის ისეთ პირობებში, რომ მას დიდი პირადი დაინტერესება აქვს შრომის კარგ თვისობრივ შედეგის მიღების საქმეში, მუშაობის ასეთ სისტემის დროს მომუშავე იმდენივე მეტს მიიღებს, რამდენსაც მეტად და ბეჯითად იმუშავებს. აქ უზრუნველყოფილია შრომის ნაყოფიერების ზრდა და კოლმეურნეობის წევრთა შორის მტკიცე დისციპლინის დამყარება. ყველა ეს დადებითი პირობები კი ხელს შეუწყობს განსაზოგადოებულ საშუალებათა [illegible] კოლმეურნეობაში და მათ საწარმოო ბაზის განმტკიცებას.

შრომის ეს სისტემა დიდათ შეუწყობს ხელს სახ.-სამეურნეო შრომის ნაყოფიერების ზრდას და ამიტომ ის უნდა გადაიქცეს ჩვენი მუშაობის პროგრამულ საკითხად.

კოლექტიურ მეურნეობათა წევრები განსაკუთრებული სერიოზულობით უნდა მოეკიდონ გამომუშავებისა და შეფასების ნორმების განსაზღვრას, სახ.-სამ. სამუშაოთა ტარიფიკაციის შემუშავებას, საგანაკვეთო სისტემის განმტკიცებას და საერთოდ შრომის სანარდო ანაზღაურების მტკიცედ გატარებას.

წესდების მე-15 მუხლის მიხედვით, შრომის ანაზღაურება სწარმოებს მთელი სამეურნეო წლის განმავლობაში და თითოეულ მომუშავეს მიეცემა გამომუშავებულ ხელფასის 50 პროც. ეს არის ავანსი, რომლითაც მან უნდა დაიკმაყოფილოს სასურსათო და სხვა მოთხოვნილებანი. ეს ავანსი მას მიეცემა ან ფულად ან პროდუქტების სახით. სამეურნეო წლის შემდეგ მას კოლექტიური მეურნეობა უსწორებს საბოლოო ანგარიშს და აძლევს წლის განმავლობაში დახარჯულ შრომის საზღაურს. რატომ არ ეძლევა კოლმეურნეობის წევრს მთელი შრომის ანაზღაურების საფასური? იმიტომ, რომ შესაძლებელია კოლექტ. მეურნეობას ეწიოს მოუსავლობა, ან დაზარალდეს სტიქიურ უბედურებისაგან. ასეთ შემთხვევაში კოლმეურნეობის ზარალი წარმოადგენს მისი წევრების კოლექტიურ ზარალს და ანაზღაურებული უნდა იქნეს იმ თანხით, რომელიც დაგროვილია კოლმეურნეობაში შრომის საბოლოო ანაზღაურების ანგარიშში. სახ.-სამ. არტელის ის წევრები, რომლებიც მიდიან გარე სამუშაოზე, შემოიტანენ კოლმეურნეობის საზოგადოებრივ ფონდში აღებულ თანხის 3 პროც. არა უმეტეს 10 პროც. ამ ფარგლებში თვით არტელმა უნდა გამოარკვიოს, თუ ვინ რამდენი უნდა გადაარიცხოს საზოგადოებრივ ფონდში. გადასარიცხავ პროცენტის სიდიდე, რასაკვირველია, დამოკიდებული უნდა იქნეს სამუშაოზე წამსვლელ პირის ქონებრივ მდგომარეობაზე. მცირე შეძლების წევრს ნაკლებ პროცენტს გადაარიცხვინებს არტელი და პირიქით.

შრომის უნარმოკლებულთა უზრუნველყოფა

წესდების 16 მუხლი ითვალისწინებს შრომის უნარმოკლებულთა და დროებით უნარდაკარგულთათვის სამეურნეო დახმარების აღმოჩენას. დახმარების პირობები უნდა გამოარკვიოს თითეულმა სახ.-სამ. არტელმა. სასურველი იქნება ამ მიზნით დაარსებულ იქნეს საზოგადოებრივი ფონდი და [illegible] შრომის უნარმოკლებულს, ან დროებით უნარდაკარგულს გაეწიოს რეგულიარული დახმარება მთელი წლის განმავლობაში. ამის მოგვარება სავსებით დამოკიდებულია არტელის სამეურნეო შესაძლებლობაზე.

ამ კითხვის გადაწყვეტის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ თითეულ უნარმოკლებულისათვის საზოგადოებრივ ფონდში გადასარიცხავ თანხის რაოდენობა არ აღემატებოდეს იმ საშუალო ხელფასს, რომელიც მოდის კოლმეურნეობის ერთ წევრზე საშუალოთ მთელი წლის განმავლობაში.

აი, ის საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია შრომის ორგანიზაციასა და შრომის ანაზღაურებასთან.

კოლმეურნეობის ყოველმა წევრმა უნდა იცოდეს, რომ შრომის მოწესრიგება სამეურნეო საქმიანობის ძირითადი საკითხია. შრომის მოწესრიგებისა და ანაზღაურების შესახებ, დღევანდელ გაზეთში ქვეყნდება საქართველოს კოლმეურნცენტრის დადგენილებანი. ამ დადგენილებათა სწრაფ შესრულებას უნდა მიექცეს უმთავრესი ჩვენი ყურადღება ცოტა დაყოვნებაც კი საქმეს გააფუჭებს ამიტომ, ეხლავე უნდა შევუდგეთ ამ მითითებათა პრაქტიკულ განხორციელებას.

ზ. ჩახვაძე.

შრომის ორგანიზაციის საკითხები კოლმეურნეობებში

(დასაწყისი იხილე მეორე გვერდზე)

ერთეულის გამოყვანა ხდება ამა თუ იმ პირის (კვალიფიკაციის მიხედვით) ხელფასის გაყოფით გამომუშავების დღიურ ნორმაზე მაგალითად:

სამუშაოს დასახელება.	სამუშაოს თანრიგი.	გამომუშავების დღიური ნორმა	სამუშაო ხელფასი დღეში სატარიფო ცხრილის მიხედვით.	ერთეულის სანარდო შეფასება.
ტრაქტორით ხვნა .	5	2,5 ჰექტ.	1 მ. 92 კ.	77 კაპ.
ფარცხვა	4	2,5 „	1 „ 69 „	68 „
ნაკელის ზიდვა. . .	3	10 ურემი.	1 „ 45 „	14,5 „

ამნაირად შეიძლება დაწესებულ იქნას ერთეულის სანარდო შეფასება სასოფლო-სამეურნეო მუშაობის ყოველ ოპერაციაში, ამით მოწესრიგებული იქნება სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილე ყოველი მუშაკის შრომის სანარდო ანაზღაურება ინდივიდუალური სანარდო მუშაობის დროს.

ბ) ჯგუფური სანარდო მუშაობის დროს

განსაზღვრული დავალება - განაკვეთი ეძლევა თანაბარი ან სხვადასხვა კვალიფიკაციის მუშაკთა ჯგუფებს.

ა) როდესაც დავალებას ასრულებს თანაბარი კვალიფიკაციის რამდენიმე პირი, სანარდო ხელფასის განაწილება სამუშაოს მონაწილეთა შორის ხდება თანასწორად (იმ პირობით, თუ თვითეულმა მათგანმა სხვების თანასწორი სამუშაო დრო დახარჯა). მაგალითად, ხნავდა 5 მხვნელი, გამომუშავების ნორმა შეადგენდა 4 ჰექტარს და ერთეულის სანარდო შეფასება 1 მან. 88 კაპეიკს. თუ ნორმა შესრულებულ იქნა, სანარდო ანაზღაურების თანხა იქნება (1 მან. 88 კაპ.×4) 5 მან. 52 კაპ., ხოლო თვითეული მუშაკის საშუალო სანარდო ხელფასი (5 მან. 52 კ. : 5) 1 მან. 10 კაპ. ხოლო თუ ისინი ნორმის ზევით მოხნავენ 2 ჰექტარს, ე. ი. სულ 6 ჰექტარს, თვითეულის საშუალო სანარდო ხელფასი იქნება 1 მან. 66 კაპ. (1,88×6%=1,66).

ბ) როდესაც დავალებას ასრულებს სხვადასხვა კვალიფიკაციის მუშაკთა ჯგუფი, თვითეული მონაწილის შრომის სანარდო ანაზღაურება განისაზღვრება მის კვალიფიკაციასთან შეფარდებით. ამ მიზნით სანარდო ანაზღაურების ერთეულის შეფასება მუშაობის ყოველ მონაწილისათვის ხდება მის კვალიფიკაციასთან შეფარდებით. მაგალითად, 5 ტრაქტორისტმა — მესამემ, ერთმა უფროსმა ტრაქტორისტმა და ორმა მუშამ მოხნა ერთი ნაკვეთი მიწა. მაშინ გამთანგარიშება ხდება ასე.

მუშაკების დასახელება	მუშაკების რიცხვი ჯგუფში.	ხარისხი ტარიფის მიხედვით.	გამომუშავების ნორმა.	დღიური ხელფასი სატარიფო ცხრილით.	ერთეულის ფასი.	
					ჯგუფის.	ერთი მუშაკის.
ტრაქტორისტი მესამეები.	5	IV	15 ჰექტარი	1 მ. 69 კ.	0,55 მ.	0,11 მ.
ტრაქტორისტი უფროსი .	1	V	15 ჰექტარი	1 მ. 92 კ.	0,13 მ.	0,13 მ.
მუშები	2	2	15 ჰექტარი	1 მ. 21 კ.	0,16 მ.	0,8 კ.

ამრიგად, შეფასების ერთეული დაწესებულია, როგორც მთელი ჯგუფისათვის, ისე ამ ჯგუფის ყოველი კვალიფიკაციის მუშაკისათვის. თვითეული კვალიფიკაციის მუშაკები ხელფასს აქ მიიღებენ თანაბრად, როგორც დავინახეთ ეს პირველ შემთხვევაში — თანაბარი კვალიფიკაციის მუშაკებს შორის სანარდო ხელფასის განაწილების დროს. ჯგუფური სანარდო მუშაობის დროს მთელი ჯგუფი დაინტერესებულია თავისი მუშაობის ნაყოფიერების გადიდებით, ვინაიდან თუ ჯგუფი გადაჭარბებით შეასრულებს ნორმებს, სათანადოდ გადიდდება ყველა მუშაკების ხელფასი.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ტარიფიკაცია*)

სამუშაოების განაწილება

სატარიფო ცხრილის მიხედვით მეურნეობის სხვა და სხვა დარგებისათვის

ა. მემინდვრეობა

პირველი თანრიგი

ფარცხვა, მეხრეობა, წინამძღოლობა (ხარებისა, ცხენების), ბამბის თავების წაგლეჯა, თამბაქოს ყვავილის წაგლეჯა, ბამბის მოკრეფა, თამბაქოს მოკრეფა, სიმინდის ტაროს მოტეხვა, ტაროს გარჩევა, სალეწ ადგილის მომზადება, თამბაქოს გაშრობა.

მეორე თანრიგი

დასაძარი წვრილ სარწყავ არხების გაყვანა, მორწყვა, ბზისა და ჩალის შეგროვება ლეწვის დროს, ტომრების თავის მოკვრა და აწონვა, განიავება საიავებლით, მეორე და მესამე გათოხნა, ხელით გამარგვლა, ველის გასუფთავება ძირებისაგან (სიმინდის, თამბაქოს, ბამბის და სხვ.), მარცვლის გაწმენდა, მარცვლის დახარისხება, გაშრობა, მარცვლის შეწამვლა, ძნის ზვინებათ დალაგება, სათესი იარაღით თესვა, მავნებლებთან ბრძოლა და წამლობა, ჩითილის დამზადება.

მესამე თანრიგი

ნეხვის გაშლა, მარცვლის ხელით თესვა, ძნების მიწოდება, კევრით ლეწვა, პირველი გათოხნა, მინერალური სასუქის შეტანა, ბაქტერიების შეტანა ნიადაგში, ხორბლეულის ცელით მოთიბვა, ძნების შეკონვა, მათოხზედ მუშაობა.

მეოთხე თანრიგი

გუთნის დედობა, ხორბლეულობის ნამგლით მკა, დატვირთვა - გადმოტვირთვა, ბალახის მომკა, ტრაქტორისტის თანაშემწის მუშაობა, თამბაქოს [illegible].

მეხუთე თანრიგი

სამკალ მანქანაზე მუშაობა, სალეწ მანქანისათვის ძნების მიწოდება, ბარაბანზე მუშაობა, გუთნისდედობა სახვნე სამუშაოზე, ტრაქტორისტობა. მონტიორობა, სალეწ მანქანის მემეთაობა, ორთქლის და ნავთის მამოძრავებლების მექანიკოსობა.

ბ. მესაქონლეობა

პირველი თანრიგი

მწყემსობა, (ბავშვების), ფრინველის მოვლა, საძოვრების დაცვა.

მეორე თანრიგი

ძროხების მოვლა (კვება), მათივე გასუფთავება და ბოსელის გაწმენდა, ცხვრების მოვლა სტაციონალურ კვების დროს, ღორების მოვლა და ცხენების მოვლა, მათი გასუფთავება.

მესამე თანრიგი

ძროხების წველა 2-ჯერ დღეში), ცურის და [illegible] დაბანა - გარეცხვით, ხბოების მოვლა მათი კვებით, გასასუქებელ საქონლის მოვლა (საკვების მიწოდება და გასუფთავება) ღორების მოვლა (ერთ თვემდე), ცხვრების მოწველა (ერთჯერ დღეში) [illegible], საქონლის მოძოვება.

მეოთხე თანრიგი

ცხვრების გაკრეჭა, მატყლის შეფუთვა, ღორების, ცხვრების, ხარების და ცხენების მომვლელ უფროს მუშების მუშაობა.

მეხუთე თანრიგი

სოფლის მეურნეობის დარგების: მესაქონლეობის, მეღორეობის და მეცხენეობის ხელმძღვანელობა.

გ. მევენახეობა

პირველი თანრიგი

ვაზის მავთულზე შეყელვა, თავების გადაჭრა (ცის გახსნა), ყურძნის კრეფა (რთველი), ვაზის გაფურჩქნა პირველხელ, წამლის დამზადებისათვის წყლის მოტანა, ვაზის ახვევა (აკვრა), მიწის შემოცლა ან მიყრა, ლერწის აკრეფა, შეკვრა და გამოტანა.

მეორე თანრიგი

გოგირდის შეფრქვევა, წამლის დამზადება მეორედ გაფურჩქნა ვაზის ახვევით, ნამყენისათვის მიწის შემოცლა ძირების და მხრების დაჭრით, სარზე შეყელა, ვაზის დარგვა პალოთი, ვაზის დარგვა ორმოებში, ვაზის დასარგავ ორმოების მომზადება, ვენახის გამოთიბვა, ამერიკული ვაზის ლერწის დამზადება.

მესამე თანრიგი

ყურძნის დაწურვა მანქანით, ჭაჭიდან ღვინის განთავისუფლება ჭაჭის წნეხით, ვაზისათვის სარების მიდგმა, მავთულის გაჭიმვა, ვენახის გათოხნა, ვენახის გადაბარვა (ცალკარად), ყურძნის დაწურვა ფეხით, ვაზის ჩვეულებრივ (არაკვალიფიციური) გასხვლის მუშაობა, ყურძნის ზიდვა ურმით, ვენახის დაგეგმვა, მერქნისა და ჭიგოების დამზადება ტყეში.

მეოთხე თანრიგი

ვაზის მოწამვლა შაბიამნით, არაყის გამოხდა, პლანტაჟი, ყურძნის ზიდვა გოდრით, დაგეგმვის ხელმძღვანელის მუშაობა, ვენახის ხვნა.

მეხუთე თანრიგი

მყნობელის მუშაობა, მეღვინის მუშაობა, ვაზის დახელოვნებულ (კვალიფიკაციური) გასხვლის მუშაობა.

სოფლის მეურნეობის დანარჩენ დარგებისათვის მეხილეობა, მებოსტნეობა და სხვ.) სამუშაოთა განაწილება თანრიგების მიხედვით მოცემული იქნება დამატებით.

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა გამომუშავების ნორმები

(ნორმები ნაანგარიშევია 1 მუშა-ხელ ზე 10-საათიან სამუშაო დღის განმავლობაში).

ა. მემინდვრეობა

ფარცხვა კბილებიანი ფარცხით — ცხენით — 2,5 ჰექტ., ფარცხვა კბილებიანი ფარცხით — ხარით 1 ჰექტ. თეფშებიანი ფარცხით — ცხენით — 2 ჰექტ., იგივე მუშაობა ხარით— 0,5 ჰექტ., სათესლე მანქანით თესვა — 1,4 ჰექტ., ხელით თესვა — 3 ჰექტ., პირველი გათოხნა — 180 კვ. საჟ., მეორე და მესამე გათოხნა — 275 კვ. საჟ., ბამბის თავების წაგლეჯა — 370 კვ. საჟ., სიმინდის ტაროს გარჩევა ფურჩიდან 120 კუბ. საჟენი. სალეწი ადგილის დამზადება — 50 კვ. საჟ., დამხმარე წვრილი არხების გაყვანა ½ ჰექტ. მოსარწყავად, მორწყვა — 2 ჰექტ., ტომრების თავის მოკვრა და აწონვა (ლეწვის დროს) — 100 ფუთი მოსავალი, ბზის და ჩალის შეგროვება (ლეწვის დროს) 200 ფუთი, სანიავებლით განიავება 150 ფუთი, ძირების ამოთხრა — 730 კვ. საჟენი, მარცვლის გაწმენდა დახარისხება — 100 ფუთი, მარცვლეულობის გაშრობა — 100 ფუთი, შეწამვლა ხორბლეულობის მშრალი და სველი — 100 ფუთი, ძნების დალაგება — ½ ჰექტარი, ნეხვის გაშლა — 730 კვ. საჟენი, ლეწვა კევრით — ⅛ ჰექტარი, განიავება ხელით — ⅛ ჰექტარი, მინერალური სასუქების შეტანა — ¼ ჰექტარი, თამბაქოს აკრეფა — 100 კვ. საჟენი, ნიადაგში ბაქტერიების შეტანა — ¼ ჰექტარი, ხორბლეულობის მოთიბვა ცელით — ⅓ ჰექტარი, ძნების შეკონვა — ½ ჰექტარი, გუთნის დედა—⅓ ჰექტარი, მათოხზე მუშაობა 1 ჰექ., ხორბლეულის მოკა ნამგლით, ბალახების მოთიბვა—½ ჰექ., გუთნის დედა ახოს აღების დროს—¼ ჰექტარი, მანქანით ლეწვა (450 ფუთი დღეში) — 35 ფუთი. (მანქანის [illegible] უნარიანობა), ნაანგარიშებია ერთ დღეში (450 ფუთი), ტრაქტორით მოხვნა (ფორდზონის სისტემის) ორ ფრთიანი გუთნით —1,2 ჰექტარი, ტრაქტორი პატარა (10/20) „ინტერნაციონალი" ორ ფრთიანი გუთნით 1,8 ჰექტ., იმავე ტრაქტორით სამფრთიანი გუთნით — 2,4 ჰექტ., იმავე ტრაქტორი ოთხ ფრთიანი გუთნით — 1,5 ჰექტ., დიდი „ინტერნაციონალი"-თ (15/30) სამ ფრთიანით—1,3 ჰექტ., იმავე ტრაქტორით ოთხ ფრთიან გუთნით — 1,5 ჰექტ. თვითმკონავით მოხვნა — 3,5 ჰექტ., ბალახის თვითმთიბავით მოთიბვა — 3 ჰექტ.

ბ. მესაქონლეობა

ჯიშიანი შინაური ფრინველის მოვლა —50 ფრთა, არა ჯიშიანისა—100 ფრთა, ცხენოსან-მეველეს — [illegible] ჰექტ. საძოვრების დაცვა. 15 ძროხის მოვლა თავლის გაწმენდით, 150 ცხვრის მოვლა ბაგური კვების დროს, 25 ღორის მოვლა საღორეში, 50 ღორის მოვლა მინდვრათ, 10 ცხენის მოვლა, 12 ძროხის ორჯერ მოწველა და ჯიქნისა და ჭურჭლეულობის გასუფთავება, 25 ხბოს მოვლა ბაგურ წესით, 50 ხბოს მოვლა მინდვრათ, გასასუქებლად გამოყოფილ საქონლის მოვლა ბაგური წესით — 25 სულის, მინდვრათ — 120 სულის. ექვსთვემდე [illegible] მოვლა საღორეში — 50 სული, მინდვრათ — 100 სული, ცხვრის მოწველა ერთხელ დღეში ჭურჭლის გასუფთავებით ბაგური წესით — 30 სული, საძოვრებზე—40 სული. დედალი ცხვრის მომწყემსვა — 250 სული, ბატკნის — 300 სულის, ვერძის — 200 სულის, მსხვილფეხა საქონლის — 100 სულის, ცხვრის გაკრეჭა — 70 სულის.

გ. მევენახეობა

პლანტაჟი 12 ვერშოკზე. ნავენახარი წინა პლანტაჟით: ა) ქვიანის 5-6 საჟენი, ბ) თიხნარი 6-7 საჟ. ბ) ლამიანი 8-10 საჟ. ნავენახარი უპლანტაჟოთ ან სახნავ-სათესის: ა) ქვიანი 4-5 საჟ. 1) თიხნარი 5-6 საჟ. გ) ლამიანი 7-8 საჟ., ყამირი: ა) ქვიანი 2-3 საჟ. ბ) თიხნარი 4-5 საჟ., ბ) ლამიანი 6-7 საჟ., ტყიანი ბუჩქნარი: ა) ტყიანი 1-2 საჟ. ბ) ტყიან-ბუჩქნარი 1 ნახ.—2 საჟ., გ) ჯაგნარი 1 ნახ.—2 საჟ., 3) ჯაგნარ-ქვიანი 1 ნახ.—1 საჟენი.

პლანტაჟის გასუფთავება: ნავენახარის: ა) კლერტიანი—400 საჟ., ბ) უკლერტო 400 საჟ., ქვიანის ქვის გამოტანით: ა) მსხვილ ქვიანი ერთი მეხუთედი კუბიკური საჟენის გამოტანა, ბ) წვრილქვიანი ერთი მეექვსედი კ. ტყიანბუჩქნარი: ა) ქვიანი 50 საჟ., ბ) უქვო 300 საჟ., ჯაგნარი: ა) ქვიანი—60 საჟ., ბ) უქვო 350 საჟ.

პლანტაჟის ზედაპირის გასწორება: ა) უსწორმასწორის 100 საჟ., ბ) სწორი—300 საჟ., დაგეგმა 200 საჟ., ორმოების ამოღება გასწორებულ პლანტაჟზე ვაზისათვის 100 ორმოს. ორმოების [illegible] 120 ორმოს ვაზის დარგვა: ა) პალოთი 300-500 ძირამდე, ბ) ორმოთი 150-200 ძირამდე, ვაზის მიწის შემოცლა ძირების დაჭრით: ა) მსუბუქი ნიადაგი 400 საჟ., ბ) მძიმე ნიადაგი—300 საჟ., მიწის შემოცლა ნამხრების დაუჭრელათ: ა) მსუბუქი ნიადაგი 600 საჟ., ბ) მძიმე ნიადაგი 500 საჟ., მოწამვლა წამლის დამზადებით: ა) პირველხელ 1200 საჟ., ბ) მეორეხელ 800 საჟ., შემდეგ ამდენივეს მოწამლავს, ნამყენის დარგვა სკოლაში 1500 ცალის.

---

*) აქ მოცემულია სასოფლო - სამეურნეო სამუშაოების სავარაუდო ტარიფიკაცია. როგორც ეს ზემოთმოყვანილ დადგენილებასა და ინსტრუქციაშია აღნიშნული, შეიძლება ადგილობრივ პირობების მიხედვით სამუშაოთა გადაჯგუფება თანრიგებს შორის და გამომუშავების ნორმების დაკლება-გადიდება.

ძველი ვაზის მოვლა

გასხვლა: ერთწლიანი 2500 ძირის, ორწლიანი 2000 ძირის, სამწლიანის 1000 ძირი. ოთხწლიანი 600 ძირის, მრავალ წლიანის: ა) მავთულზე გაბმულის 500-600 ძირი, ბ) სარზედ დაყენებულ ვაზის 800-1000 ძირამდე, ლერწის აკრეფა, შეკვრა და გამოტანა 600 საჟენზე, მავთულის გაწორება: ა) ახლად გაბმულისა 800 საჟ., ბ) ძველგაბმულის 500-600 საჟ., მერქნის დამზადება თავების დაჩეკვით 20-25 ცალი ჭიგოს დამზადება (ტყეში) თავების დაჩეკვით 300-350 ცალამდე, სარების მიდგმა მავთულთან: ა) ხელით 400-500 ცალი, ბ) ურთით 120-150 ცალამდე, ჭიგოებზე დაყენება ვაზისა: ა) რბილ ნიადაგზე 1000 ცალი, ბ) მძიმე ნიადაგზე—600 ცალი, შეყელვა მავთულზე—1500 ძირი, შეყელვა სარზე—1200 ძირი, გაფურჩქნა პირველხელ: ა) მავთულზე—1000 ძირი, ბ) სარზე 1400 ძირი. გოგირდის შეფრქვევა: პირველხელ 1200 საჟ., მეორეხელ 1000 საჟ., წამლობა შაბიამნით, პირველხელ 1800 ძირი, მეორეხელ 1600 ძირი, გათოხვა ცხენით: ა) გუთნით—4 ცხენი ერთ ჰექტარზე, ბ) კულტივატორით ერთი ცხენი ერთ ჰექტარზე. გათოხნა ხელით: ა) კულტივატორით ან გუთნით გატარებულისა 400-500 საჟ., გაუტარებელისა 200-300 საჟ., ცის გახსნა 1.200 ძირის, ყურძნის მოკრეფა: ა) კარგი მოსავლის დროს 20 ფუთი, ბ) ცუდი მოსავლის დროს 12 ფუთი ერთ მკრეფელზე, მოსავლის გამოტანა საურმეზე 100 ფ.-80 ფუთამდე. მოზიდვა მოსავლის ერთ ვერსის მანძილზე ურმით 400 ფუთი. ჭურჭლის დამზადება 60 ფუთის ტევადობის, ყურძნის დაწურვა ფეხით—50 ფუთის მოსავალს. მანქანით დაწურვა—120 ფუთის მოსავალი, ღვინის განთავისუფლება ჭაჭიდან 60 ფ., ლექიდან განთავისუფლება (გადაღება): ა) პომპით 250 ფუთი, ბ) ხელით 120 ფუთი, არაყის გამოხდა: ა) გაქაჩული ჭაჭიდან ერთი ვედრო, ბ) გაუქაჩავიდან ორი ვედრო. ლერწების დასუფთავება—500-600 მეტრის, ნამყენის გამზადება 600 ცალის, ღვინის დამყენებელი და მომვლელი ერთი კაცი მუდმივად ერთ საშუალო მარანზე.

სოფლის მეურნეობის დანარჩენ დარგებისათვის (მეხილეობა, მებოსტნეობა და სხვ.) სამუშაო ნორმები მოცემული იქნება დამატებით.

გადაუდებელი ამოცანები

საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრმა თავისი ინსტრუქტორების საშუალებით ჩაატარა სხვადასხვა სამეურნეო გახრის (მემინდვრეობის, მევენახეობის და მებოსტნეობის) კოლმეურნეობათა გამოკვლევა. გორის ოლქში სოფელ ოსიაურში გამოკვლეულ იქნა მემინდვრეობის კოლმეურნეობა, კახეთის ოლქში, სოფელ კარდანახში—მევენახეობის კოლმეურნეობა. თბილისის ოლქში, სოფ. დიღომში მებოსტნეობის და სოფ. ალბულაღში მემინდვრეობის კოლმეურნეობა. შრომის ორგანიზაციის მდგომარეობა გამოკვლეულ კოლმეურნეობებში დამაკმაყოფილებლად ვერ ჩაითვლება. ამ კოლმეურნეობებში არ სწარმოებს მუშა-ხელის გეგმიანი განაწილება, რის გამო კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერება დაბალ დონეზე სდგას. ზემო ნათქვამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ რამოდენიმე ფაქტს:

კარდანახის კოლმეურნეობაში სასოფლო-სამეურნეო მუშაობა იწყება დილის 7 საათზე და მუშაობის დაწყებას წევრებს აუწყებენ ზარის დარეკვით. მიუხედავად ამისა, კოლმეურნეობის წევრები სამუშაოზე უმეტეს შემთხვევაში გამოდიან 9—10 და ხშირად 11 საათზედაც კი. დაგვიანებისათვის კოლმეურნეობათა წევრებს არავითარი ადმინისტრატიულ სასჯელს არ აძლევენ. მოზარდთა და ქალების შრომა აქ ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული, მიუხედავად იმისა, რომ ეს არტელი უკვე ერთი თვეა არსებობს და მეურნეობაში მათი შრომის გამოსაყენებლად მოიპოება შესაფერისი ობიექტი. საწარმოო გეგმები თითქმის არც ერთ კოლმეურნეობაში არ გამოხატავენ მეურნეობის ნამდვილ მდგომარეობას. გამორკვეული არ არის მუშა-ხელის რაოდენობა. კოლმეურნეობებში არ იციან სეზონის განმავლობაში ეყოფათ მათ საკუთარი მუშა-ხელი, თუ ნაწილი მოიჩიებათ კიდეც. გეგმით გათვალისწინებული ნორმები არ შეეფერება სინამდვილეს.

ოსიაურის კოლმეურნეობაში საჭირო შეიქნა საწარმოო გეგმის შესწორება, რომ შესაძლო ყოფილიყო მეურნეობის ძლიერების გამოაშკარავება, ნორმების გამორკვევისა და კოლმეურნეობის შრომის უნარიან წევრთა შემადგენლობის შესაფერ სამუშაოებზე განაწილების მიზნით.

მაგალითად, მამაკაცთათვის დღიური ხელფასი დაწესებულია 2 მანეთის, დედაკაცისათვის—1 მან. და 50 კაპ., ხოლო მოზარდისათვის—1 მანეთის რაოდენობით და მხედველობაში არ არის მიღებული მუშაობის არც ხარისხი და არც რაოდენობა.

კარდანახის კოლმეურნეობაში ეს საკითხი დღემდე არ განუხილავს არც გამგეობას და არც კოლმეურნეობათა წევრების საერთო კრებას. ალბულაღის კომუნას გამოკვლევის დროის საწარმოო გეგმა სრულიად არ აღმოაჩნდა და ინსტრუქტორები იძულებული იყვნენ თვითონ შეედგინათ კომუნის საწარმოო გეგმა.

შრომის ნაყოფიერების ამაღლების და შრომის ორგანიზაციის სწორად დაყენების აზრით კოლმეურნეობებში ადგილი არ ჰქონია საწარმოო თათბირების პრაქტიკას, შრომის ორგანიზაციას კოლმეურნეობებში განაგებს კოლმეურნეობათა გამგეობანი და ამ მიზნით გამოყოფილი არ არიან საწარმოო კომისიები, შრომის ბიუროები და სხვ.

იყო შემთხვევები, როცა ღონიერი მუშა სამუშაოს შესრულების დროს ცდილობდა იმდენივე გაეკეთებია, რამდენსაც აკეთებდა ამავე კოლმეურნეობის წევრი—სუსტი მუშა (ოსიაური, დიღომი). კარდანახის კოლმეურნეობაში მატერიალურ დაინტერესებლობის ნიადაგზე გავრცელებულია სიმულიაცია.

ზემოხსენებულ მიზეზების გამო საჭიროა შემდეგ ღონისძიებათა ჩატარება:

1) სასურველი ჩამოყალიბებულ უნდა იქნეს გამომუშავების ნორმები, რათა კამპანიის ჩატარების დროს ადგილებს ჰქონდეთ სავარაუდო მასალა.

2) კოლმეურნეობებში შემოღებულ უნდა იქნას ხუთ თანრიგიანი სატარიფო ცხრილი და ამასთანავე გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ სუბტროპიკულ კულტურებსა და მებაღეობაში არ არის საჭირო სასოფლო მუშაობის თანრიგებათ დანაწილება.

3) განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ კოლმეურნეობათა წევრები ეწინააღმდეგებიან იმ სამუშაოებზე მაღალი ფასების დაწესებას, რომლებისათვისაც საჭიროა სპეციალური კვალიფიკაცია. (ეს ტენდენცია შემჩნეულია ყველა კოლმეურნეობებში.).

4) ვინაიდან ბევრი კოლმეურნეობის საწარმოო გეგმა არ გამოდგება სახელმძღვანელო მასალად სანარდო ხელფასის პრაქტიკულად გასატარებლად, საჭიროა ზოგიერთ კოლმეურნეობაში ეს გეგმები შესწორებულ იქნეს სანარდო ხელფასთან შეფარდებით.

5) ვინაიდან კოლმეურნეობათა სანარდო ხელფასის სისტემაზე გადაყვანა მეტად რთული და სასწრაფო საქმეა, ამავე დროს კი სანარდო ხელფასისა და შრომის ორგანიზაციის საქმის განხორციელებას კოლმეურნეობების საოლქო და სარაიონო კავშირები მუშაკების სიმცირის გამო ვერ შესძლებენ — საჭიროა ამ მუშაობაში ჩაბმულ იქნან აგრონომები და სხვა საზოგადოებრივი მუშაკები.

საქართველოს კოლმეურნეობათა ცენტრის ინსტრუქტორთა ბრიგადა.

შეცდომის გასწორება

ჩვენი გაზეთის 4 მარტის ნომერში (№ 51) მოთავსებულ „სასოფლო-სამეურნეო არტელის სანიმუშო წესდება"-ში ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს მიზეზით გაიპარა შემდეგი შეცდომა: მეხუთე სვეტის მე-11 სტრიქონში ზევიდან სწერია: „სამეურნეო წლის განმავლობაში არტელის წევრთა სასურსათო და სხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ავანსად (ნატურით ან ფულად) გაიცემა არა უმეტეს 30 პროცენტისა".

უნდა იყოს: „სამეურნეო წლის განმავლობაში არტელის წევრთა სასურსათო და სხვა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ავანსად (ნატურით ან ფულად) გაიცემა არა უმეტეს 50 პროცენტისა".

მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღე

მასიურად დავრაზმოთ მუშა ქალები სოცშენებლობისათვის

საბავშო ბაღების ქსელის ფართოდ გაშლით ხელი შევუწყოთ მშრომელი ქალების განთავისუფლებას ძველი ყოფა-ცხოვრებისაგან


ყველა მუშა-ქალები დამკვრელ ბრიგადებში!

კომინტერნის დროშის ქვეშ

მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღეს — 8 მარტს—მთელი ქვეყნის მშრომელი ქალები ყოველ წლობით დღესასწაულობენ. 8 მარტი არის მშრომელი ქალების საერთაშორისო დღესასწაული. ამ დღეს მთელი ქვეყნის ქალები ამჭიდროებენ თავიანთ რიგებს მჩაგვრელების წინააღმდეგ.

მიმდინარე წელს რვა მარტს ვდღესასწაულობთ იმ მომენტში, როდესაც მუშათა კლასის რევოლიუციონური მოძრაობა, როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში მასიურ ხასიათს ღებულობს. ამავე დროს მუშათა მოძრაობა თანდათან მწვავდება. ეს მდგომარეობა ბურჟუაზიულ ქვეყნებში გამოწვეულია შრომის და ყოფა-ცხოვრების პირობების გაუარესებით, ყოველ წლობით იზრდება ბურჟუაზიულ ქვეყნების პროლეტარიატის სიმპატია კომუნისტური ინტერნაციონალის მიმართ და მჩაგვრელების წინააღმდეგ ირაზმება მუშათა კლასი გადამწყვეტ ბრძოლისათვის. მსოფლიო პროლეტარიატის ასეთი მისწრაფება სოციალიზმისაკენ და მსოფლიოს მშრომელთა თანაგრძნობა საბჭოთა კავშირისადმი იმპერიალისტებში იწვევს გაავთრებულ სიძულვილს საბჭოთა კავშირისადმი.

საერთაშორისო მდგომარეობა დღითი-დღე მწვავდება, პროლეტარულ სახელმწიფოს ჯვაროსნულ ომებით ემუქრებიან შუბლ-მაგარი ფაშისტები, რომელთაც გვერდს უმშვენებს რომის პაპა—წმინდა ჯვარით ხელში, კენტერბერის ეპისკოპოზი ბერ-მონაზვნებით და სხვა.

ჩვენი ქვეყნის ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელში გადაჭარბებით შესრულება ძალს უფრთხობს ბურჟუაზიულ ქვეყნების მესვეურებს. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია, კოლმეურნეობათა მშენებლობა, კულაკის, როგორც კლასის განადგურება, საერთოდ ჩვენი აღმშენებლობა და სამშვიდობო პოლიტიკა ძალს უფრთხობს მტრებს. ისინი კბილებს ილესავენ ჩვენს წინააღმდეგ, ამიტომ მზად უნდა ვიყოთ დაუპატიჟებელ სტუმრებს გავცეთ პროლეტარული პასუხი. იმპერიალისტურ-გამძვინვარებულ პოლიტიკის საპასუხოდ ჩვენ კიდევ უფრო უნდა გავაძლიეროთ ჩვენი თავდაცვა, გავაძლიეროთ ინდუსტრიალიზაციის ტემპი, უმტკივნეულოდ ჩავატაროთ კოლექტივიზაცია, დავრაზმოთ მშრომელ ქალთა მასები პროდუქციის თვითღირებულების შესამცირებლად, პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად, შრომის ნაყოფიერების და დისციპლინის განსამტკიცებლად.

8 მარტს მუშა და გლეხ ქალებმა უნდა გადასინჯონ თავიანთი მონაწილეობა საშემოდგომო თესვის კამპანიაში, გამოარკვიონ თუ რა გააკეთეს წარსულში და რის გაკეთება შეუძლიათ გაზაფხულის თესვის კამპანიაში. მუშა და გლეხ ქალს შეუძლია დიდი როლი ითამაშოს გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარებაში. მათ შეუძლიათ ხელი შეუწყონ, როგორც სათესლე ფართობის გადიდებას, ისე მოსავლიანობის გადიდებას და აგრო - ღონისძიებების გავრცელებას, ამასთანავე მშრომელ ქალთა მასებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს სამხედრო საქმის შესწავლაში. ჩვენ მზად უნდა, ვიყოთ თუ საჭიროება მოითხოვს, შევცვალოთ ომში წასული ძმების რიგები, სოციალისტური მშენებლობის და [illegible] ყველა ფრონტებზე. ჩვენი მთავარი ყურადღება მიქცეული უნდა იყოს კომუნისტური პარტიის მე-15 ყრილობის დადგენილების ცხოვრებაში გატარებისაკენ.

8 მარტს გაერთიანებული რიგებით დავირაზმოთ კომუნისტური ინტერნაციონალის დროშის ქვეშ და კომპარტიის ხელმძღვანელობით გავსწიოთ წინ სოციალიზმისაკენ.

მ. ანდრიაძე.

ქალი სახალხო მეურნეობაში

ოქტომბრის რევოლუციამ დედაკაცს მიანიჭა ყველა ის უფლებები, რომლითაც სარგებლობს საერთოდ ადამიანი. დედამიწის ზურგზედ არ არის არც ერთი სახელმწიფო, სადაც ქალი სარგებლობდეს იმ უფლებებით, რაც მინიჭებული აქვს მშრომელ ქალებს საბჭოთა კავშირში. საჭიროა დედაკაცი შეიქმნეს სრულუფლებიანი მოქალაქე არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეკონომიურადაც. ამიტომ არის, რომ ქალების სახელმწიფოებრივ, საზოგადოებრივ და საწარმოო მუშაობაში ჩაბმისათვის დიდი მუშაობა სწარმოებს. ამ მუშაობას წინ მიუძღვის ის დიდი კულტურული და საზოგადოებრივი მუშაობა, რომელშიც ჩვენი მშრომელი ქალები სავსებით უნდა განთავისუფლონ ძველი ყოფა-ცხოვრების ბრჭყალებისაგან. დღევანდელი მუშაობა მიმართულია ოჯახის იმ გზით გარდაქმნისაკენ, რათა ოჯახი გარდაიქცეს ქალის მოსვენების ადგილად. ამ მიზნით სწარმოებს მუშაობა საზოგადოებრივი კვების მოსაწყობად.

ამას გარდა ეწყობა საბავშვო ბაგები, საბავშვო ბაღები და მოედნები, რომელთა დახმარებით დედებს საშუალება მიეცემათ სავსებით განთავისუფლდეს ბავშვების მოვლისაგან.

აუარებელი სკოლები, კურსები, უმაღლესი სასწავლებლები, სპეციალური ტეხნიკუმები, სამუსიკო სასწავლებლები და სხვა, სადაც ქალი სწავლის საქმეში ისეთივე უფლებით სარგებლობს, როგორც მამაკაცი, უთუოდ დიდი იარაღია ქალთა სრული განთავისუფლებისათვის.

ხუთწლიან გეგმის მიხედვით საბავშვო ბაღებში, მოედნებში და სხვ. 1932-33 წელში ჩაბმული იქნება 7.857 ქალი. 4, 7 და 10 წლედებში 1927-28 წელში სწავლობდა 102.500 ქალი; ხუთი წლის ბოლოს კი ქალების რიცხვი სასწავლებლებში 144.900-დე გაიზრდება.

სპეც-ტეხნიკუმებში, მუშფაკებში, საფაბრიკო-საქარხნო სკოლებში, კურსებზე და პროფტეხნიკურ სკოლებში 1927-28 წ. სწავლობდა 9.600 ქალი, ხოლო ხუთ წლის ბოლოს აღნიშნულ სასწავლებლებში 37.100 ქალი იქნება ჩაბმული.

ამ დროის განმავლობაში წერა-კითხვას შეისწავლის 141.900 ქალი.

სახალხო ჯანმრთელობის საქმეში ქალების გამოყენებას დიდი ადგილი უჭირავს. 1927-28 წელში ჯანმრთელობის დაწესებულებებში ჩაბმული იყო 7.287 კაცი, ამათში 3.201 ქალი იყო. ხოლო 1932-33 წელში ქალების რიცხვი 6.421-დე გაიზრდება. ამ რიცხვიდან ექიმი-ქალი გვეყოლება 655, ექიმ-ქალთა რიცხვის ზრდა ხუთი წლის განმავლობაში 134 პროცენტს უდრის.

დაქირავებულ ქალთა რიცხვი ხუთი წლის ბოლოს სამომხმარებლო კოოპერაციაში იქნება 2,112 (1927-28 წელში იყო 463). ამ დარგში ქალთა რიცხვის ზრდა 456,2 პროცენტს უდრის. კოოპერაციის წევრ-ქალთა რიცხვი 1927-28 წ. 35.000 აღწევდა, ხოლო ხუთი წ. ბოლოს კოოპერაციის წევრად იქნება 346.000 ქალი.

ამ რიცხვიდან აჭარისტანში მოსდის 15.440 ქალი, ოსეთში კი 7.280 ქალი.

სარეწაო კოოპერაციაში ხუთი წლის ბოლოს გაერთიანებული იქნება 14.810 ქალი, აქედან აჭარისტანში—435 ქალი, აფხაზეთში —600 ქალი და ოსეთში—850 ქალი.

თამბაქოს ქარხანა „პროლეტარი" წარმოებაში მუყაითად მუშაობისათვის დაჯილდოებულ ქალთა ერთი ჯგუფი

ქვა-ნახშირის მრეწველობაში 1927-28 წელში ჩვენ გვყავდა მხოლოდ 25 ქალი, ხუთი წლის ბოლოს კი ეს რიცხვი საგრძნობლად გაიზრდება. ასეთივე მდგომარეობა იქნება მარგანეცის, ლითონის და მადნის ამოღების მრეწველობაში. ქალთა შრომა გამოყენებული იქნება აგრეთვე ცემენტის წარმოებაში. ხის წარმოებაში ქალთა საგრძნობი ნაწილი იქნება ჩაბმული.

ქიმიურ მრეწველობაში ქალთა შრომის გამოყენების საქმეში დიდი სიფრთხილეა საჭირო, ვინაიდან ეს მრეწველობა თავის თვისებებით მეტად საშიშია ქალისათვის. ამიტომ ქალთა შრომა აქ უფრო სუსტად ვითარდება. სამაგიეროთ აბრეშუმის მრეწველობაში ხუთი წლის ბოლოს ჩაბმული იქნება 2.800 ქალი. ასეთივე სახით იქნება გამოყენებული ქალთა შრომა თამბაქოს მრეწველობაში, აბრეშუმის საქსოვ და ძაფის სართავ ფაბრიკებში. მარტო ქუთაისის და თბილისის მაუდის ფაბრიკებში ჩაბმული იქნება 760 ქალი.

ჩაის წარმოებაში იმუშავებს 3.114 ქალი.

დღემდე სატყეო მეურნეობაში არც ერთი ქალი არ იყო ჩაბმული, რადგან მეურნეობის ამ დარგის სპეციფიურობა ამის საშუალებას არ იძლეოდა. სატყეო მეურნეობაში ხდება სრული რეორგანიზაცია—ტყის მრეწველობის რეკონსტრუქცია. ამ დარგში ქალთა შრომის გამოყენების საქმეს ფართო ასპარეზი ეხსნება. სატყეო მეურნეობაში ხუთი წლის დასასრულს გვეყოლება 448 ქალი.

ამნაირად ქალთა შრომის გამოყენების საქმეს ჩვენში დიდი ყურადღება ექცევა.

ვ. შენგელია.

ორი ათეული წლის მანძილზე

ოცი წლის წინად სოციალისტ-ქალთა თათბირმა კოპენგაგენში (დანია) დააწესა ქალთა საერთაშორისო დღე — 8 მარტი.

ამ ორი ათეული წლის განმავლობაში წლიდან წლობით იზრდებოდა მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის მებრძოლ-ქალთა კადრები. ეს ზრდა ყველაზე უფრო ძლიერად ხდებოდა ყოფ. მეფის რუსეთში. წლიდან წლობით რაზმავდა და ამჭიდროვებდა თავის რიგებს პროლეტარიატის ქალთა ნაწილი იმისათვის, რომ 1917 წ. ოქტომბერში რუსეთის მშრომელთა მრავალ მილიონიან არმიასთან ერთად დაემხო მეფის, მემამულეების და ფაბრიკანტების ბატონობა.

ოცი წლის წინ, მეფის რუსეთში, მსხვილ მრეწველობაში ითვლებოდა 565.210 ქალი, ე. ი. 31 პროცენტი ყველა მუშების. იმავე დროს (1910 წ.) იაპონიის მრეწველობაში ირიცხებოდა 583.500 ქალი ანუ მთელი მუშების 61 პროც..

იმპერიალისტურმა ომმა გააფართოვა ქალთა შრომის გამოყენება მრეწველობაში. ომის წლებში მუშა - ქალთა რიცხვი ინგლისში გაიზარდა 796.000-ით, გერმანიაში — 788.240 ით, რუსეთში — 210.614-ით.

1917 წ. იანვარში მუშა-ქალები რუსეთში შეადგენდნენ მთელს მრეწველობაში მომუშავეთა (889.234) 40,2 პროც.

მშრომელ ქალთა მოძრაობა რუსეთში თავიდანვე ვითარდებოდა ბოლშევიზმის დროშის, რევოლიუციის დროშის ქვეშ. ამან გავლენა მოახდინა ქალთა საერთაშორისო დღესასწაულის ჩატარებაზეც რუსეთში. 1913 წ. პეტერბურგის მუშა-ქალებმა პირველად იდღესასწაულეს მუშა - ქალთა დღე გერმანიის მუშა-ქალებთან ერთად. ამ დღეს მათ მტკიცედ გადასწყვიტეს ევლოთ რევოლიუციონური ბრძოლის გზით. ვერც მეფის პოლიციის რეპრესიებმა და ვერც აუარაცხელმა მსხვერპლმა ვერ ჩაჰკლა მუშა-ქალთა რევოლიუციონური სულისკვეთება.

ბოლშევიკებისათვის მუშა-ქალთა დღე იყო საერთო პროლეტარული დღესასწაული. იგი იყო აგრეთვე რუსეთის მუშა-ქალების საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ფერხულში ჩაბმის დღესასწაული. და ერთი წლის შემდეგ 1914 წ., ამხ. კლარა ცეტკინი მხურვალედ ესალმებოდა რა რუსეთის მუშა-ქალებს, აღნიშნავდა რუსეთის მუშა-ქალთა საერთაშორისო მოძრაობასთან დაკავშირების მნიშვნელობას. ამხ. კლარა ცეტკინ სწერდა მაშინ: „გესალმებით თქვენი გაბედული გადაწყვეტილებისათვის — იდღესასწაულოთ ქალთა დღე. გესალმებით იმისათვის, რომ თქვენ არ ეცემით სულით. ჩვენ თქვენთან ვართ სულითა და გულით. თქვენ და თქვენს მოძრაობას გაიხსენებენ ქალთა მრავალრიცხოვან კრებებზე, რომლებიც ამ დღეს გაიმართება გერმანიაში, ავსტრიაში, უნგრეთში და ამერიკაში".

ეს დღე რევოლიუციონურად ჩატარდა არა მარტო მეფის სატახტო ქ. პეტერბურგში, არამედ მოსკოვშიაც, სარატოვში, სამარაში, ივანოვ - ვოზნესენსკში, კიევში და სხვ ქალაქებში.

გავიდა სამი წელი. 1917 წ. ქალთა დღე გადაიქცა თებერვლის რევოლიუციის პირველ დღედ. ეს იყო პირველი დარტყმა თვითმპყრობელობისა და ბურჟუაზიის ძალაუფლების დამხობის გზაზე.

ოქტომბრის რევოლიუციამ მსოფლიოს ერთ-ერთ კუთხეში — ყოფ. მეფის რუსეთში „ნამდვილად ამოჰკვეთა ქალთა ჩაგვრის ფესვები ისე ღრმად, როგორც არ მომხდარა არც ერთი რევოლიუციის დროს ქვეყნიერებაზე". — სწერდა ლენინი. ოქტომბრამდე ქალთა მოძრაობა კაპიტალისტურ ქვეყნებში განსაკუთრებულ ხასიათს ატარებდა. ეს იყო მოძრაობა თანასწორობისათვის, ქალებისათვის ხმის უფლების მინიჭებისათვის პარლამენტში. მაგრამ ოქტომბრის რევოლიუციისა და პროლეტარული დიქტატურის დამყარების შემდეგ დაიწყო მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის პერიოდი. რევოლიუციის ტალღა ედება დასავლეთისა და აღმოსავლეთის მთელ რიგ ქვეყნებს. კაპიტალიზმი კარგავს წონასწორობას და 12 წლის მანძილზე ჩვენ ვართ მოწამე იმის, თუ როგორ ადგება რევოლიუციონური ბრძოლის გზას დასავლეთის დაჩაგრული ქალი, ფართოვდება ქალთა კომუნისტური მოძრაობა, რომელიც მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის ნიშნის ქვეშ მიმდინარეობს.

წინააღმდეგ ქალთა კომუნისტური მოძრაობისა, ქალთა ბურჟუაზიული მოძრაობა, ისე როგორც ქალთა რეფორმისტული მოძრაობა, ყოველმხრივ ცდილობს განამტკიცოს ბურჟუაზიული წყობილება და დაიცვას იგი მოახლოებული პროლეტარული რევოლიუციის გრიგალისაგან. მაგრამ ცხოვრების მწარე სინამდვილეს ლამაზ ფრაზებით და დაპირებებით გზა აბნეული პროლეტარი ქალები გამოჰყავს აქტიური ბრძოლის გზაზე და ისინი მასიურად გადადიან რევოლიუციის ბანაკში.

კომუნისტური მოძრაობა უფრო და უფრო მეტ ყურადღებას უთმობს მუშაობას ქალთა შორის კაპიტალისტურ ქვეყნებში.

კომინტერნის მეხუთე კონგრესმა (1924 წ.) აღნიშნა: „მთლიანი პროლეტარული ფრონტი და ბრძოლის ხაზის შემდგომი გაშლა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა პროლეტარიატის მთელს ბრძოლაში აქტიურად, თავდადებით და დარაზმულად მიიღებენ მონაწილეობას მუშა და გლეხ-ქალთა უფართოესი მასები".

კომინტერნის მეხუთე მსოფლიო კონგრესმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მუშაობა მშრომელ ქალთა შორის კომპარტიების მუშაობის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს. მეხუთე კონგრესიდან სამი წლის შემდეგ — 1927 წ. — ევროპის ხელმძღვანელ ქვეყნებში — საფრანგეთში, ჩეხო - სლოვაკიაში, გერმანიაში, ინგლისში, შვეციაში, ნორვეგიაში და პოლონეთში ითვლებოდა 50.000-დე კომუნისტი ქალი. გერმანიაში 1925 წლის შემოდგომიდან არსებობს ქალთა უფართოესი პროლეტარული ორგანიზაცია „ქალთა კავშირი". ახლა ამ ორგანიზაციაში, რომელიც ძლიერად კომპარტიის გავლენის ქვეშ იმყოფება, 20.000-ზე მეტი წევრი ითვლება. 1927 წ. საფრანგეთში მოეწყო „ქალთა კავშირი ომის წინააღმდეგ", რომელმაც პირველსავე წელს 4000-ზე მეტი მუშა-ქალი შეაკავშირა.

ყველასათვის ცნობილია ის ფაქტი, თუ რა გმირობა და სიმტკიცე გამოიჩინეს ქალებმა ინგლისის მემაღაროეთა ცნობილ გაფიცვის დროს. ყველასათვის ცნობილია, რომ 1922 წლიდან დაწყებული გაიზარდა ჩინელ ქალთა მჭიდრო მონაწილეობა გაფიცვებში. 1922 წ. ჩინეთში გაფიცული იყო 30.000 მუშა-ქალი, 1923 წ.—40.000, 1925 წ. კი — მარტო შანხაიში იყო გაფიცული 60.000 მუშა-ქალი. 1928 და 1929 წ. გაფიცვებში მონაწილეობას იღებდა 100.000 მეტი მუშა-ქალი. გაფიცვები ედებოდა მთელ რიგ პროვინციებს. მათ იწვევდა მცირე ხელფასი, ცუდი მოპყრობა მუშა-ქალებთან და განსაკუთრებით ბავშვებთან და მოზარდებთან.

დიდ კლასობრივ ბრძოლებში, რომლებიც 1927 წ. ხდებოდა გერმანიის ლითონის, საფეიქრო, თამბაქოსა და ფეხსაცმელების მრეწველობაში, მონაწილეობა მიიღო 100.000 მუშა-ქალმა.

გერმანიის პროფკავშირთა საყოველთაო გაერთიანების ცნობებით, ქალები შეადგენენ გაფიცულთა 50 პროც. ბერლინის ლითონის საწარმოებში, ძლიერ ხშირად, ცალკე გაფიცვები საწარმოების ქალთა ცეხებში იწვევდნენ სერიოზულ კლასობრივ ბრძოლებს.

1928 წ. ავსტრიაში ერთ საფეიქრო საწარმოში, სადაც ქალები მუშაობდნენ, დაიწყო მეტად ხანგრძლივი და მკაცრი ბრძოლა. ინგლისში ფეიქარმა ქალებმა დაიწყეს ბრძოლა 8 საათის სამუშაო დღისათვის.

მთელ რიგ ადგილობრივ გაფიცვებში, რომლებსაც 1928 წ. გაზაფხულზე ჰქონდა ადგილი ინგლისის საფეიქრო მრეწველობაში, მონაწილეობას იღებდა მუშა-ქალთა დიდი რაოდენობა.

საფრანგეთის რევოლიუციონურ პროფკავშირთა მიერ მოწვეულ უკანასკნელ ქალთა კონფერენციაზე (პარიზის ოლქში) კონფერენციის მდივანმა მარტა ბრენტმა განაცხადა: „უკანასკნელ კლასობრივ ბრძოლებში ქალებმა უდიდესი რევოლიუციონური ენერგია გამოიჩინეს. ძლიერ ხშირად ისინი მხარს უჭერდნენ აჯანყებას და ყოველთვის იცავდნენ, ბრძოლის გაგრძელების მოთხოვნილებას".

კაპიტალისტური რაციონალიზაცია კლასობრივ შეგნებას აღვიძებს არა მარტო იმ მუშა-ქალებში, რომლებიც თავის ზურგზე განიცდიან ამ რაციონალიზაციის შედეგებს, არამედ მუშების ცოლებში, რომლებიც დღემდე თავის ოთახის კედლებში იყვნენ გამომწყვდეულნი.

მემაღაროეთა უდიდეს ბრძოლებში, რომლითაც ასე მდიდარია უკანასკნელი წელიწადი, ცოლები თავიანთი დახმარებით ამხნევებდნენ ქმრებს. იმ ცოლის მაგიერ, რომელიც ჰკანკალებდა ბავშვებისათვის და ცდილობდა ქმარი აერიდებია ბრძოლისათვის, შეიქმნა ცოლის ახალი ტიპი, რომელიც ჰკიცხავს და ზიზღს უცხადებს იმათ, ვინც უკან იხევს ბრძოლაში. ასე იყო, მაგალითად, ჩეხოსლოვაკიის მემაღაროეთა გაფიცვის დროს დუკსში, 1928 წ. გაზაფხულზე: ქალებმა პირველებმა წამოაყენეს ბრძოლის გაგრძელების მოთხოვნილება.

კლასობრივი ინსტიქტი უკარნახებს მუშა-ქალებს გამოვიდნენ კაპიტალისტური რაციონალიზაციის წინააღმდეგ, აკავებს მათ რევოლიუციონურ ნებისყოფას, ძირს უთხრის აპოლიტიურობას და პასიობას, რომელსაც სოციალ - დემოკრატია აღვივებს მათ შორის.

მუშა-ქალები თანდათანობით იმსჭვალებიან იმის შეგნებით, რომ მხოლოდ აქტიური რევოლიუციონური ბრძოლა პოლიტიკური ძალაუფლებისათვის, პროლეტარიატის დიქტატურისათვის, გაანთავისუფლებს მათ ექსპლოატაციისა და კაპიტალისტური რაციონალიზაციისაგან და საშუალებას მისცემს მიაღწიონ იმ მიზანს, რომელიც დასახული აქვს კომუნისტურ პარტიებს.

ეს მიზანი კი არის — რევოლიუციონური მეთოდებით, ლოზუნგით „კლასი, კლასის წინააღმდეგ" — დაამხონ კაპიტალისტური წყობილება და ბურჟუაზიის ბატონობა და დაამყარონ მუშათა კლასის ძალაუფლება.

მუშა და გლეხი ქალი და მუშის ცოლი, ოცი წლის შემდეგ ქალთა საერთაშორისო დღის შემოღების დღიდან, მძლავრ ნაკადათ ეერთდებიან კაპიტალისტური წყობილების დამხობისათვის და სოციალიზმის დამყარებისათვის მებრძოლთა კოლონებს. და სწორედ ახლა, როცა რევოლიუციონური ტალღა მძლავრად იზრდება, როცა უფრო და უფრო ახლოვდება ახალი ბრძოლები, უნდა აღინიშნოს კაპიტალისტური ქვეყნების მუშა-ქალთა მონაწილეობა პროლეტარიატის ამ დიდ შეტევაში.

მ. დ.

რა კეთდება

ქალთა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებლად

კონკურსი საუკეთესო მუშა-ქალებზე

სახ. მეურ. უმ. საბჭომ დაადგინა წარმოებებში მოაწყოს კურსი საუკეთესო მუშა-ქალებზე. საუკეთესოთ მომუშავე ქალებს დააჯილდოვებენ. ამავე სახის კონკურსს აწყობს თამბაქოს ტრესტი.

მუშა-ქალთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფონდი

დღეს წარმოება-დაწესებულებებში მომუშავე ქალები არ იქნებიან სამუშაოდან 2 საათით ადრე განთავისუფლებულნი. ამ ორი საათის ნამუშევარი გადაიდება მუშა-ქალების კვალიფიკაციის ასამაღლებელ ფონდის გასაძლიერებლად.

უმუშევარი ქალები სამუშაოზე

8 მარტის აღსანიშნავად, დღეს სახ. მეურნ. უმ. საბჭოს წარმოებებში თავისუფალ ადგილებზე მიღებული იქნებიან მხოლოდ ქალები.

კულაკების სახლები კულტურულ დაწესებულებებად

ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, კულაკების ყოფ. სახლებში მოეწყობა კულტურული დაწესებულებები.

მუშა-ქალების ბრიგადები

სოფლად 8 მარტის ჩასატარებლად საშეფო საზოგადოებამ გაგზავნა მუშა-ქალების ბრიგადები. ამავე დღეს საშეფო საზოგადოება საშეფო სოფლებში არსებულ კოლექტივებთან გახსნის საბავშვო ბაღებს, კერებს, პრა-კერის სკოლებს და სხვ.

გარდა ამისა, მოეწყობა კოლექტივებს წევრ ქალების ექსკურსიები ფაბრიკა-ქარხნებში, ხოლო მუშა-ქალების—კოლექტივებში.

2000 მანეთი მოჯამაგირე-ქალთა მოსამზადებლად

ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, „საქართველოს ჩაი"-ს გამგეობამ გადასდო 2.000 მანეთი, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნას საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში შესასვლელად ორი მოჯამაგირე ქალის მომზადებისათვის. გარდა ამისა „საქართველოს ჩაი"-ს გამგეობამ რიგს გარეშე კონტრაქტაციის წესით აიყვანა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ერთი სტუდენტი-ქალი.

ქუთაისის წარმოება - დაწესებულებებში

ქუთაისი, 6 მარტი. ყველა საწარმოებსა და დაწესებულებებში მოეწყო დამკვრელი ბრიგადები, რომლებმაც უნდა შეამოწმონ ქალების მონაწილეობა სოციალისტურ შეჯიბრებაში, დამკვრელ მუშაობაში, სამრეწველო-ფინანსიური გეგმის შესრულებაში და სხვ. ბრიგადებში უმთავრესად ქალები შედიან.

8 მარტს ყველა კლუბებსა და კუთხეებში გაიმართება უფასო კონცერტები, კინო-სურათები და სხვ. იმ მუშა-ქალებს, რომელნიც განირჩევიან საწარმოში მუყაითი მუშაობით, 8 მარტს ჯილდოები მიეცემათ.

ქალთა საერთაშორისო დღის ჩასატარებლად საწარმოებიდან სოფლებში გაიგზავნება მუშა ქალთა 5 ბრიგადა.

8 მარტს სოფელ წყალტუბოში გაიხსნება საბავშვო სახლი, აბრეშუმის სახვევ ფაბრიკასთან იხსნება საბავშვო ბაგები.

განზრახულია 25 მუშა-ქალის დაწინაურება ხელმძღვანელ პროფკავშირულ და ადმინისტრატიულ-სამეურნეო სამუშაოზე. (ადს).

შრომის ორგანოების ღონისძიებები

ქალთა შრომის საკითხს შრომის ორგანოები თანდათან მეტ ყურადღებას აქცევენ და მშრომელი ქალთა ხვედრითი წონა ჩვენს წარმოება - დაწესებულებებში თანდათანობით იზრდება.

1928 წელში წარმოება - დაწესებულებაში ჩაბმულ მუშათა შორის ქალები შეადგენენ 18 პროცენტს. 1929 წელში კი, როდესაც მუშა-მოსამსახურეთა საერთო რიცხვი გაცილებით გადიდებული იყო, ქალები შეადგენდნენ 20 პროც-ს.

მუშაობაში ჩაბმულ ქალთა რაოდენობის ზრდასთან ერთად, შრომის ორგანოები დიდ ყურადღებას აქცევენ ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესების საქმეს. ამ მიზნით გასულ წელს გამოკვლეულ იქნა საფეიქრო ტრესტის ფაბრიკები (რომლებშიაც ჩაბმულია — 2.000-მდე მუშა-ქალი) და თბილისის ჯანმრთელობის განყოფილების ფიზიო - ტერაპევტიული ინსტიტუტი; შესწავლილ იქნა აგრეთვე აფხაზეთის თამბაქოს საწყობები, თბილისის თამბაქოს ქარხნები და სამკერვალო ტრესტის „მკერავი"-ს ქარხნები (სადაც მუშაობს 600 ქალი), რომელთა ადმინისტრაციას დაევალა, ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესება და ამ მიზნით მიეცათ სათანადო გეგმა.

1928 წელს შრომის ორგანოების მიერ სხვადასხვა კვალიფიკაციის მისაღებად კურსებზე გაგზავნილ იქნა 187 უმუშევარი ქალი. 1929 წელში ასეთივე კურსებზე გაიგზავნა 700 ქალი.

დიდი ყურადღება ექცეოდა აგრეთვე უმუშევართა კოლექტივებში უმუშევარ ქალთა გაგზავნას. 1929 წლის 1 იანვარს უმუშევართა კოლექტივებში მუშაობდა 2.522 უმუშევარი—მათ შორის 766 (ან 30,5 პროც.) ქალი. 1930 წლის 1 იანვრისათვის კი კოლექტივებში ჩაბმული იყო 3.899 უმუშევარი და მათ შორის 1.633 (ანუ 50 პროც.) ქალი.

მიუხედავათ ყველა ზემოხსენებულ ზომებისა, აღრიცხულ უმუშევართა შორის ქალთა რაოდენობა წელს მეტია, ვიდრე გასულ წელს. 1929 წლის 1 იანვრისათვის უმუშევართა შორის ქალები შეადგენდნენ 36 პროც-ს, 1930 წლის 1 იანვრისათვის კი—44 პროც-ს.

ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ აღრიცხვაზე აყვანილ უმუშევარ ქალთა დიდ რაოდენობას შეადგენენ უკვალიფიკაციო ქალები.

ქალთა უმუშევრობასთან ბრძოლის გასაძლიერებლად და ქალთა შრომის პირობების გასაძლიერებლად, შრომის სახ. კომისარიატს მიღებული აქვს მთელი რიგი პრაქტიკული ღონისძიებები: შრომის ბირჟებს წინადადება მიეცათ გააძლიერონ უმუშევარ ქალთა სამუშაოებზე გაგზავნა და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ეროვნულ უმცირესობათა უმუშევარ ქალებს.

საქართველოს ცაკთან არსებულ ქალთა კომისიის მიერ 8 მარტის აღსანიშნავად შრომის ბირჟაში გადაგზავნილი ქალები დაუყოვნებლივ უნდა გაგზავნონ სამუშაოებზე. გარდა ამისა მოეწყობა უმუშევარ ქალთა კოლექტივები თბილისში — 200 კაცისათვის, ქუთაისში — 50 კაცისათვის, ბათომში — 50 კაცისათვის, სოხუმში — 50 კაცისათვის, გორში—30 კაცისათვის და ზუგდიდში—20 კაცისათვის. მოეწყობა მემანქანე ქალთა (უმუშევარ ქალებისაგან) მოსამზადებელი კურსები თბილისში — 100 კაცისათვის, ქუთაისში—10 კაცისათვის, სოხუმში—10 კაცისათვის და ბათომში—10 კაცისათვის.

გადამჭრელი ზომები იქნება მიღებული წარმოება-დაწესებულებებში მომუშავე ქალთა ხვედრითი წონის გასადიდებლად და შესწავლილი იქნება ისეთი პროფესიები, სადაც ქალთა შრომა აქამდე არ არის გამოყენებული.

8 მარტი წარმოებებში

ამხ. როზა ლიუქსემბურგის სახელობის ფაბრიკაში

ამხ. სტალინის სახელობის გაწვევასთან დაკავშირებით კომუჯრედის ბიუროში პარტიაში შესვლის შესახებ განცხადება შეიტანა 16 მუშა-ქალმა.

დამკვრელი ბრიგადის წევრი დაზგასთან

8 მარტის აღსანიშნავად ფაბრიკაში სხვადასხვა სამუშაოებზე დაწინაურებული იქნება რამოდენიმე მუშა-ქალი.

8 მარტს მუშა-ქალთა აქტიური მონაწილეობით ჩამოყალიბდება 27 დამკვრელი მუშა-ქალთა ბრიგადა.

8 მარტისათვის ფაბრიკაში გამოვა გაზეთის სპეციალური ნომერი, რომელიც გაეგზავნება საშეფო სოფელსაც.

თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარის" მუშა-ქალებთან ერთად რ. ლიუქსემბურგის სახ. თამბაქოს ფაბრიკიდან საშეფო სოფელში იგზავნება მუშა-ქალთა ბრიგადა.

სახ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტ-ქალთა შორის

6 მარტს საღამოს 7 საათზე, შესდგა სახ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის სტუდენტ-ქალთა საერთო კრება.

კრებაზე ქალთა საერთაშორისო დღის შესახებ მოხსენებით გამოვიდა ამხ. ამხ. ქრისტოფოვი და გოლდბაუმი.

მოხსენების შემდეგ სტუდენტი-ქალები რიგრიგობით გამოდიოდნენ და აღნიშნავდნენ, რომ ისინი მზად არიან მთელი თავიანთი ენერგია მოახმარონ სოციალისტური მშენებლობის საქმეს. სტუდენტი ქალები დაწინაურებულნი იქნებიან სხვადასხვა სამუშაოებზე სტუდენტთა პროფორგანიზაციებში.

თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარ"-ში

თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარი"-ს მუშები ქალთა საერთაშორისო დღეს მომზადებულად ხვდებიან.

ქარხკომში უკვე შეუმუშავებიათ ამ დღის ჩატარების გეგმა.

გეგმის მიხედვით ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად გადასამზადებლად დასაწინაურებელ კურსებზე გაიგზავნება 4 მუშა-ქალი. გარდა ამისა ენერგიულ მუშაობისათვის ჯილდოები დაურიგდება 10 მუშა-ქალს.

ლენინის დღეებში და სტალინის სახელობის გაწვევასთან დაკავშირებით, თამბაქოს ფაბრიკის კომუჯრედში—პარტიაში შესვლის შესახებ განცხადება შეიტანა 12 მუშა-ქალმა.

8. მარტის აღსანიშნავად ფაბრიკაში გამოიყო 5 დამკვრელი მუშათა ბრიგადა 21 მუშა-ქალის შემადგენლობით. საშეფო სოფელში (წნორის-წყალზე) ფაბრიკიდან იგზავნება მუშა-ქალთა ბრიგადა.

8 მარტს ფაბრიკასთან დამატებით გაიხსნება ახალი საბავშვო ბაღი.

დღეს, ფაბრიკის კლუბში შესდგება საზეიმო სხდომა, რომელზედაც მოხდება მუშა-ქალთა დაწინაურება და დაურიგდებათ ჯილდოები.

სკოლის ასაკამდე აღზრდის ლაშქრობისათვის

სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქცია მთელი ჩვენი საბჭოთა საზოგადოებრიობის ენერგიის, ნებისყოფის და ყურადღების მობილიზაციას მოითხოვს. სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქცია განსაკუთრებულ სიმწვავით აყენებს საკითხს მუშა და მშრომელი გლეხი ქალის აქტიურად ჩაბმის აუცილებლობის შესახებ ჩვენი ქვეყნის როგორც სამეურნეო, ისე საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში.

ამასთან დაკავშირებით საკითხი დგება მუშა და გლეხი ქალების ბავშვთა უზრუნველყოფის შესახებ სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებით.

მუშა ქალის და კოლექტიურ მეურნეობაში ჩაბმულ გლეხის ქალის, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში, ბავშვებზე ზრუნვა წინ ეღობება და ხელს უშლის საზოგადოებრივ საქმეში აქტიურად მონაწილეობის მიღებას. ქალის ამ მდგომარეობიდან განთავისუფლება, მისთვის საშუალების მიცემა, რომ რაც შეიძლება მეტი დრო მოახმაროს საზოგადოებრივ საქმიანობას—სკოლის ასაკამდე აღზრდის ლაშქრობის მთავარ მიზანს წარმოადგენს. ლაშქრობის მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვანი მიზანია ახალი თაობის კომუნისტურად აღზრდა.

ბავშვებისათვის საკუთარი ცხოვრების კოლექტიურად მოწყობის, ახალი ცხოვრებისათვის მებრძოლების ფიზიკურად ჯანმრთელი თაობის აღზრდა—სკოლის ასაკამდე აღზრდის ერთ-ერთი ამოცანათაგანია.

ეს მიზანი განხორციელდება მაშინ, როდესაც თვით მშრომელი ფართო მასები მოკიდებენ ხელს საკუთარი ბავშვების კომუნისტურად აღზრდას. სკოლის ასაკამდე აღზრდის ლაშქრობა მიზნათ ისახავს მუშა და კოლმეურნეობებში ჩაბმულ გლეხი ქალების მთელი 100 პროცენტით უზრუნველყოფას სკოლის ასაკამდე აღზრდის დაწესებულებებით.

სკოლის ასაკამდე აღზრდის ლაშქრობის მთავარი ლოზუნგებია: „არც ერთი ქარხანა და კოლმეურნეობა, არც ერთი საბინაო ამხანაგობა საბავშვო ბაღის გარეშე".

ყოველი ეზო, ყოველი ბაღი გამოყენებული უნდა იყოს ბავშვების მოედნებისათვის.

ამ საქმისათვის აუარებელი საშუალებები და ენერგიის დახარჯვა არის საჭირო და მისი წარმატებით დაბოლოვება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამ საკითხის გარშემო მოხდება მთელი საბჭოთა საზოგადოებრიობის ყურადღების მობილიზაცია.

თბ მაუდის ფაბრიკა
მუშა-ქალი ძაფის სახვევ მანქანასთან

ყველა, როგორც ერთი კაცი, უნდა ჩაებას სკოლის ასაკამდე აღზრდის ლაშქრობაში და უნდა იბრძოლოს ახალი თაობის უკეთესად აღზრდისათვის.

თბილისის გან. განყ. არსებული სკოლის ასაკამდე აღზრდისათვის ლაშქრობის ცენტრალური შტაბი.

ქრონიკა

მუშა ახალგაზრდობის რესპუბლიკანური ყრილობა

1 აპრილისათვის თბილისში მოწვეულია მუშა-ახალგაზრდობის რესპუბლიკანური ყრილობა.

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტთა აღრიცხვა

დღეიდან, იწყება სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სტუდენტების აღწერა, რომელიც გაგრძელდება 25 მარტამდე. აღწერა იწარმოებს ინსტიტუტშივე, დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—9 საათამდე. პირველ რიგში აღწერაში უნდა გატარდნენ მე-3 და მე-4 კურსის ის სტუდენტები, რომლებიც იგზავნებიან სოფლად თესვის კამპანიაში მონაწილეობის მისაღებად.

უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტთა აღწერა

დამთავრდა სახ. უნივერსიტეტის, პოლიტექნიკურ ინსტიტუტის, სამხატვრო ტექნიკურ ინსტიტუტის და კონსერვატორიის სტუდენტთა აღწერა. აღწერაზე გატარებულ სტუდენტებს საშუალება ეძლევათ აღწერაში გაიარონ აღრიცხვა 1 აპრილამდე.

მეხილეობა-მებოსტნეობის კურსები

8 მარტის აღსანიშნავად, საქართველოს მეხილეობა-მებოსტნეობის კავშირმა დაადგინა გახსნას თბილისში მეხილე-მებოსტნეობის მოსამზადებელი ორკვირეული კურსები 42 ქალისათვის. მსმენელებად კურსებზე მოწვეულ იქნებიან საქართველოს ყველა კუთხიდან კოლმეურნეობების წევრი ქალები.

ფართლეულის გაცემის ნორმა

პროფსაბჭომ შეიმუშავა სამრეწველო-რაიონებში მუშა-მოსამსახურეებისათვის ფართლეულის გაცემის ნორმა.

ჭიათურაში, ტყიბულში და წითელ წყაროში თვითეულ მუშას მიეცემა 10 მეტრი ფართალი, მათი ოჯახის წევრებს და მოსამსახურეებს—5 მეტრი, გარდა ამისა კოოპერატივის წევრებს თვითეულ წიგნაკზე დამატებით მიეცემათ 10 მეტრი.

ქუთაისში, ბათომში, ფოთში და ბორჯომში მუშებს მიეცემათ 6 მეტრი ფართალი, მათი ოჯახის წევრებს, 4 მეტრი, მოსამსახურეებს—4 მეტრი. კოოპერატივის წიგნაკზე—დამატებით 5 მეტრი.

დანარჩენ ადგილებში მუშებს მიეცემათ 5 მეტრი, მათი ოჯახის წევრებს 3 მეტრი, მოსამსახურეებს და მათი ოჯახის წევრებს—3 მეტრი. კოოპ. წევრებს დამატებით—[illegible] მეტრი.

შინაური კურდღლების სამოშენებლო

ამიერ-კავკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატმა მონადირეთა კავშირს გადასცა 15.000 მანეთი შინაური კურდღლების სამოშენებლოს მოსაწყობათ. სამოშენებლო ეწყობა სოფ. კიკეთის მახლობლად. სამოშენებლო კურდღლებს მიაწოდებს მონადირეთა ამხანაგობებს და სამეცნიერო დაწესებულებებს სხვადასხვა ცდებისათვის.

სახალხო ჯანმრთელობა

◆ **აფთიაქები მომთაბარეთა რაიონებში.** ახალქალაქის მაზრის სამომთაბარეო რაიონებს შორის განაწილებულია 5 აფთიაქი, საიდანაც პირველ სამკურნალო დახმარებას აღმოუჩენენ მოჯამაგირე-მწყემსებს.

◆ **მიკროსკოპების მიღება.** ჯანმრთელობის კომისარიატმა უცხოეთიდან მიიღო 20 მიკროსკოპი, რაც უკვე განაწილა სამაზრო საავადმყოფოებს შორის.

სხვადასხვა

◆ **განცხადებების გადაცემა რადიოთი.** რადიოცენტრი შეუდგა სხვადასხვა დაწესებულებების განცხადებების გადაცემას რადიოთი.

◆ **კულტბრიგადების პირველი თათბირი** მოწვეულია 11 მარტს პროფსაბჭოს მცირე დარბაზში.

◆ **ლიკპუნქტების გამოკვლევა.** 13 მარტიდან დაიწყება პროფსაბჭოს განკარგულებაში არსებულ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტების გამოკვლევა.

—:—

„სოფლის კომუნისტი“

◆ დაიბეჭდა ჟურნალი „სოფლის კომუნისტი“ № 2. შინაარსი: ი. სტალინი — თავბრუდახვევა წარმატებებისაგან. ალ. კაჭარავა — თესვის გეგმის შესრულება დამოკიდებულია თესლით უზრუნველყოფაზე. ლევ. ღვინიაშვილი — კოლმეურნეობების მშენებლობა, კლასთა ბრძოლა და ღარიბების ჯგუფების ამოცანები. ს. ხოშტარია — სახ.-სამ. არტელის სანიმუშო წესდება. ზ. ჩახვაძე — განუყოფელი ფონდის ზრდა კოლმეურნეობებში და მისი სოციალური დანიშნულება. გ. სარუხანოვი — აღრიცხვის წარმოება კოლექტიურ მეურნეობებში. დ. ქურულორია — საბჭოების საანგარიშო კამპანია და სოფლის მეურნეობის მთლიანი კოლექტივიზაცია. ს. მინდაძე — საბჭოები ახალი ამოცანების წინაშე. კ. შარიქაძე — სად მიდის ჩვენი კრედიტები. აგრ. ნ. ა—ლი — მოსავლიანობის გადიდებისათვის. აგრ. კ. როგავა — ალაზნის არხის მნიშვნელობა სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საქმეში. პარტიული აღმშენებლობა: 1. ა. მელიქსეტოვი — კოლმეურნეობების მშენებლობის მემარჯვენე და მემარცხენე [illegible] წინააღმდეგ. 2. თ. სიხარულიძე — პარტიის ზრდის მოწესრიგებისათვის. 3. ვ. ს. ბახტაძე — კომკავშირის კულტმუშაობის ახალი ამოცანები. ადგილობრივი ცხოვრება: კ. მელიქაძე — სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია და პარტუჯრედების ამოცანები კახეთის ოლქში. ძ. ბედია — საგაზაფხულო სახ.-სამ. კამპანია სენაკის მაზრაში. მ. გოლიაძე — კოლექტივიზაცია აჭარისტანში. ყ. მაყაშვილი — კოლმეურნეობის მშენებლობა ნიგვზიანის თემში. კ. პ—ლი — პარტიის ზრდის მოწესრიგების საკითხები სოფლად. დ. ძოდიბაძე — პარტიული და საბჭოთა მუშაობა საჩხერის რაიონში.

ხელოვნება

ოპერის მიმდინარე სეზონის შესახებ

არა ერთხელ აღძრულა საკითხი ჩვენი ოპერის იდეოლოგიურ მარცხებზე, გასტროლიორების „ოთურმაზე“, უთავბოლოთ ოპერის ბიუჯეტით [illegible], მაგრამ მდგომარეობა ამით ბევრად არ შეცვლილა. მაგალითისათვის შორს წასვლა საჭირო არ არის: ა.-წ. 4 მარტის წარმოდგენა უნდა ჩაითვალოს დირექციის მიერ შემოღებულ თავისებურ „ბენეფისების“ ბრწყინვალე გაგრძელებათ. ამ საღამოს, დაპირებულ „სევილიელ დალაქის“ მაგიერად დირექციამ მოულოდნელად წამოსკუპა გაოცებულ მაყურებლის წინაშე ისევ ის „ტრავიატა“, რომელიც სამხატვრო-პოლიტიკურ საბჭოს დადგენილებით მოხსნილად ითვლებოდა ჩვენი ოპერის რეპერტუარიდან. მაგრამ ამას თავი დავანებოთ, დავუბრუნდეთ თვით ამ 4 მარტის წარმოდგენას. ფარდის ახდამდე სცენის რამპასთან გამოჩნდა ოპერის ადმინისტრატორი, რომელმაც ძველი, სალონური მანერით აცნობა დამსწრეთ, რომ მომღერალ გოლოვინის ავადმყოფობის გამო „სევილიელი დალაქის“ მაგიერად მიდის „ტრავიატა“, რომელშიაც ჟერმონის როლის შესრულებაზე „პატივი დაგვდო (!)“ და თანხმობა განაცხადა მოსკოვის დიდი თეატრის „პრემიერმა“ პ. ნორცოვმა“-ო. ამ „შესანიშნავ“ ანონსის რედაქცია, რამდენადაც ვიცით, თვით დირექტორის ეკუთვნის.

სხვას რომ თავი დავანებოთ, გაუგებარია, თუ რატომ „შემოგვთავაზა“ დირექციამ ასე მოულოდნელად კიდევ ერთი სრულებით ზედმეტი „გასტროლიორი“, რომლის გამოყენება ცნობილ ბარიტონ გოლოვინის გასტროლების დროს ყოვლად მიზანშეუწონელია. არავინ იცის რა დაჯდება სახელმწიფო ოპერის დირექციის მიერ მოძღვნილი ეს ახალი სიურპრიზი. ცხადია, მხოლოდ ის, რომ ოპერის დირექციის ეს „საბენეფისო“ პრაქტიკა განდევნის ჩვენი ოპერიდან ისედაც მეტად მცირერიცხოვან მუშა-მაყურებლებს სქელ-ჯიბიან მეშჩანურ მაყურებლის სასიხარულოდ.

ამას გარდა აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: სეზონის დასაწყისში დაპირებული იყო, რომ არც ერთი წარმოდგენა არ იქნება აბონემენტის გარეშე. მუშა-მოსამსახურეთა მასა მიაწყდა აბონემენტებს. მაგრამ ჯერ მხოლოდ შუა სეზონია და აბონემენტ გარეშე დადგმულ წარმოდგენის რიცხვის ანგარიში დაეკარგა მაყურებელს. რაც მთავარია, აბონემენტს გარეშე მიდის წარმოდგენები შერჩეულ ძალების მონაწილეობით. რამდენად დასაშვებია ეს ჩვენს პირობებში? ნიშნავს თუ არა ოპერის დირექციის ასეთი ნაბიჯი თავისთავად სასურველ საბონემენტო სისტემისათვის სახელის გატეხას?

თუ ოპერის დირექციის მუშაობის პრაქტიკა ერთგვარ კომერციულ ეფექტის ილუზიებს ჰქმნის, მეტად ძვირად დაგვიჯდება ყოველივე ეს მომავალი სეზონის დროს, როცა კვლავ დაისმება მსახიობთა შერჩევისა და ახალი აბონემენტების გავრცელების საკითხი. სანამ კიდევ გვიან არ არის, ამას ანგარიში უნდა გაუწიონ ხელმძღვანელ და საკონტროლო ორგანოებმა.

კოტე მეღვინეთ-უხუცესი.

კადრების მომზადება პურის დამზადების კამპანიისათვის

პურის დამამზადებელ ძირითად ორგანიზაციების მუშაკთა კადრის მოსამზადებლად ამიერ-კავკ. სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო მოკლევადიან (ორთვიანი) კურსების გახსნა 100 კაცისათვის. ბაქოში გაიხსნება კურსები 50 კაცისათვის, თბილისში—35 კაცისათვის და ერევანში—15 კაცისათვის. პირველი წყების მეცადინეობა კურსებზე უნდა დამთავრდეს 15 მაისს, მეორე წყების—15 ივნისს. ვაჭრობის სახ. კომისარიატს წინადადება მიეცა „სოიუზხლებ“-თან ერთად დაამუშავოს ხსენებულ კურსების პროგრამა.

ბინები როგორც თვით კურსებისათვის, ისე მსმენელთა საერთო საცხოვრებლებისათვის უნდა გამოჰყონ თბილისის და ბაქოს საბჭოებმა. განათლების და მიწადმოქმედების სახ. კომისარიატსა და უმაღლეს სასწავლებლებს წინადადება მიეცათ გამოჰყონ კურსებისათვის საჭირო სამეცნიერო მუშაკები და ხელი შეუწყონ კურსების ნაყოფიერ მუშაობას.

სავალოსიპედო სესხი

საკავშირო ფინსახკომმა შეიმუშავა პროექტი დადგენილებისა ველოსიპედის შესაძენ ვალდებულებათა გამოშვების შესახებ.

ამ პროექტის მიხედვით, საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭო გამოუშვებს განსაკუთრებულ ვალდებულებებს ველოსიპედების შესაძენად (ველოსიპედები დამზადებული იქნება პენზის, ხარკოვის და აგრეთვე მოსკოვის ქარხანაში, რომელიც ამჟამად შენდება).

გამოშვებული იქნება 43.500.000 მან. ვალდებულება ოთხ სერიად. პირველი სერიის ვალდებულებები განაღდებული უნდა იქნას 1931 წ 1-ლ აპრილისათვის, მეორე სერიის — 1931 1-ლ აგვისტოსათვის, მესამე — 1932 წ. 1-ლ აპრილისათვის და მეოთხე — 1932 წ. 1-ლ აგვისტოსათვის.

ამ პირობებით განაწილებულ იქნება 350.000 ველოსიპედი. პირველი და მეორე სერიის ვალდებულებები ეღირება 135 მანეთი, მესამე და მეოთხე სერიის — 120 მანეთი.

დანიშნული ვადისათვის სრულად დაფარული ვალდებულებები უნდა წარედგინოს ს. მ. უ. ს. ორგანოებს ან მის რწმუნებულ ორგანიზაციებს ველოსიპედ[illegible] გადასაცვლელად. ს. მ. უ. ს. ვალდ[illegible]ია ერთი თვის განმავლობაში მისცეს ვალდებულების პატრონს კუთვნილი ველოსიპედი.

ამ ვალდებულებათა რეალიზაციის დაწყება განზრახულია მიმდინარე წლის პირველ აპრილიდან, ვალდებულებები რეალიზაციისათვის გადაეცემა სახელმწიფო შემნახველ სალაროების სამმართველოს, რომელიც, თავის მხრივ, ამ საქმეში ჩააბამს საკრედიტო დაწესებულებებს.

ვალდებულების ღირებულების დასაფარავად შეტანილ თანხაზე, ვალდებულების პატრონის სასარგებლოდ, დარიცხული იქნება 6 პროცენტი (წლიურად).

სასამართლო

მავნებელი კოლექტივის სათავეში

ს. ჯგალში (ზუგდიდის მაზრა) გასული წლის თებერვალში ღარიბმა და საშუალო გლეხებმა შექმნეს სასოფლო-სამეურნეო კოლექტივი და შეუდგნენ კოლექტიურ შრომას.

რამდენიმე თვის მუშაობის შემდეგ კოლექტივის წევრ გლეხებს შორის დაიწყო მითქმა-მოთქმა. ლაპარაკობდნენ, რომ მათი სახელით ბოროტმოქმედებას სჩადის კოლექტივის ხელმძღვანელი **სამსონ მახვალას ძე ბელქაია.**

ჯერ საერთო გაკვირვებას იწვევდა ის გარემოება, რომ ბელქაია, რომელსაც პირველად კოლექტივის წევრად მიღებაზედაც უარს ეუბნებოდნენ ღარიბი გლეხები, იმდენი მოახერხა, რომ კოლექტივის ხელმძღვანელის როლიც ჩაიგდო ხელში.

კოლექტივის თავმჯდომარე ბელქაიას პირველი ნაბიჯი გამოიხატა იმაში, რომ გაზაფხულზე კოლექტივის სახელზე წალენჯიხის საკრედიტო ამხანაგობიდან გამოიტანა სესხად ფული, რომლითაც იყიდა ხარ-ურემი თავისი ოჯახისათვის.

კოლექტივის მიწებისათვის შეძენილ სასუქსაც ბელქაია ახლად შეძენილ ხარ-ურმით ეზიდებოდა თავის ეზოში და ანოყიერებდა საკუთარ მიწებს, რომლებიც მას, როგორც ანგარების მიზნით შესულს, კოლექტივში არ გაუერთიანებია.

კოლექტივში გაერთიანებულმა გლეხებმა, რომლებიც ხედავდნენ, რომ მათი ნაოფლარი ხმარდებოდა ბელქაიას ოჯახის კეთილდღეობას, მოიწვიეს კრება, აცნობეს ამის შესახებ რაიონულ ცენტრს და მოითხოვეს საქმის გამოძიება.

გამომჟღავნდა ბელქაიას მიერ ჩადენილი ყველა ბოროტმოქმედება. მას ჩამოერთვა კოლექტივის ფულით შეძენილი ხარები და გადაეცა კოლექტივს. გარდა ამისა, ბელქაიას აღმოუჩინეს კოლექტივის ფულის გაფლანგვაც.

საერთო კრების დადგენილებით ბელქაია გაძევებულ იქნა კოლექტივიდან. გლეხებმა ერთგვარი სულგრძელობა გამოიჩინეს და სასამართლოს არ გადასცეს მისი საქმე.

ამის შემდეგ ბელქაიამ ბრძოლა გამოუცხადა კოლექტივს, აღარ ზოგავდა არავითარ საშუალებას, რომ ჩაეშალა კოლექტივის მუშაობა, სახელი გაეტეხა კოლექტივიზაციის იდეისათვის.

იგი დევნიდა კოლექტივის ცალკე წევრებს, ემუქრებოდა მათ მოკვლით.

ერთ დღეს, ბელქაია კეტით დაერია ქალებს, რომელთაც სადილი მიჰქონდათ ყანაში კოლექტივის წევრ გლეხებისათვის.

ამის შემდეგ შეშინებული ქალები შორიდან უვლიდნენ ბელქაიას ეზოს და ისე დადიოდნენ ყანებში.

კოლექტივის წევრებმა რამდენიმეჯერ გააფრთხილეს ბელქაია. რომ მას თავი დაენებებინა კოლექტივის და მისი წევრების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მაგრამ არაფერმა არ გასჭრა.

ბელქაიამ მიზნად დაისახა ნივთიერი ზიანის მიყენება კოლექტივისათვის. და ერთ დღეს ცულით დაჩეხა კოლექტივის საუკეთესო ხარი.

მოთმინებიდან გამოსულმა გლეხებმა ამის შესახებ აცნობეს ხელისუფლებას.

ბელქაია დაპატიმრებულია. გამოძიება დამთავრდა. საქმე განსახილველად მიიღო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ.

ბელქაიას წარდგენილი აქვს სისხლის სამართლის კოდექსის 58-7 მუხლი, (კონტრრევოლიუციონური ხასიათის დანაშაული), რომელიც ითვალისწინებს უმაღლეს სასჯელს.

საქმე ამ დღეებში გაირჩევა.

გერ.

შემთხვევები

დაჯახება

სასწრაფო დახმარების ავტო-მანქანა, რომელსაც მართავდა შოფერი ალექსი ფანცხავა, კალინინის ქუჩაზე დაეჯახა ბავშს გრიგოლ გრიგოლის ძე არუთინოვს (მცხ. ავჭალის მოედანი № 4) და მსუბუქად დააშავა.

მე-4 სამილიციო უბნის ფარგლებში 6 წლის გაბო მიხეილის ძე დავარაშვილს დაეჯახა ტაჩკა და მძიმედ დააშავა, ბავში საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

ბავშვების დაკარგვა

ამას წინად უგზო-უკვლოდ დაიკარგნენ: ვახტანგ ნიკოლოზის ძე გულიაშვილი (11 წლისა) და ლიუდმილა არტემის ასული პეტრუხოვი (12 წლის).

შეპყრობა

ქურდობისა და ჯიბგირობისათვის დააპატიმრეს გეურქ მაუკას ძე სარქისოვი (უბინო).

ქურდობა

გაქურდეს მე-33 შრომის სკოლა, საიდანაც წაიღეს 150 მანეთის ნივთები.

სერგო პეტროსიანცის ბინიდან (რიყის ქ. № 53) მოიპარეს 300 მანეთის ნივთები,—საზეინკლო სახელოსნოდან (სომხის ბაზარი ქ. № 17) მოიპარეს 500 მანეთად ღირებული მოტორი.

დაჭრა

მაკარ ხაჩატურის ძე აივაზოვმა ჩხუბის დროს დანით დასჭრა სერგო ვართანის ძე ბარსეგოვი. ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია.

მკვლელობის ცდა

გ. მასხარაშვილი მოკვლის მიზნით თავს დაესხა მოწაფე ზინა ილარიონის ასულ ლომთაძეს, მაგრამ განზრახვა სისრულეში ვერ მოიყვანა. ბოროტმოქმედი მიიმალა.

რკინის გზებზე

რკინის გზების მმართველი აპარატის რეორგანიზაცია

ამჟამად მთელ საბჭოთა კავშირში მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა რკინის გზების მმართველ აპარატების რეორგანიზაციის ჩასატარებლად.

რეორგანიზაცია შეეხება რკინის გზის მთელ აპარატს დაწყებული გზათა კომისარიატიდან და გათავებული ხაზით.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველოს რეორგანიზაცია უნდა დასრულდეს მიმდინარე წლის 1 ივლისისათვის. საგზაო მეურნეობას ხელმძღვანელობას გაუწევს სამი უმთავრესი განყოფილება: საექსპლოატაციო. ახალ სამუშაოთა და საგეგმო ეკონომიური განყოფილება. ეხლა არსებული განყოფილებები ნაწილობრივ უქმდებიან, ნაწილობრივ კი უერთდებიან ხსენებულ სამ განყოფილებას.

ხაზი იყოფა საექსპლოატაციო რაიონებად. თვითეული რაიონი აერთიანებს ყველა ტექნიკურ განყოფილებების მუშაობას (მოძრაობა, წევა და კავშირთგაბმულობა). მთავარ ადმინისტრატიულ ერთეულად ითვლება ხაზზე სადგური. სადგურის უფროსს ემორჩილებიან წევის, მოძრაობის და კავშირთგაბმულობის დარგების ყველა აგენტები. ასეთ პირობებში სადგურის უფროსი აუცილებლად უნდა იყოს ზედმიწევნით მომზადებული და ერკვეოდეს ზემოხსენებულ დარგების მუშაობაში. გადაწყვეტილია პირველ ხანებში იმ სადგურებზე, სადაც არსებობენ ორთქლმავალთა დეპოები, დაინიშნონ უფროსებად უმაღლესი ტექნიკური განათლების მქონე პირები.

ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე ადგილი აქვს კვალიფიციური აგენტების სიმცირეს. ამიტომ გადაწყვეტილია სპეციალური კურსების დაარსება აგენტების კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

შემთხვევით აცილებული კატასტროფა

ყარადაღიდან სანგაჩალისაკენ გავიდა მატარებელი № 4012. იგი ჩასული არ იყო სანგაჩალოში, როდესაც სადგურის მორიგემ აფანასიევმა იმავე მიმართულებით გაუშვა მეორე მატარებელი № 5002.

დაჯახებას ადგილი არ ჰქონია, რადგან მატ. № 4012 ჩავიდა სადგურში ჩვეულებრივზე 28 წუთით ადრე.

აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტს, რომ აფანასიევმა უხეშად დაარღვია მოძრაობის უშიშროების და ტექნიკური ექსპლოატაციის წესები.

12 შემთხვევა ერთი დღის განმავლობაში

გუშინ ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე (უმთავრესად აღმოსავლეთ უბანზე) ადგილი ჰქონდა 12 სხვადასხვაგვარ შემთხვევას. მატარებლები ჩერდებოდნენ ორთქლმავლების გაფუჭების, ორთქლმავლებზე წყლისა და სათბობ მასალების გამოლევის, შემადგენლობის გაწყვეტის და მატარებლების სადგურებში ნაწილ-ნაწილად ჩაყვანის გამო და სხვა.

ყველა ამ შემთხვევებმა ხელი შეუშალეს მატარებლების მოძრაობას მით, რომ ხაზების დაკავების გამო მათ უხდებოდათ სადგურებში დგომა, რითაც ირღვეოდა მოძრაობის სქემა.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 8 მარტი

დღეს დილით ქალაქის სატრანსლიაციო ქსელით გადაცემული იქნება „მუშათა შუადღე“, რომელსაც აწყობს საქ. პროფსაბჭოს კულტსექტორი. პროგრამაში—ახალი ამბები და კონცერტი.

საღამოს, 10 კილოუატიან რადიო-სადგურის საშუალებით გადაცემული იქნება:

17 ს.—17 ს. 25 წ.—რადიო ოქტომბრელისათვის; საუბარი 8 მარტის შესახებ, ქართულ ენაზე. 17 ს. 25 წ.—18 ს. 5 წ.—რადიო-გაზეთი, ქართულ ენაზე. 18 ს. 5 წ.—19 საათამდე—რადიო-გადაცემა სოფლისათვის; ლიტერატურულ-მუსიკალური საათი; რეკლამების გადაცემა. 19 საათიდან—19 საათსა და 25 წუთამდე—დაუსწრებელი კოოპერატიული კურსები რადიოთი; ლექცია ფინანსების საკითხზე, ქართულ ენაზე. 19 ს. 25 წ. 19 ს. 50 წ. ლექცია ანტირელიგ. ციკლიდან—„ადამიანის სხეული და სულიერი ცხოვრება“, ქართულ ენაზე. 19 ს. [illegible] წ.—20 ს. 10 წ.—მოხსენება ოქტომბრელთა სამდღეურის შესახებ, რუსულ ენაზე; დროის შემოწმება; გეოფიზიკური ობსერვატორიის ცნობები. 20 ს. 10 წ.—23 ს. 10 წ.—ქალთა საერთაშორისო დღის—8 მარტისათვის მიძღვნილი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო; ანტრაქტებში რეკლამები. 23 ს. 10 წ.—24 საათამდე გადაცემული იქნება უკანასკნელი ამბები.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კომპარტიის (ბ) ცეკას კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება სთხოვს ამხ. კიკაჩეიშვილს და ტატულოვს, რომელთაც შეტანილი აქვთ განცხადებები კომუნისტური აღზრდის აკადემიაში შესასვლელათ, შეიარონ კულტურისა და პროპაგანდის განყოფილების მდივანთან.

—:—

თბ. სახ. პოლიტექნიკური ინსტიტუტის ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივი იუწყება, რომ დღეს, 8 მარტს, საღამოს 8 საათისათვის მე-6 აუდიტორიაში იწვევს საირიგაციო ფაკულტეტის ორივე განყოფილებათა, ყველა კურსების სტუდენტ-კომკავშირელების საერთო კრებას.

—:—

დღეს, 8 მარტს, დღის 12 საათზე თბ. სახელმწიფო უნივერსიტეტში შედგება სოც.-ეკონომიური ფაკულტეტის კომუჯრედის ბიუროს სხდომა. ბიუროს წევრ-კანდიდატებთან ერთად კრებაზე უნდა გამოცხადდეს კომკავშირის უჯრედის მდივნები.

---

8 მარტს, საღამოს 6 საათზე, გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციის ბინაზე, შედგება

„კომუნისტი“-ს მუშკორთა და კედლის გაზეთების წარმომადგენელთა საერთო კრება.

დღის წესრიგი: სახ. სამ. კამპანია და მუშკორები.

მუშკორებისა და კედლის გაზეთ. წარმომადგენლების დასწრება სავალდებულოა

ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი

შაბათს 8 მარტს, მე-7 აბონემ მე-11 წარმოდ[illegible], მ. ი. ბრეხმან-შტენგელის და უკანასკნელად ფატმა მუხტაროვას მონაწილეობით— **აიდა**

კვირა, 9 მარტი, აბონემენტს გარეშე, უკანასკნელად ფატმა მუხტაროვას მონაწილეობით **სამსონ და დალილა**

ორშაბათი, 10 მარტი, მე-13 აბონემ. მე-2 წარმ., ლენინგრ. ბალეტის პრემიერების მ. გ. სემიონოვის და ვ. ა. ხელივანოვის მონაწილეობით **გედების ტბა.**

ბილეთების ნაწილი გაიყიდება ჩვეულებრივი წესით.

ნ. 417

კინო		
აპოლო	1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.	მხატვრული ფილმი **ზელიმ-ხანი** მ. ბესტაევის მონაწილეობით
სოლეი	1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.	გრეტა გარბოს მონაწილეობით (?) მხატვრ. სურათში **დედაკაცის გაღვიძება**
პალასი	1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ.	ბერნარდ გეტცკე, ასტა ნილსენი სურათში **საშიში ჰასაკი**
არფასტო	1-ლი სეანსის დასაწყისი 5 ს. 50 წ.	უცხოეთის მხატვრული კულტურული ფილმი **კონგო**
როზა ლიუქსემბურგის სახ. (ყოფ. მინიონი)		ტაუტ კორსო, ი. კაპრალოვი სურათში **ბედნიერების ძიებაში**
დარბაზი	1-ლი სეანსის დასაწყისი 6 ს. 15 წ.	უცხოეთის კომედია **ლედაპერი № 99** გამსაკუთრ. წარმ. გამო კვლავ გამოდიან მ. კრუგოსვეტოვი (იუმორ.), კ. პეტრაკოვსკაია (ქსილოფ.) ახალი რეპერტ.

მალე—კინო-თეატრებში აპოლო, სოლეი, მინიონი - **განწირულნი.** 0—5

რუსთაველის თეატრი

შაბათი 8 მარტი

სერია „ა“ მე-8 აბონ. მე-7 წარმოდ.

ლავრენიევი

რღვევა

4 მოქ. თარგ. ა. ფალავასი

შეღავათიან ბილეთებზე შეკვეთა მიიღება თეატრის სალაროში.

?

კრამ

თბილისში

?

სახელმწიფო ბანკის ამიერ-კავკასიის საოლქო კანტორასთან

მოეწყო **კონსულტაცია**

კრედიტის რეფორმის საკითხების შესახებ.

კონსულტანტების მორიგეობა 7 მარტიდან ყოველდღე—საღ. 7 საათიდან 9 საათამდე. ნ. 423

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველა სტუდენტების (განურჩევლად სქესისა) ევალებათ გაევლოთ სამხედრო რეგისტრაცია უნივერსიტეტის (მთავარ შენობა) სპეციალურ ტექნიკურ ნაწილში, მაგრამ სტუდენტების ნაწილი აღრიცხვაზე დღემდე არ გამოცხადებულა.

უკანასკნელი წინადადება ეძლევა

ყველას 19 მარტამდე გაიარონ ხსენებული რეგისტრაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში გამოირიცხებიან უნივერსიტეტიდან. ნ 424

---

8 მარტის დღის

აღსანიშნავად

კინო-თეატრ „მინიონს“

ამიერიდან ეწოდება

როზა ლიუქსემბურგის სახელობის კინო.

ნ. 425

საქართველოს სახკინმრეწვის ნაწარმოები

განწირულნი

გალინა დოლენგო (ეგოროვისა)
ნ. კოლომენსკი
ი. მაროტი
შ. ხუსკივაძე
პ. ბონდარენკო

მხატვრულ სურათში

რეჟ-სორი—ლ. პუში
ოპერატორი—მ. კერესელიძე

ორშაბათიდან, 10 მარტიდან კინო-თეატრებში

აპოლო სოლეი (ყოფ. მინიონი)

როზა ლიუქსემბურგის სახელობის.

ნ. 425

თბილისის მთლიანი მუშათა კოოპერატივის მუშკოოპის

გამგეობა აუწყებს მე-7 მოწვევის ყველა რწმუნებულებსა და კანდიდატებს, რომ ორშაბათს, 1930 წლის 10 მარტს, საღამოს სრულ 6 საათზე მუშკოოპის გამგეობის შენობაში (ქორესის ქ., № 7)

დანიშნულია

მუშკოოპის /რწმუნებულთა მე-18 კრების გახსნა

დღის წესრიგი: 1) მუშათა ბრიგადის მოხსენება მუშკოოპის გამოკვლევის შედეგების შესახებ (მომხსენებელი ამხ. ბუაძე) 2) მუშკოოპის აპარატის წმენდის შესახებ (ცენტრალური კომისიის მოხსენება—ამხ. მონტინი). 3) მიმდინარე საქმეები.

ყველა რწმუნებულისა და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

ნ. 394 3—1 მუშკოოპის გამგეობა.

შაბათს, 8 მარტს, დღის 4 საათზე

8 მარტის დღესასწაულის აღსანიშნავად საძირკველი ჩაეყრება მუშკოოპის ფაბრიკა-სამზარეულოს მადათოვის კუნძულზე.

მიტინგზე მოწვეულნი არიან

პარტიული, პროფკავშირების, კოოპერატიული და საბჭოთა ორგანიზაციების წარმომადგენელნი, აგრეთვე კოოპერატიული აქტივი.

ნ. 425 მუშკოოპის გამგეობა.

განსახკომის სამრეწველო ეკონომიური და ადმინისტრატიული ტექნიკის კურსები

ხსნის 1 აპრილიდან თავის განყოფილებას დასავლეთ საქართველოში, ქ. ზუგდიდში, სამაზრო აღმასკომის განათლების განყოფილებასთან ერთად

3 თვიან ანგარიშ-წარმოების (კოლმეურნეობის განხრით) კურსებს.

მსმენელებს გადახდებათ მთელი კურსის მოსმენისათვის 25 მანეთი. დანარჩენი პირობების გაგება და ჩაწერა—ქ. ზუგდიდში, აღმასკომის განათლების განყოფილებაში, დილის 9 საათიდან საღამოს 4 საათამდე და ქ. თბილისში, კეცხოველის ქ. № 12, საღამოს 5 ს.-დან 8 საათამდე.

ნ. 407 3—2 ს. ე. კ. ადმინისტრაცია.

თბ. ოლქის ჯანგანყოფილების საკურ. ქ/გ აცხადებს, რომ ა/წ.

საგაზაფხულო სეზონისათვის

მანგლისში, კოჯორში, კიკეთში და წყნეთში

ქირავდება ოთახები.

განცხადებ მიღება სწარმოებს ყოველდღე ჯანგანყოფილების საკურ. ქ/გ. კანცელარიაში (სომხის ბაზ. № 4, მე-3 სართული, ოთახი № 16). ოთახების ქირის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

საკურორტო ქ./განყოფილების მიერ დაწყებული სახტუმროს აგება აგარაკ მანგლისში დამთავრდება. მოკლე დროის განმავლობაში. დაწყებულია აგრეთვე ელექტრო-სადგურის აგება აგარაკ კოჯორში.

დაწვრილებითი ცნობების მიღება ოთახების გაცემაზე საკურ. ქ. განყოფილების კანცელარიაში.

სეზონი გაიხსნება 1-ლ ივნისს.

თბილ. ოლქის ჯანმრთ. განყ. საკურორტო ქ/განყოფილება.

ნ. 426

ჩხარის უბნის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი

ი. ვახანია

ამით აცხადებს, რომ ა/წ. 15 მარტს, დ. ჩხარში **საჯარო ვაჭრობით** გაჰყიდის მოქ. ვლადიმერ პეტრეს-ძე სახელაშვილის მოძრ. ქონებას: დუქანი ერთი მოდგმული ოთახით კრამიტით დახურული, ექვსი ცალი ხის ბოჭკა, ერთი სპილენძის ქვაბი, სპილენძის თუ გი, თორმეტი ცალი სახნისი, შვიდი ცალი თოხი და სამი ცალი ჭური—სულ შეფასებულია 383 მან. ქონება იყიდება ჩხარის რაიაღმასკომის ვალის დასაკმაყოფილებლათ თანახმათ ჩხარის უბნის სახ. სასამართლოს 13/XI 29 წ. გაცემულ აღსასრულებელი ფურცლისა № 1712, საჯ. ვაჭრობა იწარმოებს სამ. სამ. საპ. კოდექსის 310, 311, 312, 316, 317 მუხ. დაცვით. 1415

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

კ. ს. ფონ-ირტელი პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვის მოედანის მახლობლად). სპეციალურად საშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურების, ტრიპერის, სიფილისის, ბუასილის და სიმსივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამდე და საღ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—10

დ. ს. რიჟინაშვილი კბილების და პირის სნეულებათა მკურნალობა, პლომბები, კბილების უმტკივნეულოდ ამოღება, ყოველგვარი ხელოვნური კბილების ჩასმა, ავადმყოფთა მიღება: 10—3 ს. და 5—7 საათ. საღ. მისამართი: გრიბოედოვის ქუჩა № 34 რუსთაველის პრ.-კუთხე. ტელ. 10—14. 25—1

პ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“ ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—7—8 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 1—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. 25—1

გ. ნ. ონანოვი სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი: სქესობრივი უძლურების წამლობა. ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9-დან 11 საათამდე, საღამოს 5—8 საათამდე. კ. ცეტკინის ქ. (ყოფ. ელისაბედის) სახ. № 3. 25—1

ა. ვ. მიქაბერიძე პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“ მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—

ლოგოპედი ა. ა. კაიშაური ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა. ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, აფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს. იღებს საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132 ტელ. 26—01. 25—1

გ. გ. შახნაზაროვი სპეციალურად სიფილისი, „914“ შეშხაპუნება, ტრიპერი მწვავე და ქრონიკული და სხვა ვენერიული სნეულებანი ავადმყოფების მიღება ნაშუადღევის 4-დან 8 საათამდე. ქალების 4—5 საათამდე. ვახერის ქ. (ყ. კრასნოვერის) № 33 (ყოფ. თუმანოვის ქუჩის კუთხე). 25—1

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფნი დედა ელენე, მამა ყარამანი, მეუღლე ნატალია შვილებით თეია და მიშათი, აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ 6 მარტს გარდაიცვალა მათი უძვირფასესი და საყვარელი

ლადიკო ცეცხლაძე

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 6 ნახ. საათზე სახ. უნივ. ანატომიურ ინსტიტუტში, კამოს ქუჩა № 51. დაკრძალვა კვირას, 9 მარტს, 4 საათზე დიდუბის პანთეონში. 2—1

ღრმა მწუხარებაში მყოფნი დები: ვერა, ანეტა, მარუსია და თამარა; სიძეები: ვასო დუმბაძე, სერაფიმ ბერძენიშვილი და დიონისე რიჟამაძე აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი

ლადიკო ცეცხლაძე

2—1

განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგია აუწყებს, რომ 6 მარტს გარდაიცვალა სახ. უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დოცენტი

ვლადიმერ ცეცხლაძე

ნ. 427 2—1

ინჟ. კონსტანტინე სიმონის-ძე გიორგობიანი მეუღლე თამარით და ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძე პაპოვი მეუღლე მარგარიტათი აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი მამიდაშვილი, სახელმწიფო უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი მედიცინის დოქტორი

ლადიკო ცეცხლაძე

1396

თბ. სახ. უნ. ოდონტოლოგიურ ინსტიტუტის სტუდენტობა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს ძვირფასი მასწავლებლის

ვლადიმერ ცეცხლაძის

უდროოდ დაკარგვის გამო. 1412

ა-კ. რკ. გზ. ჯანმრთელობის სამმართველოს თბილისის პედოლოგიური ლაბორატორია ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ამავე ლაბორატორიის მეცნიერული თანამშრომლის, ბიომეტრიული კაბინეტის გამგის პრივატ-დოცენტ

ვლადიმერ ყარამანის-ძე ცეცხლაძის

მოულოდნელ გარდაცვალებას. 1399

სახ. უნ. სამკურნალო ფაკულტეტის II კურსის სტუდენტები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი მასწავლებელი-ტოპოგრაფიული ანატომიის კათედრის გამგე

ვლადიმერ ცეცხლაძე

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული 1385

სახელმწიფო უნივერსიტეტის უმცროს მასწავლებელთა კოლეგიუმი ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ 6 თებერვალს, უეცრივ გარდაიცვალა ძვირფასი ამხანაგი პრივატდოცენტი

ვლადიმერ ცეცხლაძე

სამოქალაქო პანაშვიდი ყოველდღე 6 ნახ. საათზე ანატომიურ ინსტიტუტში. დაკრძალვა კვირას, 9 მარტს, 4 საათზე. 1404

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობა აუწყებს საზოგადოებას მედიცინის დოქტორ პრივატ-დოცენტ

ვლადიმერ ყარამანის-ძე ცეცხლაძის

უდროოდ გარდაცვალებას. ნ. 424

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დეკანატი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას მედიცინის დოქტორ პრივატ-დოცენტ

ვლადიმერ ყარამანის-ძე ცეცხლაძის

უდროოდ გარდაცვალებას. ნ. 424

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის საბჭო მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას მედიცინის დოქტორ პრივატ-დოცენტ

ვლადიმერ ყარამანის-ძე ცეცხლაძის

უდროოდ გარდაცვალებას. ნ. 424

კასპის მჭიდის ქარხნის თანამშრომლები: ნ. ხარაზიანი, შ. ქავთარაძე, თ. ქარუმიძე, ვ. ართილაყვა, ვ. შარვაშიძე, ი. აბდუშელიშვილი, ი. ალიხანოვი, დ. რომანიშვილი, ი. ჟღენტი, ვლ. დუბინსკი, ა. ლაბაური, თ. უსტოვი, შ. ბეჟუაშვილი, გ. კაკალაშვილი, გ. ენუქიძე, დ. მაჰვარიანი, კ. ხაჩიძე, ს. გონგლიაშვილი, ვ. მოისეევი, ნ. თარხნიშვილი, ბ. ვასილიევი, დ. კასპაროვი, ი. მაღალაშვილი, ი. მიქელაძე და ალ. სეფერთელაძე ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ამავე ქარხნის თანამშრომლის ამხ. პეტრე ბრიანსკის საყვარელ დის

ლიუბას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. გორში, 8 მარტს. 1388

ღრმად დამწუხრებულნი მეუღლე თებრომე, შვილები: ლიუბა, გიორგი, სერგო, პიმენი, იაშა, კაკო, თინა და მიშა ხოზუები, სიძე შალიკო ბაბუნაშვილი, რძლები: ნადია, მარიკო, ოლია; შვილიშვილები: დათიკო, ჟორჟიკა, ანიკო, ალიკო და რეზო; ცოლისდა ანიჩკა ჯიქიასი თავისი ქმარშვილით იუწყებიან, რომ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

არსენ მიხეილის-ძე ხოზუა

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

დამწუხრებული დედა ოლღა, მამა ერმილე, პატარა დები: ელენა და ეთიკო, ბიძები: დავით და გიორგი ეპიტაშვილები, დეიდა ნინო თაზიშვილი, დეიდა და სიძე თამარა და ალექსანდრე მირიანიშვილები, დიდედა მათიკო თაზიშვილი აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს, მათთვის დაუვიწყარ

შალვა ერმილეს-ძე ტურაბელიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 4 ნახ. საათზე, ბინიდან: შავთელის (ყოფ. ანჩისხატის) № 13. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 1408

კოოპერატიულ არტელ „ინდუსტრია“-ს მუშა-მოსამსახურენი ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას ძვირფასი, ამხანაგის და თანამშრომლის ერმილე დავითის-ძე ტურაბელიძის ვაჟის

შალვა ტურაბელიძის

უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 6 საათზე. გამოსვენება დღეს, 4 ნახ. საათზე, შავთელის ქ. (ყოფ. ანჩისხატის) № 13. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2—2 1372

მე-33 შრომის სკოლის პედაგოგიური და დამხმარე საბჭო მწუხარებით აცხადებს მე-8 ჯგუფის მოწაფის

შალვა ტურაბელიძის

გარდაცვალებას. გამოსვენება—8 მარტს, 4 ნახ. საათზე, შავთელის ქუჩა № 13. 1413

მე-33 შრომის სკოლის ა.ლ.კ.კ. უჯრედი, პიონერკოლექტივი და მოწაფეთა თვითმმართველობა აცხადებენ, რომ უდროოდ გარდაიცვალა ამავე სკოლის მე-8 ჯგუფის მოწაფე

შალვა ტურაბელიძე

1414

გლეხის სასახლის მუშა-მოსამსახურეები გულის ტკივილით აუწყებენ საზოგადოებას თანამშრომლის ამხ. დავით ეპიტაშვილის დისწულის

შალვა ერმილეს-ძე ტურაბელიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა დღეს, კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება ბინიდან ანჩისხატის ქუჩა № 13. 1402

ხვალ, კვირას, სრულ 5 ნახ. საათზე, ვერის ახალ სასაფლაოზე გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ჩვენთვის ძვირფას და საყვარელ

დათუშა ტოგონიძის

ხსოვნის აღსანიშნავად, რასაც ვაუწყებთ საზოგადოებას დამწუხრებული მშობლები: ნინა და ილარიონი, ძმა ჟორჟიკა და დები: თამარი, ნინა და ქეთევანი. 1397

თავზარდაცემულნი: მამა გიორგი, დედა როდამი, მეუღლე კოწია, შვილები: თამარი, დავით, შიო, შალვა, ნოდარი, ძმები: ალექსანდრე, ტარასი, ამბროსი და ვიქტორ ჯაფარიძეები აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ სოფ. ლიხეთში (რაჭა) ტრაღიკულად დაიღუპა

მინა ჯაფარიძე

ნ. 428

ყოფილი მე-2 საბჭოთა აფთიაქის (ზემელის) თანამშრომლები მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს

იაგორ თომას-ძე ჯანაგოვის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს, 8 მარტს, დღის 4 საათზე, პასკევიჩის ქ. № 9. 1390

ღრმად დამწუხრებულნი დედა ელისაბედი, ძმა პეტრე, დები: ნინა და მარო, სიძე რაფო საგინაშვილები, ნადეჟდა, ელენე, ლიუბა, ეთერი, ბიძები შაქრო, გიგო და დავითი თავიანთ ოჯახით, დეიდა ნინა ბალანჩივაძისა აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ უდროოდ გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ლიუბა სერგეის ასული ბრიანსკი

დაკრძალვა ქ. გორში, შაბათს, 8 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე. გამოსვენება ბინიდან—ხიდისთავის ქ. № 1. 1387

დამწუხრებულნი მშობლები: მარიამ და ივანე ხოჯაშვილები შვილებით, რძლებით და სიძეებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ მათთვის დაუვიწყარ

ნინო ივანეს ასულ ხოჯაშვილის

ხსოვნის აღსანიშნავად დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი 9 მარტს. 5 საათზე, ხოჯივანქის სასაფლაოზე. 1411

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ

— მიწა ტყის კავშირი. წიგნ. გაცემ. ვორონეჟის ოლქის რაიკომის მიერ— გრიგოლ ვასილის-ძე სალარაძის სახელზე. 13[illegible]5
— პურის წიგნ. № 1 01 ალექსანდრე ვამაჟიძის სახელზე. 139[illegible]
— სამხ. სააღრ. ბარ. № 8[illegible] და პირადობის მოწმ.—ივანე პლატონის ძე არჩვაძის სახელზე. 1405
— მეტრიკ. ამონა.—ვალიკო მინას-ძე ტოგონიძის სახელზე. 1406
— [illegible] ამონაწ. [illegible] 0051 ვლ. შაყულაშვილის სახელზე. 1407
— სამხედრო აღრიცხ. ბარ. № 999 ავქსენტი დავითის ძე კუპრაშვილის სახელზე. 1409
— მეტრიკა—გიორგი მჭედლიშვილის სახელზე. 1393
— პირად. მოწმ. № 384—ტიგრან ბალდასაროვის სახელზე. 1403
— თბილისის მუშკოოპ. წიგნ. № 292 8 ვალერიან რაქვიდენის-ძე ჩუბინიძის სახელზე. 1401
— პურის წიგნ. 1145—ასლან სამსონის-ძე ვაშაკიძის სახელზე. 1394
— მუშკ. საწ. წიგნ. № 722[illegible]2—მიხა ივანეს-ძე კაპკავას სახელზე. 1391
— პირად. მოწმ. № 8/55 შალვა გაჩეჩილაძის სახელზე 1386
— კავშ. წიგნ. საჭმ. წიგნ. და [illegible] მოწმ.—ივ[illegible] მჭედლურის სახ. 1411
— დამხვ. წიგნ. №1 83—სიმონ კრუაშვილის სახელზე. 1411
— ცხრა წლედის დამთავრ. მოწმ. „დიპლომი“ [illegible] 7 - აკაკი მუჯუგანიძის სახელზე. 1411
— პირადობის მოწმ. № 236 ნინა შარაბიძის სახელზე. 1411

ტირაჟი—54,003

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.

[illegible] № 904